ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

## ივანიშვილი და სააკაშვილი გუშინ ერთმანეთს ამერიკულ ხომალდზე შეხვდნენ

პრეზიდენტი და პრემიერი გუშინ ბათუმის პორტში ამერიკულ სამხედრო ხომალდ BULKELEY-ზე იმყოფებოდნენ. ხომალდზე, პრემიერისა და პრეზიდენტის გარდა, აშშ-ის ელჩი, დავით უსუფაშვილი, ირაკლი ალასანია, მაია ფანჯიკიძე, კახა კალაძე და ირაკლი ღარიბაშვილიც იმყოფებოდნენ. BULKELEY-მ და საქართველოს სანაპირო დაცვის ორმა კატარღამ ზღვაში ერთობლივ პრაქტიკულ წვრთნებში მიიღეს მონაწილეობა. დღეს დაგეგმილია სანაპირო დაცვის თანამშრომლებისა და ხომალდის ეკიპაჟის წევრების საფეხბურთო მატჩი.

პირველი რადიო

ორშაბათი, 12 აგვისტო, 2013 №189 (6190) ფასი: 30 თეთრი

# ემზარ კვიციანი: „სააკაშვილი ხელისუფლებაში კოდორის ჩაბარების პირობით მოვიდა“



## რა უნდოდა ვანო მერაბიშვილს რუსებთან ერთად ტყეში

გვ.2

## დავით საგანელიძე: „არ გამაკეთებინონ ის, რომ ერთი ბრძანება გავცე და სააკაშვილი ვერსად ვერ შევა“

გვ.4





გვ.2

## მანანა ნაჭყებია: „პრემიერს ამხელა ძალაუფლება არ უნდა ჰქონდეს!“



გვ.7

## ბელა ნიკოლაიშვილი: „კბილაშვილი პროკურატურაში საბოტაჟს არ დაუშვებს“



გვ.6

## ლადო პაპავა: „მარგველაშვილის მთავარი მეტოქე ბურჯანაძე იქნება“

## გიორგი მარგველაშვილი: „პროვოკაციას არც ერთ მომენტში არ წამოვეგებით!“

გვ.2



## გოჩა ალექსანდრია: „შრომის კანონი ძალიან სუსტია“

გვ.5



## სამხედრო ჰოსპიტალს გიორგი აბრამიშვილის სახელი ეწოდა

გვ.2



ISSN 1987-9385

**4** თენგიზ ჯგუშიას 2 000-ლარიანი გირაო შეეფარდა

**2** მიხეილ სააკაშვილი სამდღიანი ლაშქრობით ტობავარჩხილის ტბაზე იმყოფებოდა

**11** ვენესუელის პრეზიდენტს უგო ჩავესის საფლავის გვერდით სძინავს

**4** ქართველმა პოლიციელმა სპორტსმენებმა კიდევ 7 ოქროს მედალი მოიპოვეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მანანა ნაჭყებია: „პრემიერს ამხელა ძალაუფლება არ უნდა ჰქონდეს“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ მანანა ნაჭყებიასთან



*— ქალბატონო მანანა, როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო კამპანიას? შეგიძლიათ რამე გამოყოთ ამ დროისთვის?*

— წინასაარჩევნო კამპანია როდესაც ამდენი ხნით ადრე იწყება, არანორმალურია. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ მთელი ძალით არ არის ჯერ საბოლოო კონდიციამდე მისული. ალბათ, სექტემბერ-ოქტომბერი იქნება ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი მარგველაშვილი გამოჩენის შემდეგ თანდათან კარგავს რეიტინგს, მაინც ამ ეტაპზე ის არის უკონკურენტო კანდიდატი. ცხადია, არიან სხვა კანდიდატებიც, განსაკუთრებით ნინო ბურჯანაძე, დავით ბაქრაძე, ახლა უკვე კობა დავითაშვილი, რომლებიც ეცდებიან, რომ მეორე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი კონკურენციას ვერ გაუწევს მარგველაშვილს და პირველივე ტურში შესაძლოა, რომ მარგველაშვილი პირველ ადგილზე გავიდეს, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ რადგან ოქტომბრამდე ორთვე-ნახევარი არის დარჩენილი და ამ ხნის განმავლობაში რაღაც შეიცვალოს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ გარემოში მიმდინარეობს, ამის თქმა ძალიან რთულია ჯერ, თუმცა უკვე იყო რამდენიმე ფაქტი, რომელზეც არასამთავრობო ორგანიზაციებმა განცხადებები გააკეთეს, ვგულისხმობ თუშეთში პრეზიდენტობის სახელისუფლო კანდიდატმა სახელისუფლო რესურსი გამოიყენა. მე ვეთანხმები მათ, როდესაც აცხადებენ, რომ სახელისუფლო რესურსის გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. ბუნებრივია, ყოველთვის დიდი ინტერესია სახელისუფლო კანდიდატის მიმართ, რაც არ უნდა ჩავიდეს სხვა კანდიდატი, სადაც არ უნდა იყოს და რა სახალხო ზეიმშიც არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ძალიან არ მომეწონა ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაცია, რომ მმართველ კოალიციას აფინანსებენ ისევ სახელმწიფოს მიერ შექმნილი კომპანიები, პირველ რიგში, რკინიგზა იგულისხმება. ვერ იტყვი, რომ ვინმე აიძულებს მათ, მაგრამ ეს არის ერთგვარი „ხარკის“ გადახდა იმისთვის, რომ ხელისუფლების მხრიდან მუდმივად კარგი დამოკიდებულება გქონდეს. ჯერჯერობით მხოლოდ ამ ხარვეზებზე შემიძლია საუბარი, ალბათ, უფრო აქტიურად გამოჩნდება მას შემდეგ, რაც წინასაარჩევნო კამპანია თავის პიკს მიაღწევს. გამოჩნდება, როგორ წარიმართება დებატები, როგორ იქნება თანაბრად უზრუნველყოფილი დებატებისთვის დრო. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სახელისუფლო რესურსის ბოლომდე გამოყენების მოსპობა. მე ვფიქრობ, სახელისუფლო კანდიდატმა უნდა გამოიჩინოს ამ თვალსაზრისით ძალიან დიდი სიფრთხილე და დაამკვიდროს პრაქტიკა, როდესაც ნულზე დავა სახელისუფლო რესურსების გამოყენების შესაძლებლობა.

*— როგორც ამბობენ ექსპერტები, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები სწორედ ამ კუთხითაც იქნება ერთგვარი ტესტი. ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას დღეს აქვს ეს ნება?*

— მართლაც, სახელმწიფოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ არჩევნებს. ჩვენ ამ არჩევნებში არ გვეყოლება საპრეზიდენტო კანდიდატი და არც ერთ კანდიდატს მხარს არ დავუჭერთ. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი არის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საპარლამენტო არჩევნები.

*— კონკრეტული მიზეზები შეგიძლიათ გვითხრათ?*

— 27 ოქტომბერს არჩეული პრეზიდენტი აღარ იქნება ის ფიგურა, რომელსაც ჩვენ მიჩვეული ვართ. ის აღარ იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და აღარ განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს. ის იქნება არბიტრი. რა თქმა უნდა, ესეც მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ არის ის ფიგურა, რომელსაც ქართველი საზოგადოება მიეჩვია. საპირწონე ხდება პრემიერ-მინისტრი, რომლის ხელშიც ძალიან დიდი ძალაუფლება იყრის თავს. ამიტომ ამ თვალსაზრისით შესაძლოა, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის საპრეზიდენტო არჩევნები ნაკლებად არის მნიშვნელოვანი, თუმცა, ვიმეორებ, ეს არჩევნები ქვეყნის მომავლისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. იმაზე თუ როგორ ჩავატარებთ ჩვენ ამ არჩევნებს, იქნება თუ არა სამართლიანი, თავისუფალი და დემოკრატიული გარემო, დამოკიდებული იქნება ჩვენი ქვეყნის მომავალი, მისი შემდგომი პერსპექტივები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში. უკვე ვილნიუსის სამიტისთვისაც შეიძლება გარკვეული გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული, ასოცირების ხელშეკრულებას უნდა მოეწეროს ხელი, ნატოს სამიტია დაგეგმილი, ამდენად, ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ სასიცოცხლოდ არის მნიშვნელოვანი ამ არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ გარემოში ჩატარება, როდესაც არც საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, არც პოლიტიკურ პარტიებს, არც კანდიდატებს, არ ექნებათ არსებითი შენიშვნა, რომლითაც შეიძლება ამ არჩევნებმა ჩაიაროს. ჩვენ არ ვმონაწილეობთ 27 ოქტომბრის არჩევნებში, მაგრამ ძალიან ინტენსიურად და ყურადღებით დავაკვირდებით და ყველაფერს გავაკეთებთ, ჩვენი განცხადებებით, თუნდაც კონსულტაციებით, რომ ეს არჩევნები სამაგალითო იყოს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ადამიანებს არ დარჩეთ განცდა, რომ მათი არჩევანი არ შედგა.

*— თქვენ პრემიერი ახსენეთ და მის ხელში თავმოყრილი ძალაუფლება, რომელსაც კონსტიტუციით დაარეგულირებენ, რისი თანხმობაც უკვე გამოთქვა ივანიშვილმა. თუმცა, მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილის განცხადებისადმი, სადაც ის ახალ წლამდე პოსტიდან წასვლაზე საუბრობს. რას იტყვით?*

— სიმართლე გითხრათ, მისმა ამ განცხადებამ ძალიან გამაოცა. კიდევ უფრო გამაოცა მისი თანაგუნდელების კომენტარებმა, რომ ის აცხადებდა, რომ დიდხანს არ აპირებდა პოლიტიკაში დარჩენასო. მე მგონი, არც მათ, არც ქართველ საზოგადოებას არ წარმოედგინა, რომ ოთხწლიან ციკლს, როგორც იქნა, არჩეული მისი გუნდი ბოლომდე არ მიიყვანდა. ასეთი რამ პოლიტიკაში არ უნდა ხდებოდეს. ქართველმა საზოგადოებამ ხმა ბიძინა ივანიშვილს მისცა და არა კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს. ამიტომაც ბატონ ბიძინას ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება იმაზე, თუ რა მოხდება უახლოეს სამ წელიწადში. არგუმენტები, რომ ის წავა, მაგრამ პასუხს მაინც აგებს იმაზე, რაც მოხდება, მიუღებელია, ეს ჰგავს დაახლოებით შუა აზიური ტიპის სახელმწიფოს, სადაც არა არჩეული პირი, არამედ გარე პირი ახდენს გავლენას სახელმწიფო პოლიტიკაზე, ზოგადად პროცესებზე. ეს არგუმენტი მიუღებელია, რადგან ახალ წლამდე დაპირებების შესრულება ვერ მოესწრება, შესაბამისად, ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი თავის გადაწყვეტილებას გადახედავს. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად დღის წერიგში ვადამდელი არჩევნების აუცილებლობა დადგება. ბიძინა ივანიშვილის წასვლა პოლიტიკიდან ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ნიშნავს. ვფიქრობ, მმართველ გუნდში გადებით ეკიდებიან ამ საკითხს და ამაზე ფიქრობენ. წარმოუდგენელია, რომ ეს საკითხები შიგნით დღის წესრიგში არ იდგეს და არ განიხილავდნენ. ისინი საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსები არიან და ძალიან კარგად ხედავენ, თუ რა გამოსავალი შეიძლება იყოს ამ სიტუაციიდან.

*— ამ შემთხვევაში ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს არ გამორიცხავთ?*

— არ გამოვრიცხავ. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ავტომატურად დგება დღის წესრიგში.



## გიორგი მარგველაშვილი: „პროვოკაციას არც ერთ მომენტში არ წამოვეგებით!“

„ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ხელისუფლება პროვოკაციებს და სირთულეებს უფრო მაღალი მიზნისთვის გადალახავს. ამის შესახებ მარგველაშვილმა შინდისში, სოფელ ქვეშში მომხდარი ინციდენტის კომენტირებისას განაცხადა.

„ჩვენ არაერთი მიმდინარე, გამაღიზიანებელი პრობლემა გვაქვს-ხოლმე. აგერ, სულ რაღაც 6 კილომეტრში არის საზღვარი, თუმცა ეს არ არის საზღვარი, ეს არის სადემარკაციო ხაზი. ჩვენ ეს პრობლემები გვაქვს, მაგრამ ქართველ ხალთან ერთად, ჩვენ ამ პროვოკაციებს, ამ სირთულეებს გადავლახავთ უფრო მაღალი მიზნისთვის, რომ ქვეყანა იყოს მთლიანი, ერთიანი და ძლიერი და არც ერთ მომენტში არ წამოვეგებით პროვოკაციას“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ, სოფელ ქვეშში შსს-ს მობილური პატრულის ეკიპაჟის მიმართულებით ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მხრიდან უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა ერთი გასროლა განახორციელეს.

**პირველი**

## სამხედრო ჰოსპიტალს გიორგი აბრამიშვილის სახელი ეწოდა



გორის სამხედრო ჰოსპიტალს აგვისტოს ომში გარდაცვლილი ექიმის გიორგი აბრამიშვილის სახელი ეწოდა და მისი მემორიალური დაფა გაიხსნა.

ღონისძიებას თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიაც ესწრებოდა, რომელმაც ჰოსპიტალში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და განაცხადა, რომ სამხედრო ექიმი იარაღით ხელში საკუთარ სამშობლოს და ამასთან ერთად თავისი სამხედრო თანამებრძოლების ჯანმრთელობას იცავს.

„ძალიან ბევრი გმირობის მაგალითი გვაქვს ისტორიაში, როდესაც სამხედრო ექიმები საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მტრის ტყვიამ იმსხვერპლა. მე მინდა, განსაკუთრებულად გავიხსენო ყველა ჩვენი თანამებრძოლი სამხედრო ექიმი, ვინც ბოლო 20 წლის განმავლობაში შეეწირა საკუთარი ქვეყნის მთლიანობას, საკუთარი თანამებრძოლის ჯანმრთელობის უზრუნველყოფას“, — განაცხადა ალასაანიამ.

თავდაცვის მინისტრმა გორის ჰოსპიტალის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ აღნიშნული ჰოსპიტალი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

„განსაკუთრებულია იმითი, რომ აქ მუშაობენ გამბედავი, ჩვენი ვაჟკაცი მოქალაქეები. გიორგი აბრამიშვილი იყო ის ადამიანი, რომელმაც სამედიცინო პერსონალთან ერთად ევაკუაციის ბრძანების მიუხედავად, არ დატოვა შენობა, არ დატოვა სამხედრო ჰოსპიტალი, მაშინ, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელი პირები ტოვებდნენ გორს“, — განაცხადა ალასანიამ.

**მედიანიუსი**



## მიხეილ სააკაშვილი სამდღიანი ლაშქრობით ტობავარჩხილის ტბაზე იმყოფებოდა

ფესტივალ „ტობას“ ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ტობავარჩხილის ტბაზე იმყოფებოდა.

სამდღიანი ლაშქორბის სურათებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე ფაცებოოკის თავის ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს.

პრეზიდენტი ლაშქორბაზე „მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის“ წევრებთან ერთად იმყოფებოდა.

მიხეილ სააკაშვილმა ტობავარჩხილის ტბაზე ასვლის შესახებ ლაშქრობამდე რამდენიმე დღით ადრე საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის მიცემილ ინტერვიუში განაცხადა.

**მედიანიუსი**



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლეჟავრაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ემზარ კვიციანი: „სააკაშვილი ხელისუფლებაში კოდორის ჩაბარების პირობით მოვიდა“

## რა უნდოდა ვანო მერაბიშვილს რუსებთან ერთად ტყეში

შორენა მარსაგიშვილი



**დღეს ყველა, ნაციონალების გარდა, ამბობს, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ხელახალი გამოძიება უნდა მოხდეს. სააკაშვილის გარემოცვას რატომღაც ჰგონია, რომ იმის გარკვევა იგეგმება, ვინ დაიწყო ომი. ამის დადგენაც მნიშვნელოვანია, თუმცა, არის სხვა საკითხებიც, რომლებზეც აუცილებელია პასუხის გაცემა. ამ კითხვებს პაატა დავითაიას კომისიაზე კი გასცეს პასუხები, მაგრამ ამ კომისიის დასკვნის არავის სჯერა.**

**აგვისტოს ომის გამოძიებისას ისიც უნდა გაირკვეს, როგორ მოხდა კოდორის ხეობის ჩაბარება. ქართულმა მხარემ ხეობა უბრძოლველად დათმო. ფაქტობრივად, ერთი ტყვიაც კი არ გავარდნილა. ხეობაში შესული აფხაზები და რუსები თითქმის ერთი წელი ეზიდებოდნენ ხეობიდან შეიარაღებას. ეს შეიარაღება სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ხეობის დაცვა მომხდარიყო.**

ხეობის ჩაბარებასთან დაკავშირებით კითხვების გაცემა ამჟამად პატიმრობაში მყოფ ვანო მერაბიშვილსაც მოუწევს. ომის დროს მას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა და, როგორც თავად განაცხადა, ქართველ მებრძოლებს მან მისცა ბრძანება, ხეობა უბრძოლველად ჩაებარებინათ. მერაბიშვილის მტკიცებით, მან ეს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ დროებით საპარლამენტო კომისიას პაატა დავითაია თავკაცობდა. მერაბიშვილმა აღიარებითი ჩვენება სწორედ ამ კომისიის სხდომაზე გააკეთა.

როგორც მაშინ მერაბიშვილმა განმარტა, კოდორის ხეობაში მხოლოდ შსს-ს ძალები იმყოფებოდნენ, სულ 300-400 პოლიციელი და კოდორის დატოვების გადაწყვეტილება პირადად მან იმის გამო მიიღო, რომ ქართველი პოლიციელები რუსეთის ალყაში ექცეოდნენ და საჭირო იყო დაუყოვნებლივი რეაგირება.

— ერთპიროვნული გადაწყვეტილება დროის სიმცირისა და იმ გარემოების გათვალისწინებით მივიღე, რომ კოდორში მხოლოდ შსს-ს ძალები იმყოფებოდნენ. ფაქტობრივად, ქართველები ორმხრივ ალყაში ექცეოდნენ. ჩვენ ამ ალყის შეჩერება შევძელით იმით, რომ დავნაღმეთ ენგურის გზა, მაგრამ არსებობდა სხვა გზებიც და ვერ ვახერხებდით, რომ ეს ძალა ალყაში არ მოქცეულიყო და რუსეთის გეგმა ჩაგვეშალა, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

ამ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მაშინვე გაჩნდა კითხვის ნიშნები. საეჭვოა, რომ მერაბიშვილს ეს გადაწყვეტილება მართლაც ერთპიროვნულად, სააკაშვილის ნებართვის გარეშე მიეღო. იმედია, ყველაფერს გამოძიება დაადგენს. გასარკვევი კი მართლაც ბევრი რამეა.

საკითხის შესწავლა, ალბათ, 2006 წლის ივლისის მოვლენებიდან უნდა დავიწყოთ. იმ წელს კოდორში დიდი სპექტაკლი გათამაშდა. ვიდრე ამ სპექტაკლზე ვისაუბრებდეთ, გავიხსენოთ, რა პროცესები უძღოდა წინ ამ მოვლენას.

სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესმა საზოგადოებაში იმაზე დიდი ინტერესი გამოიწვია, ვიდრე ამას სააკაშვილის ხელისუფლება ელოდა. სანდროს მკვლელებისთვის გამოტანილი განაჩენი ყველამ უსამართლოდ ჩათვალა და თბილისში საპროტესტო აქციები დაიწყო. იმ დროისთვის ნაცმოძის რეიტინგიც ნელ-ნელა დაბლა იწევდა. არადა, წინ თვითმმართველობის არჩევნები იყო, რომელიც, სააკაშვილის გადაწყვეტილებით, ხუთშაბათ დღეს, 5 ოქტომბერს ჩატარდა. არჩევნების წინ ნაციონალებს რამეში გამარჯვება და ხალხის ყურადღების გადატანა ესაჭიროებოდათ.

იმ წელს ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატი ტარდებოდა. სპორტის ეს სახეობა ჩვენში ძალიან უყვართ და ამ თემით სცადეს ხალხის ყურადღების მიპყრობა. ალბათ, გახსოვთ, სამინისტროებში სხვადასხვა ქვეყნების ფან-კლუბები შეიქმნა. ფეხბურთის საყურებლად ისეთ ხალხსაც კი დაატარებდნენ, რომლებიც მეკარესა და მსაჯს ერთმანეთისგან ვერ არჩევდნენ. ფეხბურთმა ნაცმოძის მოლოდინი ვერ გაამართლა. ამიტომ გადაწყვიტეს, ახალი გეგმა მოეფიქრებინათ.

### კოდორის „დაბრუნება“

დიდი ფიქრისა და თეთრად გათენებული რამდენიმე ღამის შემდეგ გადაწყვიტეს, კოდორი დაებრუნებინათ. ახლა იკითხავთ, რა სჭირდა კოდორს მაშინ დასაბრუნებელი, იქ მაშინაც ვრცელდებოდა ჩვენი იურისდიქციაო. ეგ კითხვა მაშინ უნდა დაგესვა, ჩემო საყვარელო მკითხველო, ბევრ ჩვენს თანამოქალაქესთან ერთად, თქვენც დაიჯერეთ კოდორის დაბრუნების ზღაპარი, რომელიც, ნაციონალების წყალობით, მართლა დასაბრუნებელი გაგვიხდა.

2006 წლის 23 ივლისს ემზარ კვიციანი მოულოდნელ განცხადებას აკეთებს და ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას უცხადებს. შეგახსენებთ, რომ იმ დროისათვის კვიციანი აღარ იყო კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული. ამ მოვალეობას სხვა ასრულებდა.

ე,წ. ამბოხების წინა დღეებში კვიციანს დედა გარდაეცვალა. როგორც მისი ახლობლები ამბობენ, ხეობაში ასული კვიციანი დედის ორმოცისთვის ემზადებოდა და ამბოხება-დაუმორჩილებლობაზე ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. მისი განცხადება ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ამის თაობაზე არც მისმა დამ, ნორა კვიციანმა იცოდა რამე.

„ამბოხების“ გამოცხადების შემდეგ ხეობაში შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს დანაყოფები შევიდნენ. გაიმართა შეტაკებებიც. საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ იქ მართლაც ამბოხება რომ ყოფილიყო, კვიციანსა და მის შეიარაღებულ რაზმს უპრობლემოდ შეეძლო სამთავრობო ჯარების შეჩერება-განადგურება.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, კვიციანი ამ სპექტაკლში მონაწილეობაზე ტარიელ ონიანის მეშვეობით დაითანხმეს. ტარიელ ონიანი კვიციანის ახლობელი იყო. ის, ამავე დროს, პრეზიდენტს ბიძის, თემურ ალასანიას ძმაკაციც არის. ონიანის პირით ყოფილ რწმუნებულს შეუთვალეს, რომ მათ ამ სპექტაკლის დადგმა აფხაზეთის დასაბრუნებლად ესაჭიროებოდათ. კოდორიდან სოხუმამდე სულ ნახევარი საათის სავალია. კვიციანი იმაშიც დაურწმუნებიათ, რომ რუსებთან შეთანხმება მიღწეული იყო და ქართული შენაერთები ფსოუმდე გავიდოდნენ.

რუსეთთან იმ პერიოდში რაღაც შეთანხმება მაინც იყო მიღწეული. რუსი სამშვიდობოები, რომლებიც ხეობის სიახლოვეს იყვნენ, ამ საქმეში არ ჩარეულან. ფსოუმდე არავინ გასულა. სამაგიეროდ, სააკაშვილის ხელისუფლება გამოვიდა და განაცხადა, რომ მათ კოდორის ხეობა დაიბრუნეს. ერიც ბედნიერი და გახარებული დარჩა. ამასთან, არავის უკითხავს, როდის გვქონდა დაკარგული ეს ხეობა.

„დაბრუნებულ“ ხეობას, სააკაშვილის გადაწყვეტილებით, ზემო აფხაზეთი ეწოდა. ერთხელ სააკაშვილმა კოდორიდან განაცხადა, ქართული დროშა მალე ქვემო აფხაზეთშიც აფრიალდებაო. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, „დაბრუნების“ შემდეგ დევნილობაში მყოფი აფხაზეთის მთავრობა და უზენაესი საბჭო ხეობაში გაამწესეს. როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, სააკაშვილი ზემო აფხაზეთისთვისაც ეძებდა სოხუმიდან გამოქცეულ აფხაზს, აი, ისეთ ტიპს, დიმა სანაკოევის მაგვარი რომ იქნებოდა. აფხაზეთში ასეთი კაცი ვერ გამოინახა.

„დაბრუნების“ სიხარულით აღტყინებულ ერს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი გამორჩა — ხელისუფლებამ მოსახლეობიდან იარაღის ამოღება დაიწყო, ბატალიონი „მონადირე“ კი ადრევე გააუქმა.

ბატალიონი ადგილობრივი მოსახლეობისაგან იყო დაკომპლექტებული. ეს ადამიანები აქტიურად მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში და სწორედ მათი წყალობით შევინარჩუნეთ ხეობა. დავით თევზაძემ ეს ხალხი თავდაცვის სამინისტროში გააფორმა, ისინი ჩვეულებრივად იღებდნენ ხელფასს და ხეობასაც იცავდნენ. თავდაცვის მინისტრის პოსტზე მყოფმა ირაკლი ოქრუაშვილმა „მონადირე“ გააუქმა. ამას დიდი ჟრიამული მოჰყვა. პროტესტი გამოთქვა ირაკლი ალასანიამ, რომელსაც მაშინ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა.

ალასანიამ ოქრუაშვილის გადაწყვეტილებას მცდარი უწოდა და განაცხადა, რომ „მონადირეს“ თავის უწყებას დაუქვემდებარებდა. იმ დროისათვის ოქრუაშვილი სააკაშვილის კარზე დიდი გავლენით სარგებლობდა. ოქროსთან დაპირისპირებული ალასანია მოხსნეს და გაეროში საქართველოს ელჩად გაამწესეს.

„მონადირის“ გაუქმების მიუხედავად, ხეობაში იარაღი მაინც დიდი რაოდენობით დარჩა. მოსახლეობას იარაღი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს დაურიგეს. აქაურობა მარუხის უღელტეხილთან ახლოს არის, სადაც თავის დროზე გერმანელებმა დესანტი გადმოსხეს. მოსახლეობისგან იარაღი კომუნისტებსაც კი არ ამოუღიათ. სააკაშვილის ხელისუფლებამ კი იარაღი ამოიღო და მერე, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ხეობა მიატოვეს. ხალხს ხეობის დასაცავად თოფებიც კი აღარ დაუტოვეს.

ხეობის დაცლის გადაწყვეტილებას ვანო მერაბიშვილი იბრალებს. მას ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა. ამ საქმის გარშემო ბევრი რამე იცის ირაკლი ოქრუაშვილმაც. ამ შემთხვევაში ჩაბარებას არ ვგულისხმობთ, „დაბრუნების“ ოპერაციაში ისიც მონაწილეობდა და მაკედონელივით დაიჯგიმებოდა ხეობაში.

ყველაზე საინტერესო ამბის მოყოლა კი ემზარ კვიციანს შეუძლია. მან „დაბრუნებაზეც ბევრი რამ იცის და ჩაბარებაზეც. ამ დროისათვის კვიციანი სამშობლოში დაბრუნებას ისევ ვერ ახერხებს. ახალი ხელისუფლება ჯერჯერობით თავს იკავებს პოლიტდევნილის სტატუსების გაცემაზე. ახალმა პარლამენტმა ასეთი სტატუსი გასული წლის დამლევს 25 ადამიანს მიანიჭა.

ხეობის „დაბრუნების“ ოპერაციის მიმდინარეობისას დააკავეს ნორა კვიციანი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ხეობის დაცვაში. ამ ქალს უშუალოდ ეკავა ხელში იარაღი და თავის მიწას იცავდა. ის 6 წლით ციხეში გამოამწყვდიეს. ნორა კვიციანმა საპატიმრო გასული წლის ბოლოს დატოვა. ის ახლა პოლიტპატიმრის სტატუსს ელოდება და სხვებთან ერთად ითხოვს იმის გამოძიებას, თუ რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში. მისი აზრით. კოდორის ხეობის მტრისთვის ჩაბარება სააკაშვილის ხელისუფლების ინტერესებს წარმოადგენდა.

— 14 წლის განმავლობაში ვიბრძოდით, რომ აფხაზეთი არ დაკარგულიყო და მისი აღიარება არ მომხდარიყო. აღიარება სწორედ იმიტომ ვერ ხერხდებოდა, რომ ხეობა იყო აუღებელი. მათ ყველაფერი გააკეთეს, იარაღი შემოგვაჩეჩეს ხელში, რათა ჩვენ მოღალატეებად გამოვჩენილიყავით. ამ ყველაფერს ირაკლი ალასანია ეწინააღმდეგებოდა, თუმცა მას ოქრუაშვილი გადაემტერა. ყველას გვეგონა, რომ რუსეთი ბომბავდა ხეობას, სინამდვილეში კი ეს ჩვენი ხელისუფლება ყოფილა. როდესაც კოდორის ხეობაში ჯარი შემოვიდა, ოქრუაშვილმა ჩემი სახლის თავზე გამარჯვების დროშაააფრიალა. მე დამაპატიმრეს და გამოაცხადეს, რომ კოდორი დაიბრუნეს. თუმცა, ჩნდება შეკითხვა — ვისგან დაიბრუნეს კოდორი და ამ კითხვას პასუხი სჭირდება, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ნორა კვიციანი.

ემზარ კვიციანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ჩამოსვლას ვერ ახერხებს, კოდორის ჩაბარებაზე საუბარს არ ერიდება, მაგრამ დაბრუნების შემდეგ უფრო ბევრი რამის თქმას აპირებს. ის 2003 წელს მის მიერ გაკეთებულ განცხადებებსაც იხსენებს. მაშინ კვიციანმა მართლაც თქვა, რომ სააკაშვილი ხეობას ჩააბარებდა. კვიციანი ამბობს, რომ ხეობის შენარჩუნებაში შევარდნაძემაც დიდი წვლილი შეიტანა.

— შესაძლოა, შევარდნაძეს ბევრ რამეს აბრალებდნენ, მაგრამ, კოდორი რომ შენარჩუნებული იყო, ეს მის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. ამის მაგალითებია 2001 წელს გილაევის შემოყვანა კოდორში, 2002 წლის 12 აპრილს რუსეთის დესანტის გადმოსხმა, რომელიც შეთანხმებული იყო ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან, კერძოდ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან და რიგ სხვა მაღალჩინოსნებთან. შემდეგი ნაბიჯი 2002 წლის აგვისტოს დასაწყისში ისევ ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეთანხმებით მარუხის უღელტეხილთან დაახლოებით 25-30 კილომეტრი ტერიტორიის დათმობა იყო, რომელიც მე და ჩემმა ხალხმა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად 2002 წლის 13 აგვისტოს გავათავისუფლეთ და მთელ ტერიტორიაზე კონტროლი აღვადგინეთ. როცა ამ ყველაფერს შეხედეს, ხელისუფლებაში ითქვა ასეთი ფრაზა: „სანამ კვიციანი არის, ვერავინ ხეობას ვერ ჩააბარებს“. როცა სააკაშვილის ხელისუფლება მოდიოდა, მე მაშინვე ვთქვი, რომ მას კოდორის ჩაბარების ვალდებულება ექნებოდა აღებული, რაც შესრულა კიდეც. ამის შესახებ ვამბობდი ყველგან, მაგრამ ვინ დამიჯერა?! მავანს ეგონა, რომ მე იქიდან ვიკვებებოდი — დიახ, კოდორი ჩემი ავტორიტეტი იყო, დიახ, მე ვიყავი უმდიდრესი და უბედნიერესი, რომ ვიყავი კოდორელი, — აცხადებს ემზარ კვიციანი.

2006 წელს ხეობაში ჩატარებულ ოპერაციას ის მარტო ოქრუაშვილს არ აბრალებს და ამბობს, რომ ამაში მთელი ხელისუფლება მონაწილეობდა, თუმცა იდეა ირაკლი ოქრუაშვილს ეკუთვნოდა.

### შავი აგვისტო

2008 წლის 13 აგვისტოს კოდორის ხეობაში რუსები და აფხაზები შევიდნენ. მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. კვიციანის განცხადებით, ხეობის შენარჩუნება თავისუფლად შეიძლებოდა, მაგრამ ის ჩააბარეს, რადგანაც უნდა ჩაებარებინათ.

— მონდომების შემთხვევაში, ხეობის შენარჩუნება შეიძლებოდა, ამათ არ მოინდომეს და უბრძოლველად დატოვეს ტერიტორია, რომლის შენარჩუნებასაც ამდენი წელი, ამდენი სისხლი და ჯაფა შევალიეთ. 2008 წლის 13 აგვისტოს ჩაბარდა კოდორის ხეობა და 26 აგვისტოს აღიარეს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა. მიზანი მიღწეულია, ის, რისთვისაც ვიხოცებოდით ამდენი წელი, 13 დღეში უფეშქაშა სააკაშვილის ხელისუფლებამ მოწინააღმდეგეს, კოდორი ბევრჯერ გადავარჩინეთ, ჩვენ გვქონდა ჯენტლმენური შეთანხმება აფხაზებთან, რომელიც აღარ ირღვეოდა არც ერთი მხრიდან და ურთიერთობაც მოგვარებული გვქონდა. ნდობას კი მხოლოდ ის ადამიანები იმსახურებენ, ვინც არ ტყუის, არ ღალატობს თავის სიტყვას, ვინც ნამდვილი ვაჟკაცია და არა ფლიდი და ლაჩარი, როგორც სააკაშვილი! მე და ჩემ მიერ შექმნილმა რაზმმა ხეობის შენარჩუნება 14 წლის მანძილზე შევძელით, მაშინ, როცა საქართველო ყველაზე სუსტად იყო ეკონომიკურად და ახლა მით უმეტეს შევძლებდით. სააკაშვილს რომ კოდორის გადარჩენა სდომებოდა, სანამ შეიარაღებას შეიყვანა კოდორში, მანამდე ის ხელშეკრულება უნდა გაეუქმებინა, რომლის მიხედვითაც ქართულ მხარეს არ ჰქონდა იქ შესვლის უფლება. რატომ არ გააკეთა ეს? მაშინ ხომ სამართლებრივადაც გამართლებული იქნებოდა ქვედანაყოფის კოდორში შესვლა? ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც დაუგეგმეს, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში კვიციანი.

ავადსახსენებელი აგვისტოს დღეების მოგონება მას დღემდე უჭირს. იხსენებს იმასაც, როგორ ავრცელებდნენ მის წინააღმდეგ ჭორებს ნაციონალები. ალბათ, გახსოვთ, როგორ გადმოსცემდა კონტროლირებადი მედია, რუსულ ჯარებს ემზარ კვიციანი და იგორ გიორგაძე მოუძღვებიანო.

კვიციანი იმასაც გვახსენებს, როგორ უწოდებდა ის ვანო მერაბიშვილს რუსეთის აგენტს. დევნილობაში მყოფი დარწმუნებულია, რომ მერაბიშვილი რუსეთის დავალებით მოქმედებდა. მან ვანოზე განხორციელებული „თავდასხმაც“ გაიხსენა. ეს ინციდენტი 2007 წელს მოხდა. მაშინ გვამცნეს, რომ მერაბიშვილს ცეცხლი ემზარ კვიციანის ხალხმა გაუხსნა.

„ახალი თაობა“ მაშინ ამ ინციდენტზე აქტიურად წერდა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ იგორ გიორგაძე ემზარ კვიციანს სთხოვდა, ეს ტერაქტი თავის თავზე აეღო.

— მე მერაბიშვილის რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირზე ხშირად ვსაუბრობდი. ეს მაშინ არავის სჯეროდა. ახლა ამაზე უკვე თავად „ნაციონალებიც“ ალაპარაკდნენ. გაკეთდა რამდენიმე განცხადება. მერაბიშვილის აგენტობაში მე 2007 წელს დავრწმუნდი. 2007 წელს მერაბიშვილი მოულოდნელად ავიდა ხეობაში, სადაც რუს ოფიცრებს შეხვდა. როგორც ვიცი, ტყეში იქეიფეს და მწვადები ჭამეს. როცა დაიშალნენ, იმ ადგილს, სადაც ქეიფობდნენ, რუსებმა ცეცხლი გაუხსნეს, ვითომ ტერაქტი იყო მერაბიშვილის წინააღმდეგ, — ამბობს კვიციანი.

ის მიიჩნევს, რომ გამოძიება უნდა ჩატარდეს, თუმცა სიმართლის დადგენის დიდი იმედი არ აქვს და მიაჩნია, რომ ისედაც ყველაფერი ნათელია.

— რაღა გამოძიებაა საჭირო, როცა იარაღის გასროლის გარეშე დაუთმეს კოდორი რუსებს, ნატოს ტექნიკიანად. ეს იყო არნახული, ღია და დაუფარავი ღალატი, — ასეთია კვიციანის პოზიცია.

ხვალ კოდორის ჩაბარებიდან 5 წელი სრულდება. საინტერესოა, რას იტყვიან ნაციონალები ამ ფაქტის შეფასებისას. ალბათ, როგორც ყოველთვის, თავს გაიმართლებენ და იმაშიც დაგვარწმუნებენ, რომ ის ომი ჩვენ მოვიგეთ.

# დავით საგანელიძე: „არ გამაკეთებინონ ის, რომ ერთი ბრძანება გავცე და სააკაშვილი ვერსად ვერ შევა“

შორენა მარსაგიშვილი



**ზუგდიდში პოლიტიკური ტემპერატურა ძალიან მაღალია. „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, კახა მიქაია, გრიგალივით დაქრის და ნაციონალებს სისხლს უშრობს. წინა კვირაში მან ორჯერ ჩამოუქროლა ნაციონალებს და გვარიანად აუწიოკა ნერვები.**

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი ტობა ვარჩხილაზე აპირებდა სამდღიან ლაშქრობაში წასვლას. ეს ულამაზესი ადგილი სამეგრელოში მდებარეობს. ტობას დალაშქვრის მსურველი სააკაშვილი თანმხლებ პირებთან ერთად რეგიონში ჩავიდა.

პრეზიდენტს საქართველოს მასშტაბით რამდენიმე რეზიდენცია აქვს. ერთი რეზიდენცია მას ზუგდიდში აქვს წამოჭიმული. რომელსაც კახა მიქაია ყარაულობს. მან რამდენჯერმე განაცხადა, რომ არ დაუშვებს სამეგრელოში სააკაშვილის ჩასვლას.

7 აგვისტოს ღამით მიქაია და კამპანია რეზიდენციასთან მიიჭრენ და სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვდნენ. ამასთან პრეზიდენტს წყევლიდნენ და კრულავდნენ. აღშფოთებული აქციის მონაწილეების დაშოშმინება პოლიციამ სცადა, მაგრამ არ გამოუვიდათ. კახა მიქაია კიდევ უფრო აღშფოთდა. პოლიცია იძულებული გახდა ის დაეკავებინა.

დაკავებული მიქაია 8 აგვისტოს 100 ლარიანი ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. თავისუფლებაზე გამოსულმა მიქაიამ განაცხადა, რომ აქტიურობას არ შეწყვეტს და სააკაშვილს სამეგრელოში, კერძოდ კი ზუგდიდში არ გააჭაჭანებს.

დანაპირები მიქაიამ და მისმა მეგობრებმა 11 აგვისტოს ღამის 2 საათზე შეასრულეს. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ზუგდიდში მდებარე რესტორან „დიარონში“ თანმხლებ პირებთან ერთად ღამის 2 საათზე შეიარა.

შესანიშნავი სუფრა გაიშალა, მაგრამ კახა მიქაია ვის აცლის მშვიდად ჭამას. მან და მისმა მეგობრებმა რესტორნის წინ ხმაურიანი და სერიოზული აქცია მოაწყვეს. პრეზიდენტი იძულებული გახდა რესტორანი დაეტოვებინა. აქციის მონაწილეებმა ის შეძახილებით და წყევლით გააცილეს.

აქციის მონაწილეების განაცხადებით, სააკაშვილს ზუგდიდში ჩასვლის მორალური უფლება არ აქვს.

– მას შემდეგ, რაც მისმა რეჟიმმა დაატრიალა ჩვენს ქვეყანაში და განსაკუთრებით, ჩვენს კუთხეში, მიხეილ სააკაშვილს მორალური უფლება არ აქვს, იაროს სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდში, იჯდეს და ქეიფობდეს რესტორნებში, ვილაცეები დაჰყავდეს რეზიდენციაში. ეს არის ამორალური საქციელი, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კახა მიქაიამ.

ჩაშლილ პურ-მარილს დეპუტატი გოგა ხაჩიძეც ესწრებოდა. ის დარწმუნებულია, რომ აურზაური ხელისუფლების მიერ არის მოწყობილი.

– გვქონდა სხვადასხვა შეხვედრები. მთელი დღე ლუკმა არ გვქონდა ნაჭამი. რესტორანი 15 წუთით ადრე გავაფრთხილეთ რომ სავახშმოდ მოვიდოდით. საინტერესოა ვინ გააფრთხილა ეს ხალხი, – ჩაეძია ჟურნალისტებს გოგა ხაჩიძე.

ის, სხვა ნაცმოძელების მსგავსად დარწმუნებულია, რომ ამაში მეოცნებეების ხელი ურევია. ზუგდიდში მომხდარ ყველა ინციდენტს რატომღაც „ქართულ ოცნებას“ აბრალებენ. ასე იყო პრაიმერის დროსაც. ალბათ გახსოვთ ზუგდიდში პრაიმერის მონაწილე ნაციონალებს კვერცხები დაუშინეს და სირცხვილის დერეფნები მოუწყვეს. სხვათა შორის კახა მიქაია მაშინაც დააკავეს.

„ქართულმა ოცნებამ“ მაშინ საგანგებო განცხადება გაავრცელა. მეოცნებეებმა ეს ფაქტი დაგმეს. ნაციონალები კი დღემდე ამტკიცებენ, რომ მიქაია მათი დავალებით აწიოკებს პრეზიდენტის პარტიას.

ეს ბრალდებები საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძესაც აქვს მოსმენილი. ეტყობა ამდენი ბრალდება ყელში ამოუვიდა და პროტესტიც გამოხატა.

საგანელიძის განცხადებით, „ქართულ ოცნებას“ რომ მიხეილ სააკაშვილის გადაადგილებისთვის ხელის შეშლა უნდოიდეს, ამას მარტივად მოახერხებდა.

– ჩვენ, იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია, რომ გვინდოდეს, რომ მიხეილ სააკაშვილის მოძრაობა შევაფერხოთ, ან მათი ღონისძიებები ჩავშალოთ, ან არ მივცეთ შენობაში შესვლის საშუალება, 5 წუთში დავანახებდი, როგორ მოხდებოდა ეს. თუ ეს ძალიან აინტერესებს, მართლა არ გამაკეთებინონ ის, რომ ერთი ბრძანება გავცეთ ჩვენ და ვთქვათ, რომ აბა, მიხეილ სააკაშვილი არ შევიდეს რომელიმე რაიონში და თუ შევა, ვნახოთ. მერე მიხვდება, როგორი აბსოლუტურად თავისუფალი ველი აქვს სამოძრაოდ დღეს, – განაცხადა საგანელიძემ.

მისივე თქმით, ერთადერთი შემთხვევა იყო, ნაციონალური მოძრაობის საწინააღმდეგო აქციაზე ვილაცამ ქვა ისროლა, რისთვისაც ეს ადამიანი დასაჯეს და პარტიიდან გარიცხეს.

უმრავლესობის ლიდერის ამ განცხადებას ნაცმოძი შეუფასებელს არ დატოვებს. გუშინ ის ამ განცხადებისთვის ყოფილმა ლეიბორისტმა კახა ძაგანიამ დაგმო.

„მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი კახა ძაგანია, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის განცხადებას ეხმაურება და დავით უსუფაშვილს პარლამენტის საგანგებო სხდომის მოწვევას სთხოვს.

– საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის დღევანდრლი განცხადება, სადაც იგი მუქარით აფრთხილებს, რომ 5 წუთში გასცემს ბრძანებას და პრეზიდენტს საქართველოს რეგიონებში არ შეუშვებენ, საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის უხეში დარღვევაა. საინტერესოა უმრავლესობის ლიდერს „ბრძანების“ გაცემისას კანონის რომელი მუხლით უნდა ეხელმძღვანელა. აღნიშნულის გამო ვითხოვთ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა მოიწვიოს პარლამენტის საგანგებო სხდომა და იმსჯელოს უმრავლესობის ლიდერის მიერ, უპასუხისმგებლო, ქვეყნისთვის საზიანო განცხადებების შესახებ, – აცხადებს ძაგანია.

## ქართველმა პოლიციელმა სპორტსმენებმა კიდევ 7 ოქროს მედალი მოიპოვეს

ქართველმა პოლიციელმა სპორტსმენებმა კიდევ 7 ოქროს მედალი მოიპოვეს.

„მსოფლიო პოლიციის და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე“ ქართველი პოლიციელი მოკრივე ედუარდ იმერლიშვილი ოქროს მედალს ფრანგი სპორტსმენის დამარცხების შემდეგ დაეუფლა.

იმავე დღეს ქართველმა მკლავჭიდელებმა 6 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

102 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე თენგიზ ედილაშვილი – მარჯვენა და მარცხენა ხელით გამართულ შეჯიბრში გამოვიდა და 2 ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ვლადიმერ კობახიძემ 80 კგ წონით კატეგორიაში ასევე ორივე ხელით იასპარეზა და 2 ოქროს მედალი მოიპოვა.

მძიმე წონით კატეგორიაში ლევან საგინაშვილმაც ასევე ორი ხელით იბრძოლა და მანაც 2 ოქროს მედალი აიღო. 100 კგ წონით კატეგორიაში კი გელა გელაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ირლანდიაში, ქალაქ ბელფასტში გამართულ „მსოფლიო პოლიციის და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაკრებმა მონაწილეობა წელს პირველად მიიღო. დღეისათვის შსს-ს ნაკრებს სპორტის 7 სახეობაში 12 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული.

ოლიმპიადა 12 აგვისტოს დასრულდება.

პირველი

## თენგიზ ჯგუშიას 2 000-ლარიანი გირაო შეეფარდა



ყოფილი დეპუტატი, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს ხმის“ ლიდერი თენგიზ ჯგუშია ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

შეგახსენებთ, რომ „სამეგრელოს ხმის“ ლიდერს ბრალი სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 239 მუხლით წარედგინა. პირველი მათგანი თავისუფლების 5-დან 8 წლამდე აღკვეთას, მეორე კი 3-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ცნობისთვის, ინციდენტი ზუგდიდში რამდენიმე დღის წინ მოხდა. ჯგუშიამ ზუგდიდის გამგებლის მოადგილეს მერაბ ქვარაიას ესროლა, თუმცა ის არ დაშავებულა.

პირველი

## განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ერთი პირი დააკავეს

სამართალდამცველებმა წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1965 წელს დაბადებული ალექსანდრე ზ. განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 9 აგვისტოს, თბილისში, პეკინის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი სლოტ-კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, განზრახ მკვლელობის მიზნით, 1982 წელს დაბადებულ გიორგი ს-ს მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გასროლა მოახდინა და ადგილიდან მიიმალა. გიორგი ს. მიღებული ჭრილობით რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს. მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა ალექსანდრე ზ. თბილისში, ძმის საცხოვრებელ ბინაში დააკავეს. ამავე ბინიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს დანაშაულის იარაღი – „ჩე-ზეს“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდითა და 8 საბრძოლო ვაზნით, ასევე, „გეკოს“ 5 ტყვია.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსსკ-ის 18-109-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

პირველი

## მაშველებმა ლენტეხის რაიონში დაშავებული მოლაშქრეები ხეობიდან გამოიყვანეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადების და რეაგირების სამმართველოს მაშველებმა, რაჭა-ლეჩხუმის საგანგებო სიტუაციების რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, წარმატებული სამაშველო ოპერაცია განახორციელეს.

შსს-ს ინფორმაციით, ლენტეხის რაიონში, ლათურის მთების მოსანახულებლად მყოფი პირები მდინარე ცხენისწყლის სათავის მახლობლად, 2000 მეტრის სიმაღლეზე შეფერხდნენ, რადგან ლაშქრობის ერთ-ერთმა წევრმა ორივე ქვედა კიდურის ტრავმა მიიღო, რის გამოც ხეობიდან მისი სასწრაფო გამოყვანა გახდა საჭირო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადების და რეაგირების სამმართველოს მაშველებმა, ლაშქრობის ყველა წევრს დროულად მიაკვლიეს და ხეობიდან მათი გამოყვანა ვერტმფრენით უზრუნველყვეს.

ამ დროისთვის დაშავებული მოლაშქრე ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრშია გადაყვანილი.

პირველი

## რესტორან „ლოფტში“ მომხდარი ჩხუბის გამო ხუთი პირი დააკავეს

ვაკეში, მოსაშვილის ქუჩაზე მდებარე რესტორან „ლოფტში“ მომხდარი ჩხუბის გამო სამართალდამცველებმა ხუთი პირი დააკავეს. წინასწარი ინფორმაციით, ჩხუბი რესტორანში მყოფ ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის დაიწყო. ინციდენტთან გამკლავება რესტორნის დაცვამ ვერ შეძლო, რის შემდეგაც ადმინისტრაციამ საპატრულო პოლიცია გამოიძახა.

მომხდარის შედეგად, როგორც ჩხუბის მონაწილე პირები, ასევე რესტორანში მყოფი სხვა პირები დაშავდნენ.

დაზიანებულია რესტორნის ინვენტარი, ჩამსხვრეულია შენობის მინები. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით, რაც ჯგუფურ ხულიგნობას გულისხმობს. დაკავებულებს ბრალს ოფიციალურად სავარაუდოდ, დღეს წაუყენებენ.

პირველი

## შატილში დაკარგული ტურისტები იპოვეს

შატილში დაკარგული ტურისტები უკვე იპოვეს. არხოტიდან მიმავალი სამი ფრანგი ტურისტი გზაში ქართველ მასპინძელთან და თარჯიმანთან ერთად დაიკარგა.

ტურისტების ჯგუფთან დაკავშირება გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა.

მთელი ღამის განმავლობაში სამაშველო სამსახურები ძებნის სამუშაოებს აწარმოებდნენ. ტურისტებს პრობლემა გზაზე არსებული რთული რელიეფის გამო შეექმნათ.

,,გუშინწინ გავიდნენ გუდანიდან, გამცილებელი ხეობამდე გაყვა და შემდეგ დაშორდნენ ერთმანეთს და გუშინ საღამოს უკვე შატილში უნდა ჩასულიყვნენ. არჩასულან და გამოცხადდა განგაში. გავგზავნეთ სამაშველო ჯგუფები, ჩემი მოადგილე ხელმძღვანელობდა ჯგუფს და ეს წუთია დამირეკა, რომ იპოვეს და გამოჰყავთ დაკარგულები“, – განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ხატუნა ოჩიაურმა.

მედიანიუსი

## მეუფე იაკობი: „ქართველი კაცი უზნეობას არ უნდა შეეგუოს“



. ბოდბის ეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა გუშინდელ საკვირაო წირვაზე ზნეობის შესახებ იქადაგა და ბრძანა, რომ ეკლესია ყოველთვის ზნეობის სადარაჯოზე იქნება და ქართველი კაცი არ შეიძლება უზნეობას შეეგუოს.

როგორც მან ქადაგებისას აღნიშნა, ის რაც საძაგელია ღვთისთვის, საძაგელი უნდა იყოს ადამიანისთვისაც.

„ძალიან ბევრი მოეთხოვება ადამიანს და არ შეიძლება ის უზნეობას შეეგუოს. როცა უზნეოდ ცხოვრობ ულმერთოდ ხარ ადამიანი და ღმერთის არ ხარ, როდესაც გარყვნილებაში და გარყვნილობის ჭაობში ცხოვრობ და არ ხარ ღმერთის, მაშინ ხარ უბრალოდ ადამიანის ფორმის მატარებელი. ყველა უნდა დაფიქრდეს, თუ რატომ არის, როდესაც ქართველი ერი იცავს სარწმუნოებას, ის თითოეული ადამიანისთვის იბრძვის, მას არ უნდა, რომ ვინმეს რალაც ცუდი შეემთხვას. ჩვენმა ერმა იცის, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, თუმცა ხშირად ხდება, რომ ჩვენც გადავვარდებით ხოლმე უზნეობის ჭაობში, მაგრამ მოწყალე ღმერთი გამოგვაფხიზლებს ხოლმე“, – ბრძანა მეუფე იაკობმა და დასძინა, რომ რაც არ უნდა მტკივნეული იყოს, ვალდებულები ვართ, რომ ერთმანეთს სწორი გზა სიყვარულით მივუთითოთ. მისივე თქმით, ეკლესია ყოველთვის იქნება იმის სადარაჯოზე, რომ აღვირახსნილი ცხოვრებით არ იცხოვროს ადამიანმა.

როგორც მან განმარტა, აღვირახსნილ ცხოვრებაში არა მარტო მრუშობა, არამედ ძარცვა, ყაჩაღობა, სხვისი ჩაგვრაც მოიაზრება.

,,ჩვენი ეკლესია ყოველთვის დაიცავს იმას, რასაც საუკუნეების განმავლობაში იცავდა“, – ბრძანა მეუფე იაკობმა. ქადაგების დასასრულს მეუფემ ქართველი სამხედრიოებიც დალოცა.

მედიანიუსი

## მთავარ პროკურატურასთან აქცია გაიმართა

საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“, ,,წინააღმდეგობის მოძრაობამ“ და მედიაკავშირმა ,,ობიექტივი“ აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეები მთავარი პროკურორისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომას ითხოვდნენ. აქცია 15.00 საათზე დაიწყო და ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ დროა გასამართლდნენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები და შეწყდეს კოჰაბიტაციის პროცესი. ისინი მიიჩნევენ, რომ ახალი ხელისუფლება არაფერს აკეთებს გახმაურებული საქმეების გამოსაძიებლად.

,,უამრავი საქმეა შესული პროკურტურაში, რეაგირება არ არის ადეკვატური. ჩვენი საზოგადოება მოელის სამართლიანობის აღდგენას და როდესაც მთავარი პროკურორი მისი უუნარობის, ან რაღაცა სხვა ფაქტორების გამო ვერ ახერხებს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ის უნდა გადადგეს“, – განაცხადა ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა.

აქცია პროტესტის ნიშნად დატოვა ბუტა რობაქიძის მამამ, სოსო რობაქიძემ. ის მიიჩნევს, რომ ამჯერად აქცია არა პროკურატურასთან არამედ უზენაეს სასამართლოსთან უნდა იმართებოდეს.

აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ წითელი ბარათები ნიშნად იმისა, რომ ეს არის ბოლო გამაფრთხილებელი აქცია და თუ არ მოხდება ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების, მათ შორის პრეზიდენტის გასამართლება, სექტემბრიდან მასობრივი აქციები დაიწყება.

მედიანიუსი

# „შრომის კანონი ძალიან სუსტია“

შორენა კოწოწაშვილი

**არის თუ არა სუსტი შრომის კოდექსი და ანადგურებდნენ თუ არა გამიზნულად განათლების ყოფილი მინისტრი შაშკინი და შპს „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ეზუგბაია დარგობრივ პროფკავშირებს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პროფესიული გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ალექსანდრიასთან.**

***— ბატონო გოჩა, რა ვითარებაა პროფკავშირებში და რატომ არის მედიასაშუალებებით ბრალდებები და გადაძახილები თქვენს გაერთიანებასა და რკინიგზის პროფკავშირს შორის? ბრალდებები იგივე ფინანსების არასწორად მართვასთანაც ისმის...***

— მინდა გითხრათ, რომ არანაირი გადაძახილები ჩვენსა და რაღაც ყალბ პროფკავშირებს შორის არ არსებობს, უბრალოდ, იძულებული ვართ, პრესით გასულ მასალაზე პასუხი გავცეთ. უფრო მეტიც, მინდა გითხრათ, რომ რკინიგზელთა აი, ამ პროფკავშირთან, ვითომ პროფკავშირთან, არაფერი გვაკავშირებს. ჩვენ ისინი გავრიცხეთ. გამგეობის 25-მა წევრმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. სხვა პროფკავშირების ხელმძღვანელებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, მათ შორის ტრანსპორტის და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარეებმა. რკინიგზელებს მართლაც სჭირდებათ პროფესიული კავშირი, რომელიც დაიცავს მათ უფლებებს და იქნება რეალურად დემოკრატიული, როგორც სტრუქტურულად, ისე გადაწყვეტილების მიღების კუთხითაც. ჩვენზე, როგორც ორგანიზაციის ლიდერებზე, არასოდეს გავლენა არ ჰქონია ნაციონალურ მოძრაობას. ამას ადასტურებს ჩვენი ბოლო 8-წლიანი მოღვაწეობა, რომელიც გაჯერებულია საერთაშორისო საჩივრებით — შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში, ევროკავშირში, ამერიკის მთავრობაში, სტრასბურგში და ა. შ. რაც რკინიგზაში დღეს დარჩა და რომელსაც თენგიზ სანიკიძე წარმოადგენს, ეს არის ადმინისტრაციის დანამატი. ეს საბჭოთა პერიოდის პროფკავშირს მაგონებს. ჩვენ, როგორც შეგვიძლია, დასავლურ სტანდარტებზე გადაგვყავს ჩვენი ორგანიზაცია. ამის ნაწილი იყო ის გადაწყვეტილებაც რკინიგზის პროფკავშირების გარიცხვაზე. ლომიძემ და სანიკიძემ, რომლებიც გაურკვეველი ორგანიზაციის გამგეობაში არიან, თვითონ დააყენეს თავი პროფკავშირებს გარეთ. დაარწმუნონ რკინიგზელები, რომ მართლაც წარმოადგენენ მათი უფლებების დამცველებს და რაიმეს გაკეთება შეუძლიათ. სანიკიძე არა მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენელია, ის 12 ივნისის ყრილობაზე მოსული იყო ორი მანდატით, ერთი — საკუთარი, მეორეზე მინდობილობა ჰქონდა ოლეგ ბიჭიაშვილის, ანუ რკინიგზის დირექტორის პირველი მოადგილის, რომელიც არის ამავდროულად დირექტორთა საბჭოს წევრი. დამსაქმებლის ადგილი პროფკავშირის ყრილობაზე არის პრეზიდიუმში და გამომსვლელად, რომ კოლექტივს წარმოუდგინოს, რას აკეთებს იმისათვის, რომ გააუმჯობესოს მუშათა მდგომარეობა. 8 წლის განმავლობაში გაერთიანებული პროფკავშირები არის იმ არასამთავრობოების ხუთეულში, რომელთა არჩევნებზე ყრილობებზე წინა მთავრობა გავლენას ვერ ახდენდა. ამის დასტურია ის უამრავი საჩივარი, რაც ჩვენი მხრიდან იწერებოდა. არც წინა მთავრობა ჩარეულა და იმედია, არც ეს ხელისუფლება ჩაერევა ამ ორგანიზაციის საქმიანობაში და არც მის არჩევნებში.

***— რას იტყვით იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომლებიც ორგანიზაციის მხრიდან ფინანსების არამიზნობრივად ხარჯვას ეხება?***

— პროფკავშირების გაერთიანების წევრებისთვის აბსოლუტურად ღიაა ფინანსების საკითხი. წელიწადში ორჯერ წარვადგენთ ფინანსურ ანგარიშს ჩვენი გამგეობის წინაშე. მათ შორის ჰამლეტ ლომიძეც იყო გამგეობის წევრი რამდენიმე წელი და ხმას აძლევდა ამ საკითხებს. ჩვენი ძირითადი შემოსავალი არის საწევრო ანარიცხები და ეს დაფარული არ არის. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ არა გვაქვს დიდი შემოსავალი. დარგობრივი პროფკავშირებისთვის ჩარიცხული თანხებიდან ჩვენთან 5-10% მოდის. თქვენთან ინტერვიუში ბატონმა თენგიზმა ახსენა, თითქოს 10 000 წამილია რკინიგზის პროფკავშირებიდან. ეს სრული აბსურდია. მე იქ რამდენიმე წელი მართლაც ვმუშაობდი და ვიღებდი ძალიან მიზერულ ხელფასს. კარგად გაიხსენოს სანიკიძემ, ვინ ამზადებდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან



წერილებს, რომლებიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ნამუსზე შეგდებით ვაწერინებდით ხელს ჰამლეტ ლომიძეს წერილებზე, რადგან თავმჯდომარე ის იყო. თვითონ არ უნდოდა, რადგან ეზუგბაიასი ეშინოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეზუგბაია ორგანიზაციას ახრჩობდა, ლომიძე მაინც ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ როგორმე ეზუგბაიას მისთვის გაეღიმა და ძველ „ძმაკაცურ“ სიტუაციაში დაბრუნებულიყო. ჩვენ შევანარჩუნებინეთ დამოუკიდებლობა რკინიგზის პროფკავშირს.

***— თუმცა პროფკავშირების გაერთიანებას რკინიგზის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საჯარო განცხადება არ გაუკეთებია...***

— რას ლაპარაკობთ, ტონობით საჩივარს გაჩვენებთ ეზუგბაიას წინააღმდეგ, როგორც შრომითი უფლებების დამრღვევზე, რომელიც 2010 წლის ზაფხულიდან არის დაწერილი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში არის ჩვენი საჩივრები. ამავე წლის სექტემბერში ამერიკის პროფკავშირებს გავუგზავნეთ თხოვნა და მათ შეიტანეს ჩვენი სახელით საჩივარი ამერიკის მთავრობაში საქართველოსთვის ჯი-ეს-პის ანუ თავისუფალი ვაჭრობის საკითხი დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ საჩივარში მოხსენიებული გვყავს შაშკინი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც განათლების სფეროში ხდებოდა, ეზუგბაია — რკინიგზასთან დაკავშირებით, ასევე ფოსტასთან და სილქნეტში მიმდინარე პროცესებთან გვყავს კონკრეტული პირები მოხსენიებული წინა მთავრობიდან. რეალურად მხოლოდ ჩვენ ვაგზავნიდით საჩივრებს ამ კუთხით საერთაშორისო ორგანიზაციებში.

***— რკინიგზაში ახალი პროფკავშირი შეიქმნა. ფიქრობთ, რომ ეს ორგანიზაცია უფრო აქტიურად იქნება რკინიგზელთა უფლებების დამცველი? თუ რკინიზგის ძველი პროფკავშირი არ მოგწონდათ, რატომ აქამდე არ გარიცხეთ?***

— ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბდა იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ძალიან აქტიურები იყვნენ იმ ძველი პროფკავშირის ფარგლებში. მათთან ჩვენ ბოლო წელიწად-ნახევარი აქტიური კავშირი გვაქვს. მაშინ, როცა ეზუგბაია ახრჩობდა პროფკავშირს, მთავრობის ცვლილებამ სულზე მოგვისწრო, თორემ ეს ორგანიზაცია აღარ იქნებოდა. თუ ფიქრობთ, რომ იმ ძველ პროფკავშირს ვინმე წევრი ჰყავს, აგერ თქვენ და აგერ მე. ბროწეულაში ჩატარებული დიდი აქცია არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, ვიტალი გიორგაძის და მისი კოლექტივის მიერ იყო ორგანიზებული. იმის თქმა, რომ გიორგაძე არარკინიგზელია, არ შეიძლება. ის 2011 წელს გააგდო ეზუგბაიამ სამსახურიდან იმის გამო, რომ პროფკავშირებში აქტიურობდა. ჩვენი ორგანიზაცია, როგორც აღვნიშნე, ძალიან აქტიურად წერდა საჩივრებს საერთაშორისო ორგანიზაციებში და ყველა საერთაშორისო ექსპერტი ჩვენი ჩართულია შრომის უფლებების დაცვის კუთხით. გეთანხმებით, რომ პროფკავშირები არ იყო ისეთი აქტიური, როგორიც უნდა ყოფილიყო. ეს იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, პროფკავშირებში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც უნდა გეიძულებინა, ხმა ამოეღო ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რაც ხდებოდა მის ორგანიზაციაში. როგორც კი ლომიძემ დაინახა, რომ ადმინისტრაციასთან დათბობა შეიძლება,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „ბილაინის“ ახალი ოფისი ამიერიდან თელავის მოსახლეობასაც მოემსახურება

## კომპანიის მორიგი ოფისი კვლავ სოციალური პასუხისმგებლობის აქციით გაიხსნა



ბრივებს თუ ტურისტებს მომსახურების სრულ პაკეტს შესთავაზებს.

— სოციალური პასუხისმგებლობის აქცია „ნათელი ფერები ბავშვებს“, უკვე სამი წელია ხორციელდება და მასში „ბილაინის“ ათასობით აბონენტმა მიიღო მონაწილეობა როგორც თბილისში, ისე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. კომპანიის მიზანია, ჩვენს მიერ წამოწყებული საქმე, რაც ამ შემთხვევაში ბავშვებზე ზრუნვას გულისხმობს, ბოლომდე მივიყვანოთ და ერთჯერადი აქტივობებით არ შემოვიფარგლოთ, — ამბობს „ბილაინის“ გენერალური დირექტორი გიორგი ტყეშელაშვილი.



ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თელავში გასნილ აბონენტთა მომსახურების ახალ ოფისში 9 აგვისტოდან, 9 სექტემბერის ჩათვლით შეიძენს „ბილაინის“ მობილურს, ან სასტარტო პაკეტს, სოციალური პასუხისმგებლობის აქციის მონაწილე გახდება და მობილური ტელეფონის ღირებულებიდან 1 ლარი, ხოლო ნებისმიერი სასტარტო პაკეტიდან 50 თეთრი თელავის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლს მოხმარდება.

შეგახსენებთ, რომ უკვე რამდენიმე წელია, ყოველი ახალი ოფისის გახსნასთან ერთად, „ბილაინი“ სოციალური პასუხისმგებლობის აქციას „ნათელი ფერები ბავშვებს“ ატარებს, რომელიც მიზნად ისახავს მზრუნველობამოკლებული ბავშვების დახმარებას.

„ბილაინმა“ არც ამჯერად გადაუხვია ტრადიციას და ახალი ოფისი თელავშიც სოციალური პასუხისმგებლობის აქციით გაიხსნა.

თელავში ახალი ოფისი „ბილაინმა“ ქეთევან წამებულის №9ა-ში გახსნა, რომელიც ადგილობრივებს თუ ტურისტებს მომსახურების სრულ პაკეტს შესთავაზებს.

უნდა ითქვას, რომ თელავში „ბილაინის“ ოფისი 2007 წლიდან ფუნქციონირებს, თუმცა ამჯერად კომპანიამ გადაწყვიტა, გაცილებით დიდ ცენტრის გაკეთება, რათა აბონენტებმა მომსახურება უფრო კომფორტულ და ხელსაყრელ პირობებში მიიღონ. მათ შორის, მომხმარებლები შეძლებენ მობილური ტელეფონების განვადებით შეძენას.

**პლატონ კალმახელიძე, „ბილაინის“ თელავის ოფისის ხელმძღვანელი:**

— კომპანია განაგრძობს გაფართოებას და უახლოეს მომავალში მომხმარებელს კიდევ ბევრ სიახლეს შესთავაზებს. გარდა ამისა, კახელებს შეუძლიათ „ბილაინის“ სერვის ცენტრებით ისარგებლონ დედოფლისწყაროსა და გურჯაანში, ვინაიდან ჩვენ ე.წ ფრენჩიზები იქაც გვაქვს. ამიერიდან კი თელაველებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ ახალი ოფისის და კვალიფიციური თანამშრომლების მომსახურებით.

**გიორგი ტყეშელაშვილი, „ბილაინის“ გენერალური დირექტორი:**

— მინდა მივულოცო თელაველებს ახალი ოფისის გახსნა. ისინი ახლადგახსნილ აბონენტთა მომახურების ცენტრში მიიღებენ თანამედროვე სტანდარტების სერვისს, შეძლებენ მოხერხებულ ფასად შეიძინონ მობილური ტელეფონები, ან ისრაგბელონ განვადების სერვისით და მიღონ ნებისმიერი ის მომსახურება, რასაც „ბილაინი“ სთავაზობს თავის აბონენტებს.

ზოგადად, „ბილაინი“ განაგრძობს ახალი ოფისებისა და სერვის ცენტრების გახსნას, რათა იყოს უფრო ახლოს თავის აბონენტებთან და ჰქონდეს უფრო მჭიდრო კავშირი. სიახლეები იქნება შემოდგომიდან სატარიფო პოლიტიკისათან დაკავშირებითაც, თუმცა დეტალურად ამის შესახებ ჩვენი აბონენტები უკვე სექტემბრიდან შეიტყობენ.

*ბექა ავალიანი*

# ლადო პაპავა: „მარგველაშვილის მთავარი მეტოქე ბურჯანაძე იქნება“

შორენა კოწოწაშვილი

უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატი, პროფესორი ლადო პაპავა, დღეს პრობლემას არა ეკონომიკური ზრდის შენელებასა და მინუსებში გადასვლაში ხედავს, როგორც ამას ნაციონალები ამტკიცებენ, არამედ საკადრო სტაგნაციასა და ცალკეულ სამინისტროებში ძველი აპარატის არაპროფესიონალი კადრების შენარჩუნებაში.

გთავაზობთ ინტერვიუს ლადო პაპავასთან.



***— ბატონო ლადო, რას იტყვით შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე? კითხვაზე, რა შეიცვალა? — რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილის პასუხს იშველიებენ, რა შეიცვალა და ვანო მერაბიშვილი ციხეშია და ოპტიმისტურადაა განწყობილიო. მერაბიშვილის ოპტიმისტური განწყობისთვის დაუჭირა მხარი ქართველმა ხალხმა „ქართულ ოცნებას“?!***

— მესმის მოსახლეობის დამოკიდებულება, რომელსაც უნდა, რომ შედეგი სწრაფად იყოს. მარტო მერაბიშვილის ციხეში ყოფნა არ არის ის არგუმენტი, რომელიც ხალხისთვის იქნება ერთმნიშვნელოვნად მისაღები. მოლოდინი უფრო დიდია. მაგრამ ობიექტურად შევხედოთ შექმნილ ვითარებას. ჯერ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებიდან არ წასულა. პრაქტიკულად, თავის მავნებლურ საქმიანობას ქვეყნის წინააღმდეგ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილი. ამიტომ ჯერჯერობით, მოვთხოვოთ ჩვენს „ქართულ ოცნებას“, რომ ყველა იმედი გაემართლებინა, ალბათ, შეუძლებელია. ნაციონალები ცდილობენ, დასავლეთი შეცდომაში შეიყვანონ და ვანო მერაბიშვილი ქართველ იულია ტიმოშენკოდ გაასაღონ.

თეორიულად სწორი მიდგომაა, რომ ახალი პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში მოსვლა არ უნდა იწვევდეს მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურაში აპარატის შეცვლას. ეს არის ჯანსაღი მიდგომა, რომ საჯარო მოხელეებს არ ჰქონდეთ არასტაბილურობის განცდა და ინსტიტუტები ჩვეულ რეჟიმში აგრძელებდნენ მუშაობას. ეს დამკვიდრებული ტრადიციაა ცივილიზებულ სამყაროში. ჩვენს შემთხვევაში კი ამგვარი მიდგომა ნიშნავს არაპროფესიონალების შენარჩუნებას მთელ რიგ სამინისტროებში. მოგეხსენებათ, ნაციონალების აზრით, მაგალითად, პროფესიით ეკონომისტები არ იყო საჭირო ეკონომიკის სამინისტროში. ამიტომ დღეს ამგვარი კადრების ხელშეუხებლობა არის არაპროფესიონალიზმის სტაბილურობა. ასეთი სტაბილურობა კი გამართლებული ნამდვილად არ არის.

***— საბოლოოდ მაინც მინისტრის იმიჯს არყევს და არა მხოლოდ ძველი კადრების დატოვება, ხომ?***

— ქვეყანას აზიანებს. ძალიან დიდ პატივს ვცემ გიორგი კვირიკაშვილს. მინდა, მივულოცო ვიცეპრემიერობა. ეს საკმაოდ მაღალი პასუხისმგებლობაა. ვთვლი, რომ მოცემული პოლიტიკური თანაარსებობა საქმის გაკეთების სურვილით მოსულ ხელისუფლებასა და არაპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებულ სტრუქტურებს შორის, რა თქმა უნდა, ხელისშემშლელია. ამით უნდა აიხსნას ის პრობლემები, რომლებიც გვაქვს. ამის გარდა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჩვენ უკვე წინასაარჩევნო კამპანიაში ვართ შესული. სავარაუდოდ, ქვეყანას ახალი პრეზიდენტი ეყოლება ნოემბრის ბოლოს. რატომ ნოემბრის ბოლოს და, 27 ოქტომბერს არის არჩევნები; თუ პირველ ტურში დასრულდა არჩევნები, რაღაც პერიოდი დასჭირდება ინაუგურაციას. თუ მეორე ტური გაიმართა, მაშინ პროცესი გახანგრძლივდება, თანაც, არ არის გამორიცხული სასამართლო დავები. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახალი პრეზიდენტი არ იქნება ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი. აქედან გამომდინარე, დესტრუქციული ქმედებების გაგრძელება ნაციონალური მოძრაობიდან შეწყდება. ამის ფონზე კი ყველაზე გვიან 2014 წლის პირველ ნახევარში ბევრად უფრო ხელშესახები შედეგები ექნება დასადები „ქართულ ოცნებას“.

***— საპრეზიდენტო არჩევნებზე ქვემოთ ვისაუბროთ. ნაციონალების მტკიცებით, საბიუჯეტო შემოსავლებმა იკლო და მალე ქვეყნის ბიუჯეტს სეკვესტრი დაემუქრება.***

— საბიუჯეტო შემოსავლები ნამდვილად არ არის შემცირებული. ყველაზე ცუდ პერიოდშიც კი ის აღემატებოდა გასული წლის შემოსავლებს. ასე რომ, დღეს საბიუჯეტო შემოსავლების კლება არ გვაქვს, მაგრამ ეკონომიკაში გარკვეული პრობლემები მართლაც დაგროვდა. რაც შეეხება კრიტიკას, ხაზგასასმელია, რომ ნებისმიერმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელისუფლება უნდა აკრიტიკოს, მაგრამ ყველაზე ნაკლებად ამის მორალური უფლება სწორედ ნაცმოძრაობას აქვს. ყველაზე დიდი ზრდა, რომელიც იყო ქვეყანაში, ეს იყო ხელოვნურად ინსპირირებული და ეკონომიკის რეალური სექტორი არ განვითარებულა. განსხვავებით, ნაციონალების მმართველობის პერიოდში, მაგალითად, რომელი მსხვილი სამრეწველო ობიექტი გაიხსნა.

***— 8%-მდე იყო ეკონომიკის ზრდა და ახლა მინუსებში წავიდა ქვეყანა.***

— ჯერ ერთი, ზრდა გამოწვეული იყო გაუმართლებელი ხარჯებით. მაგალითად, ისეთი მცდარი ხარჯი, როგორიც იყო პარლამენტის მშენებლობაზე გაწეული, მაგრამ რომელიც აისახებოდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე. ეს იყო ბიუჯეტის ხარჯები, ასევე სხვადასხვა ფირმებს შეწერილი ჰქონდათ „ხარკი“. როცა ამხელა ხარჯებს გასწევ იღებ ხანმოკლე ეფექტს – გიფიქსირდება ეკონომიკური ზრდა. გრძელვადიან პერიოდში კი განა პარლამენტის ახალი შენობა ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას, თუ ეს არის ეკონომიკური აღმავლობის განმაპირობებელი? ეს იყო, პრაქტიკულად, ჰაერში გადაყრილი ფული. აქ არის კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას. ნაციონალური მმართველობის დროს სტატისტიკის სამსახურის უფროსები იცვლებოდნენ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ინფორმაციას აქვეყნებდნენ. მაგალითად, როცა 2006 წლის ზაფხულში სტატისტიკის სამსახურმა გამოაქვეყნა ორნიშნა ინფლაცია, მივლინებაში მყოფ თავმჯდომარეს თბილისში დაბრუნება არც აცალეს, ისე მოხსნეს, ახლად დანიშნული თავმჯდომარე კი შემდგომში ყოველთვიურად ამცირებდა ინფლაციის მაჩვენებელს, რათა სიტუაცია შეელამაზებინა. დღეს რომ ნაციონალები ყოფილიყვნენ ხელისუფლებაში, სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს უფროსი ბ-ნი ზაზა ჭელიძე დიდი ხნის მოხსნილი იქნებოდა. მე დიდ მიღწევად ვთვლი, რომ სწორედ ზაზა ჭელიძეს არ დაპირისპირებია მთავრობა, მის კომპეტენტურობაში ეჭვი არავის შეუტანია. მაგრამ ერთი რამეც არის: სტატისტიკას სჭირდება ხელშეწყობა, ნორმალური დაფინანსება, წყნეთიდან თბილისში დაბრუნება და რეგიონული ორგანიზაციების გაძლიერება.

***— ნაციონალები ამტკიცებენ, რომ ივანიშვილი პასუხისმგებლობას გაურბის შეუსრულებელი დაპირებებთან დაკავშირებით და ამიტომ უნდა პრემიერის პოსტიდან წასვლაო.***

— ეს ნაციონალური რიტორიკაა. გულწრფელად გეტყვით, ის, რომ ბატონი ბიძინა აპირებს წასვლას და თან ამ მოკლე დროში, მე არ მომწონს, იმიტომ რომ ეს გარკვეულად ხელს შეუშლის ისედაც მყიფე სტაბილურობის შენარჩუნებას. წარმოიდგინეთ, ნებისმიერი ინვესტორისთვის რას ნიშნავს სიგნალი, რომ ივანიშვილი წლის ბოლოსთვის აპირებს წასვლას პრემიერის პოსტიდან. ეს სიგნალი ბიზნესმენისათვის არის რისკის შემცველი. სააკაშვილი მიდის – ის ხელისუფლებაში, ღვთის მადლით, ვეღარ დარჩება. თუ ივანიშვილიც წავა, მაშინ რატომ უნდა აჩქარდეს ბიზნესმენი ინვესტიციების ჩასადებად. დაელოდება იმას, ვინ მოვა და მერე იმოქმედებს. მას შეეძლო ეს განცხადება უშუალოდ წასვლის წინ გაეკეთებინა, და არა წინასწარ. ვთვლი, რომ უკეთესია, თუ ივანიშვილი გადაიფიქრებს და სანამ სტაბილურ სიტუაციას არ შექმნის ინსტიტუციური თვალსაზრისით, სანამ ეკონომიკაში არ გამოიკვეთება ზრდის მყარი საფუძველი, მანამდე დარჩება პრემიერის პოსტზე. ერთიცაა, ივანიშვილს ამომრჩეველი შეცდომაში არ შეუყვანია. მან თავიდანვე თქვა, პოლიტიკაში დიდხანს არ დავრჩებიო...

***— „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატზე რას იტყვით? ბევრი, ვინც ოცნებას ხმა მისცა, დღეს ამბობს, რომ არჩევნებში მხარს ბურჯანაძეს უჭერს, რადგან კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი არ მოსწონს.***

— მარგველაშვილის პიროვნებას დადებითად ვაფასებ, გამომდინარე იქიდან, რომ ის ერთ-ერთი აქტიური კრიტიკოსი იყო ნაციონალური მთავრობის და ერთ-ერთი ძლიერი მამხილებელი მათი შეცდომების. ეს პოზიტივი მას აშკარად აქვს. რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების მინისტრობის დროს მის საქმიანობას, ზოგი მას კრიტიკულად აფასებს, თუმცა არის აშკარად გამოკვეთილი პოზიტივიც. ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის ის გადაწყვეტილება, რაც სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით იქნა მიღებული. ეს მას არჩევნებში მომგებიან სიტუაციაში აყენებს. პოზიტიური იყო მისი გადაწყვეტილება სახელმწიფო უნივერსიტეტებში 13 სპეციალობის პირდაპირ საბიუჯეტო დაფინანსებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი პოზიტივია და საზოგადოება ამას ხედავს. მაგრამ, სამწუხაროდ, მან რამდენიმე მისთვისვე წამგებიანი განცხადებაც გააკეთა.

***— გამორიცხავთ, რომ მეორე ტური შედგეს მარგველაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს შორის, რომელიც ამბობს, რომ მცირე ფინანსებითაც დაამარცხებს კოალიციის კანდიდატს?***

— იქნება თუ არა ნინო ბურჯანაძე მეორე ტურში, ვერ გეტყვით. მას აქვს ძალიან სერიოზული შანსი, რომ ამ არჩევნებში წარმატებას მიაღწიოს. თუმცა მისი მეტოქე მაინც მარგველაშვილი იქნება. მე ასევე არ გამოვრიცხავ გარკვეულ გაბრძოლებას დავით ბაქრაძის მხრიდან. ნაციონალურ მოძრაობას ეყო გონიერება და საპრეზიდენტო კანდიდატად წარმოადგინა საზოგადოებისთვის ყველაზე ნაკლებ გამაღიზიანებელი კანდიდატი. ამიტომ მათი გათვლა იმაზეა აგებული, რომ თავისი მხარდამჭერი ამომრჩეველი ერთიანი, შეკრული გუნდის სახით იქნება და ეს ამომრჩეველი მივა არჩევნებზე და თავის მაქსიმუმს, არ ვიცი, ეს 10, 15 თუ 20% იქნება, აიღებს. რაც შეეხება ბურჯანაძეს, ის, პრაქტიკულად, ხმებს მარგველაშვილს ართმევს, იმიტომ რომ ორივე არიან ნაცმოძრაობის მოწინააღმდეგენი. როგორ გადასწონის ეს და იქნება თუ არა მეორე ტური, ვერ გეტყვით. თუ არჩევნები პირველ ტურში დასრულდება, მაშინ გამარჯვებულს ექნება ხმების სადღაც 51-55%-ის ფარგლებში. თუ მეორე ტურში მარგველაშვილი და ბაქრაძე გადავლენ, მაშინ მარგველაშვილი გაიმარჯვებს და, სავარაუდოდ, მისი ხმები 80%-იან ზღვარს მიაღწევს, რადგან, ჩემი აზრით, ხალხი იქნება შეშინებული იმით, რომ ნაციონალები არ დაბრუნდნენ. თუ არჩევნების მეორე ტური შედგა მარგველაშვილსა და ბურჯანაძეს შორის, აქ გამარჯვებული შედარებით მცირე უპირატესობით გამოვლინდება. მთავარია, რომ 80%-იანი პრეზიდენტი არ გვყავდეს. ქვეყნისთვის უკეთესია, პრეზიდენტი იყოს მცირე უპირატესობით გამარჯვებული, რადგან ეს იქნება სიგნალი, რომ პრეზიდენტმა უფრო უკეთ უნდა დაუგდოს ხმა ოპოზიციასაც და ხალხსაც.

***— რღვევა, რომელიც უმრავლესობაში დაიწყო, გაღრმავდება?***

— სიტყვა „რღვევა“ არ შეესაბამება სინამდვილეს. არანაირ რღვევას ადგილი არ აქვს. რაც შეეხება კობა დავითაშვილის გადაწყვეტილებას, ეს აშკარად მწიფდებოდა. ნათელი იყო, ის იძულებული იქნებოდა, ეს ნაბიჯი გადაედგა. ყველას კარგად გვახსოვს ბატონი კობას მიმართება „მოქალაქეთა კავშირთან“, რომელშიც ყველაზე დიდი დრო გაატარა. ძალიან მოკლე დრო დაჰყო ნაციონალურ მოძრაობაში. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მან ნაცები, პრაქტიკულად, ეგრევე დატოვა. დავითაშვილმა „ქართულ ოცნებაში“ უფრო დიდი დრო დაჰყო, ვიდრე ნაცმოძრაობაში. მას აქვს გარკვეული პრინციპები. ვერ ვიტყვი, რომ დავითაშვილის ყველა ნაბიჯი და ყველა პრინციპი ჩემთვის მისაღებია, მაგრამ ერთი რამ არის – ის ცდილობს, ყოველთვის საზოგადოებას თავისი პოზიცია დაუფიქსიროს, რაც პოლიტიკაში ცუდი სულაც არ არის. ის, რომ ბატონი კობა ოცნების ფრაქციიდან გავიდა, რღვევას არ ნიშნავს, მაგრამ, რაც შეეხება „ქართული ოცნების“ დაშლას, ამის შესახებ თავად ივანიშვილი საუბრობდა, როცა კოალიცია შექმნა და მიუთითა, რომ მისი დაშლა აუცილებელია ქართული დემოკრატიისთვის.

***— კი მაგრამ, ქართული სახელმწიფოსთვის კარგი იქნება კოალიციის ასე მალე დაშლა?***

— ჯერ ნაადრევია. მომავალშიც ამას ფრთხილად უნდა შეხედოთ. ნახეთ, როგორი სიტუაციაა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, სადღაც 52 ხმა აქვს საპარლამენტო უმცირესობას. კოალიცია რომ დაიშალოს, მაშინ გამოვა, რომ ყველაზე დიდი ფრაქცია და ყველაზე შემჭიდროებული იქნება ნაციონალური მოძრაობის. რა თქმა უნდა, სააკაშვილის წასვლის შემდეგ, ალბათ, ნაცმოძრაობის ფრაქციის რიცხვითი შემადგენლობაც შემცირდება, მაგრამ, ვეჭვობ, იმდენად შემცირდეს, რომ კოალიციის დაშლის შემთხვევაში, მასზე უფრო მსხვილი ფრაქცია არსებობდეს, ვიდრე დღეს ნაცმოძრაობას აქვს. აი, ამ ვითარებაში კოალიციის დაშლას ნამდვილად არ ვისურვებდი.

***— დაბოლოს, ბატონო ლადო, მოდით, შევეხოთ უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებსაც, რომელშიც თქვენც მონაწილეობთ. რა ვითარება შეიქმნა რექტორის არჩევნების წინა პერიოდში და არის გარანტია, რომ არჩევნებში გამარჯვებულის გამოვლენა პოლიტიკური ნიშნით არ მოხდება?***

— თეორიულად გამორიცხული არაფერია, მაგრამ, ვფიქრობ, ჯერჯერობით წინასაარჩევნო პროცესი საკმაოდ ჯანსაღ ვითარებაში მიმდინარეობს. პირადად მე მქონდა შესაძლებლობა, უნივერსიტეტის ექვსივე ფაკულტეტს შევხვედროდი. ამ ფაკულტეტების უმრავლესობიდან თვითონ წამოვიდა სურვილი, რომ კანდიდატებს შეხვედროდნენ, ხოლო რამდენიმეს მე მივმართე, იქიდან გამომდინარე, რომ არ ჰგონებოდათ, თითქოს მე მათთან შეხვედრა არ მინდოდა. ამ შეხვედრებზე საინტერესო კითხვები დაისვა. შედგა შეხვედრა სენატთან. 9 აგვისტოს დაიწყო შეხვედრები აკადემიურ საბჭოსთან და თითოეულ კანდიდატს აქვს ერთსაათიანი შეხვედრა თავისი პროგრამის გასაცნობად და კითხვებზე პასუხისთვის. ცალკე უნდა გამოვყო შეხვედრა, რომელიც სტუდენტებმა მოაწყვეს. რექტორობის 14 კანდიდატიდან შეხვედრაზე მხოლოდ 10 მოვიდა. საკმაოდ გონივრულ ფორმატში ჩატარეს სტუდენტებმა ეს შეხვედრა.

# „შრომის კანონი ძალიან სუსტია“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მაშინვე დაჰყვა ამ სიტუაციას. იმ პერიოდში ეზუგბაია ზოგადად პროფკავშირების წინააღმდეგი იყო და არა რომელიმე ლიდერის. მას შანსი არ ჰქონდა, ეზუგბაიასთან რაიმეს მოგვარების, თორემ კართან იდგა ყოველდღე და ელოდებოდა, როგორმე დაეთბო სიტუაცია. რაც შეეხება იმას, თუ აქამდე რატომ არ გავრიცხეთ, ალბათ, ეს მართლაც აქამდე უნდა გაგვეკეთებინა.

***— რკინიგზის პროფკავშირის გარდა, სხვა რომელიმე დარგობრივი პროფკავშირი თუ გარიცხეთ გაერთიანების წევრობიდან?***

— საბედნიეროდ, არა. პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ასე ღიად მოხდა დაკავშირება პროფკავშირის ხელმძღვანელობისა ადმინისტრაციასთან. დიახ, ჩვენ გვაქვს მინუსები. შესაძლოა პირველად ორგანიზაციებში დამსაქმებლებთან შეკრული იყოს პროფკავშირი, მაგრამ ჩვენ ამის წინააღმდეგ ვიბრძვით. ვიმეორებ, აქ საუბარია 200 ათასამდე წევრზე. მინდა კარგად გაიგოთ, პროფკავშირული გაერთიანება არ არის მაკონტროლებელი დარგობრივი ორგანიზაციების. დარგობრივი პროფკავშირები, რომლებიც დამოუკიდებელი ორგანიზაციები არიან, ადგენენ პროფკავშირის გამგეობას. ჩვენ კი არ ვკარნახობთ მათ, წესით, ისინი უნდა გვკარნახობდნენ და პოლიტიკას ისე უნდა ვიმუშავებდეთ.

***— დაბოლოს, ბატონო გოჩა, რას იტყვით ახალ შრომის კოდექსზე, შენიშვნები თუ გაქვთ? უნდა ველოდეთ თუ არა თქვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მშრომელთა გაფიცვებს აღნიშნული კანონმდებლობიდან გამომდინარე?***

— შრომის კოდექსში თუ რამე ცვლილება შევიდა 2006 წლიდან, როცა ბენდუქიძის ინიციატივით იქნა მიღებული ეს კოდექსი, ჩვენი თაოსნობით დაწერილ საჩივრებზეა აგებული დღეს ეს კანონი. მადლობა ღმერთს, ამ მთავრობამ დაინახა ეს მასალები. ის, რომ ბიძინა ივანიშვილი და მაშინდელი ოპოზიცია საუბრობდა შრომის კოდექსის უვარგისობაზე, რომ ევროპელები ასე აფასებენ, ამერიკელები ასე – ეს იყო ჩვენი მუშაობის შედეგი. ჩვენ რომ 2006 წლიდან არაფერი გაგვეკეთებინა, ეს მთავრობაც ბევრს ვერაფერს შეცვლიდა იმიტომ, რომ მტკივნეულობას ვერ დაინახავდა, საკითხის სიმძიმეს ვერ დაინახავდა; მხოლოდ იქნებოდა საუბარი 37-ე მუხლზე, რომლითაც ადამიანებს სამსახურიდან უშვებდნენ ახსნა-განმარტების გარეშე და ეგ იქნებოდა. სხვა საკითხები – სამუშაო დროსთან, ზეგანაკვეთურთან, ასოციაციის თავისუფლებასთან და მოკლევადიანი კონტრაქტები, დარჩებოდა ყურადღების მიღმა. ამ პარლამენტის მიერ ეს საკითხები სრულად იქნა განხილული. ჩვენ ვიყავით დასაქმებულების მხრიდან ამ დისკუსიაში ჩართული. ბიზნესის მხრიდან იყო რამდენიმე ბიზნესასოციაცია წარმოდგენილი და ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ის ცვლილებები, რაც შევიდა, ეფექტიანი ყოფილიყო. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ახალი შრომის კოდექსით ბოლომდე კმაყოფილი არ ვართ. ჩვენ ველოდით გარღვევას, ნახტომს, მაგრამ მივიღეთ ნაბიჯი.

***— ანუ ახალი შრომის კოდექსი სუსტია?***

— სუსტია. რა ცვლილებაც შევიდა, არასაკმარისია. ეს არ არის ის პროგრესი, რასაც ველოდით.

# გელა ნიკოლაიშვილი: „კბილაშვილი პროკურატურაში საბოტაჟს არ დაუშვებს“

## რა გველოდება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ბატონო გელა, დღეს აქტიურად მიდის საუბარია იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება სერიოზულ კრიზისს განიცდის და სასწრაფოდ რეფორმები და საკადრო ცვლილებებია განსახორციელებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ცუდად დაამთავრებენო. როგორია თქვენი შეფასებები ამასთან დაკავშირებით.***

— მეც ვეთანხმები მაგ შეფასებებს. თუ არ იქნა სერიოზული რეფორმები, თუ არ იქნა სერიოზული საკადრო ცვლილებები, თანდათანობით ხალხის განწყობა აშკარად იხრება ქართული ოცნების საწინააღმდეგოდ. ეს არ ნიშნავს რა თქმა უნდა, რომ ავტომატურად იხრება და ვერც გადაიხრება ნაციონალური მოძრაობის მხარეს, მაგრამ ეს ხმები, რომლებიც ახლდა ქართულ ოცნებას, ან გადადის სრულიად პესიმიზმში, ან გადადის რადიკალიზმში და რომელი პარტიაც უფრო რადიკალურ მოწოდებას მიაწვდის ხალხს, მოუწოდებს რადიკალური მოქმედებებისკენ, უფრო იმ პარტიისკენ გადაიხრება სიმპათიები. რადიკალიზმი რომ არასდროს არ არის სასარგებლო ქვეყნისთვის, ეს სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამაც დაგვანახვა, რაც მივიღეთ. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, ეს უნდა ესმოდეთ თვითონ ქართული ოცნების ლიდერებს და მე კიდევ იმედი მაქვს, რომ ამ ყველაფერს გაითვალისწინებენ და ის, რასაც ჰქვია რეალური რეფორმები და რეალური სამართლიანობის აღდგენა და რეალური საკადრო ცვლილებები, ახლა თუ არა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მაინც იქნება სახეზე.

***— ბოლო პერიოდია აღარ გამოჩენილა პრემიერ-მინისტრი, საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ის ნელ-ნელა სცილდება ხელისუფლების მართვასო და რამდენად არის ეს ასე?***

— მე არ მგონია ბიძინა ივანიშვილი ისეთი უპასუხისმგებლო, რომ ასეთ სიტუაციაში ის პროცესებს ჩამოსცილდეს და დატოვოს გაურკვეველი ვითარება. მან არაერთხელ განაცხადა, რომ კი აპირებს ჩამოცილებას, მაგრამ რაღაცა მერყევ და გაურკვეველ მდგომარეობაში ქვეყანას არ დატოვებს. მართალია ის ამბობს, რომ მე თანამდებობას ვტოვებ და არა პოლიტიკასო, მაგრამ გარედან პროცესებზე ზემოქმედება უფრო ძნელია, ვიდრე შიგნიდან. ახლა ის შიგნით არის და ვერ ახერხებს პროცესებზე ზემოქმედებას. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა ხალხის განწყობა ისეთი, როგორიც არის. მართალია ეს ხელისუფლება არ არის ისეთი სადისტური პოლიტიკის გამტარებელი, როგორისაც ნაციონალური მოძრაობა იყო, მაგრამ სამაგიეროდ არის უნიათო და რეალური რეფორმების გატარება არ შეუძლია, სამართლიანობის რეალური აღდგენა არ შეუძლია და ასეთ განწყობებს არ დათესავდა, ბოლომდე რომ ესმოდეს ეს. თუმცა მე მაინც იმედი მაქვს, როგორც თავად მარგველაშვილმაც განაცხადა, ეს ოქტომბრამდე პერიოდი, სანამ ფაქტიური ორხელისუფლებიანობა არსებობს, მანამდე გაგრძელდება და ოქტომბრის შემდეგ რადიკალური ცვლილებები იქნება. ვნახოთ, დაველოდოთ ოქტომბერს. თუ არა და არც ეს არის დიდი ტრაგედია, შემდეგ ჩატარდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და რეალური ძალები მოვლენ ხელისუფლებაში. რეალურ ძალებში ვგულისხმობ იმ ძალებს, რომლებსაც რეალური მხარდაჭერა ექნება საზოგადოების და არა ის ბუტაფორიული პარლამენტი, რომელიც ნამდვილად არ ასახავს ადეკვატურად ხალხის განწყობას.

***— თქვენც აღნიშნეთ და ბევრიც საუბრობს, რომ ვერ გაართვეს პრობლემებს თავი. საკმაოდ გაუჭირდათ ნაციონალების დამარცხება, იმდენად აქვთ ფესვები გადგმულიო. ამ ყველაფერს კი ემატება სერიოზული ზეწოლა და პრემიერი ვერ უძლებს ამ ზეწოლასო...***

— სერიოზული ზეწოლა, რა თქმა უნდა, არის და სერიოზული ზეწოლა არის პირველ რიგში დასავლეთიდან. დასავლეთის იმ წრეებიდან რომლებისთვისაც კომფორტული იყო ნაციონალურ მოძრაობასთან ურთიერთობა. ნაციონალური მოძრაობა-ხელისუფლებაში — ეს მათთვის იმდენად კომფორტული იყო, რომ დაახლოებით კომუნისტების დროს ცეკას დადგენილებები რომ იყო და მოსკოვის ცეკაში ერთი სიტყვა რომ ითქმოდა და აქ ექოსავით უნდა გეპასუხა, ყოველგვარი ანალიზისა და შეფასების გარეშე, რადგან ამის უფლება არავის არ ჰქონდა; დაახლოებით ასეთი მდგომარეობა იყო ნაციონალურ მოძრაობასა და ვაშინგტონსა და სხვა დასავლეთის ცენტრებს შორის და ცეკამ გადაინაცვლა ამ შემთხვევაში ვაშინგტონში და სწორედ ასეთი ბატონყმური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. არა მხოლოდ ვაშინგტონში, საერთოდ დასავლეთის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებზეც აპელირებდნენ, რომ აი ხედავთ, იმან ეს თქვა და ესე იგი ეს ყველაფერი უტყუარი ჭეშმარიტებაა. როგორც უფლის ვერ ცერთ სიტყვას ვერ გადადის ჭეშმარიტი მორწმუნე, ისე ვერ გადადიოდნენ ისინი დასავლეთიდან წამოსული რეკომენდაცია იქნებოდა თუ მითითება. ეს, რა თქმა უნდა, კომფორტული იყო დასავლეთისთვის, ასეთ ხელისუფლებასთან ურთიერთობა და რა თქმა უნდა, ძალიან ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული მთელ დასავლეთში არა, მაგრამ დასავლეთის საკმაოდ ძლიერ წრეებში, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, ეს წრეები, რა თქმა უნდა, ცდილობენ, რომ არ დააჩაგვრინონ თავიანთი ფავორიტები ახალ ხელისუფლებას და სამართლიანობისკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს ისინი აფასებენ როგორც პოლიტიკურ ბრძოლას ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ. რაც არ უნდა დაუდონ ფაქტები, ისინი მაინც ჯიუტად თავისას გაიძახიან და ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულად აკომპლექსებს ხელისუფლებას. მე მაინც ვფიქრობ, მათ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ და მეტი ანგარიში უნდა გაუწიონ ხალხის, თავიანთი ამომრჩევლების, თავიანთი საზოგადოების, მოსახლეობის განწყობას და მოთხოვნებს, ვიდრე დასავლეთის ასეთ უპირობო მითითებებს და ბრძანებებს.

***— ევროპას და ამერიკას რაც შეეხება, ვხედავთ, სააკაშვილი როგორ შანტაჟზეც მიდის ამერიკასთან მიმართებაში, ჯერ 26 მაისის მოვლენები დაუკავშირა, შემდეგ 8 აგვისტოს ომში გვეხმარებოდნენო, კიდევ რას იტყვის კაცმა არ იცის...***

— ის შანტაჟზე მიდის. სააკაშვილი საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით, ყველას და ყველაფერს დააშანტაჟებს. რა თქმა უნდა, დასავლეთის წრეებშიც კარგად იციან მისი ბუნება. თუმცა ცნობილი გამოთქმაა, როცა ნიკარაგუას პრეზიდენტზე ამბობდნენ დიქტატორ სომოსაზე, რომ ის კი არის მამაძაღლი, მაგრამ ჩვენი მამაძაღლიაო — ეს ცნობილი გამოთქმაა ამერიკის ერთ-ერთი პრეზიდენტის. ასევე არის მათთვის სააკაშვილი, რომ ეს რახან მათია, თუმცა იციან მისი ბუნება, მისი მისწრაფებები დიქტატურისკენ და ანტიდემოკრატიული განწყობები, მაგრამ ეს მათია და ამიტომ ისინი ყველანაირად იცავენ. თუმცა სააკაშვილი მაინც წარსულის ფიგურაა, გუშინდელი დღეა და დროსთან ერთად მისი გავლენები სულ უფრო და უფრო შესუსტდება, მით უმეტეს, როცა ის პრეზიდენტი აღარ იქნება. აქედან გამომდინარე, რაღაც რევერანსებს უკეთებენ, გარკვეულად ხარკს უხდიან იმ თავისი ერთგულებისთვის და თავისი მონური დამოკიდებულებისთვის, მაგრამ ვიმეორებ, ეს არის დროებითი. როდესაც დადგება საკითხი თუნდაც მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ და მე ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, ეს საკითხი დადგება, უკვე მაშინ აღარ ექნება ისეთი მხარდაჭერა. მით უმეტეს, პრეზიდენტის რანგში აღარ იქნება და მისი გამომხატველი შეიძლება ერთი ორი ფიგურა იყოს. ისიც უბრალოდ კონგრესმენის დონეზე და არა ოფიციალური პირების დონეზე, პრეზიდენტები თუ პრემიერ-მინისტრები.



***— თქვენ საუბრობთ, რომ უკვე წარსული დღეა სააკაშვილიო, რამდენად არის წარსული დღე ნაციონალური მოძრაობა? საზოგადოებაში უკვე თანდათან მწიფდება ის აზრი, იმის შიში, რომ ხელისუფლებამ თავისი უუნარობით მისცა ნაციონალებს იმის საშუალება, რომ სული მოეთქვათ და აქეთ შეტევაზე გადმოსულიყვნენ. რამდენად არის საფრთხე და მათთვის შანსი, რომ ისინი კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში?***

— აი, სწორედ ის შიში, რომელიც საზოგადოებას აქვს, მათი მობრუნების, არის გარანტია იმისა, რომ ისინი ვერ დაბრუნდებიან. სწორედ ეს შიში აიძულებს საზოგადოებას, რომ მობილიზაცია მოახდინონ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ, შეიძლება არა ოცნების მხარდასაჭერად, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. იყო ასეთი შემთხვევა ამ რამდენიმე წლის წინათ საფრანგეთში, პირველ ტურში ხმების უმრავლესობა აიღო ფაშისტურმა პარტიამ და მაინც საჭირო გახდა მეორე ტური, მთელი საფრანგეთი გაერთიანდა და ამ შიშის გამო რომ არ მოსულიყო ეს დიქტატორული, ანტიდემოკრატიული ძალა ხელისუფლებაში, სწორედ იმ შიშმა ძალიან დიდი უპირატესობით გაამარჯვებინა მის კონკურენტს და მაშინ სარკოზი აირჩიეს პრეზიდენტად. სწორედ ეს შიში და მიუღებლობა ნაციონალური მოძრაობის მიმართ და ანტიდემოკრატიული ძალების მიმართ, არის იმის გარანტია, რომ ქართველი ხალხი აღარ დაუშვებს ისეთ შეცდომას, როგორიც 2003 წელს დაუშვა. დაუშვა იმიტომ, რომ ისინი არ იცნობდნენ მათ, საქმეში გამოცდილი არ ჰყავდათ და ახლა, როდესაც საქმეში გამოსცადეს, არავითარ შემთხვევაში ხელმეორედ მხარს მათ არ დაუჭერენ. ახლა თუ რაღაცა გადატრიალება არ მოახდინეს და ანტიკონსტიტუციური გზით არ სცადეს ხელისუფლების ხელში აღება.

***— მართლაც და რამდენად არის მათი მხრიდან საფრთხე პროვოკაციების მოწყობის, როდესაც ხედავენ, რომ უკვე კარგავენ ყველაფერს...***

— მე ვფიქრობ, რომ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებით და რაღაცა გადატრიალებებით შანსი მათი მხრიდან რაც დრო გადის, სულ უფრო მცირდება და არა მგონია, რომ ისინი ამაზე წავიდნენ. იმიტომ, რომ ისინი ხედავენ უმთავრესს, რომ ხალხში დასაყრდენი არ გააჩნიათ, მომხრეები არ ჰყავთ. აი, 2003 წელს მაგალითად, როდესაც რევოლუციას ახდენდნენ, ისინი ყველაფერზე წავიდოდნენ, რომ ხალხის მხარდაჭერა ჰქონდათ და ყველაფერს გაუმკლავდებოდნენ. ახლა არ არ ისე, რაც არ უნდა ეცადონ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით ძალაუფლების ხელში აღებას, ხალხი ამას არ დაუშვებს. მეორე მაგალითსაც მოვიყვან, როდესაც გადატრიალების მცდელობა ჰქონდა მთელ საბჭოთა კავშირში დეკემბრისტ როდესაც შეიქმნა გორბაჩოვის დროს, ეს იყო 1984 თუ 86 წელი, როდესაც სამხედროებმა სცადეს ძალაუფლების ხელში აღება და უნიათო გორბაჩოვის თავიდან მოცილება, ერთი-ორი დღით დააპატიმრეს კიდევაც ყირიმში, მაშინ მთელი ხალხი გამოვიდა რუსეთში და სულ რამდენიმედღიანი ძალაუფლება წაართვეს სამხედროებს და დაუბრუნეს ისევ დემოკრატ გორბაჩოვს. ხალხი როდესაც გაიგებს გემოს თავისუფლების და დემოკრატიის,, ის აღარ დაუშვებს არადემოკრატიული რეჟიმების მობრუნებას ლეგიტიმური გზით.

***— ბატონო გელა, თუმცა იმაზეც საუბრობენ, რომ მათ ახალ ხელისუფლებაშიც ჰყავთ თანამოაზრეები...***

— სწორედ ამისი საშიშროებაა, რომ ეს ე.წ. კოაბიტაცია და ასეთი ჟღურტული სხვადასხვა საკითხებზე პოზიციების თანხვედრა, შეიძლება ისე მოხდეს, რომ რაღაცა გათეთრებული სახით, თითქოს სხვა ორგანიზაციაა, გაწმენდილი და დავარცხნილი ნაციონალური მოძრაობა მივიღოთ. ისე, როგორც ჩვენ მივიღეთ იგივე მოქალაქეთა კავშირი, რომელსაც გადაერქვა სახელი და მივიღეთ ნაციონალური მოძრაობა. ამის საფრთხე ნამდვილად არსებობს თუ ამას დღევანდელი ხელისუფლება ხელს შეუწყობს. თუმცა ესეც გაიარა უკვე ხალხმა და მე მგონია, ამასაც არ დაუშვებს და ამასაც არ წამს, ასე რომ ვთქვათ. თუნდაც ის მაგალითი, რაც ვთქვი, რომ მოქალაქეთა კავშირი როგორ გარდაისახა ნაციონალურ მოძრაობად და ცხვრის ტყავში გაეხვივნენ მგლები, ახლა მეორედ ეს აღარ გამოვა. ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შევა ადამიანი. ჩაიარა უკვე იმ მდინარემ.

***— უნდა ვაღიაროთ, რომ თუკი რაიმე რეფორმა წამოიწყო ახალმა ხელისუფლებამ, ყველაფერი ჩავარდა. საუბრობენ იმაზე, რომ ეს თავად უმრავლესობაში შეუთანხმებლობის გამო მოხდაო. ასევე დიდი კრახი განიცადა სასამართლოში წამოწყებულმა რეფორმამ, ჩატარდა არჩევნები, მაგრამ ყველაფერი უცვლელად დარჩა. ბაჩო ახალაიას გამართლება, ბოლო წვეთი იყოო, ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ...***

— რა თქმა უნდა, ესეც უნიათობის გამოვლენაა. მე არ მგონია, რომ იქ ასე შეგნებულად საბოტაჟს აწარმოებდნენ, თუმცა არც უმაგისობაა ვილაც-ვილაცების მხრიდან. თვითონ პროკურატურის ხელმძღვანელობა, არ მგონია, რომ ასეთ პოზიციაზე იყოს, რომ საკუთარ თავს საბოტაჟი მოუწყოს...

***— თუმცა იქ არის ძალიან ბევრი სააკაშვილის დროინდელი კადრი...***

— დიახ, სწორედ ამას ვამბობ, ხელმძღვანელობას გამოვრიცხავ, მაგრამ არ გამოვრიცხავ დანარჩენ ძველ კადრებს, რომელთა 80% ადგილზეა დარჩენილი. ეს უნიათობა მაინც მთავარია და ამასთან ერთად არაპროფესიონალიზმი, იმიტომ, რომ ადრე არ სჭირდებოდათ არანაირი მტკიცებულებების წარდგენა და არანაირი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობა. ცარიელი ფურცელი რომ მიეტანა პროკურატურას სასამართლოსთვის და ეთქვა, რომ აი, ეს არის მტკიცებულებაო, ისინი დაუმტკიცებდნენ ამას. აქ ყველაფერი ერთად იყო, რა თქმა უნდა, სასამართლოს მხრიდან სიმპათიის გამოხატვა ბაჩო ახალაიას მიმართ, ასევე სისუსტე პროკურატურის და ასევე იყო, რომელსაც არავინ არ ახსენებს, ადვოკატების კარგი მუშაობა. ამას რატომღაც არავინ არ ამბობს ხოლმე, მაგრამ ეს უნდა აღინიშნოს, ადვოკატებმა კარგად იმუშავეს. იქ რა მტკიცებულება იყო, რა მყარი იყო და არა, ეს ერთი ამბავია, მაგრამ მთელი რიგი პროცესები იყო, როდესაც ადვოკატები უგებდნენ აშკარად პროკურორებს. ეს ჩვენ მოგვწონს თუ არ მოგვწონს ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს. მე ამას ობიექტურობიდან გამომდინარე ვამბობ. ასე რომ, ეს კარგი გაკვეთილია პრინციპში ბაჩო ახალაიას მაგალითი და თუ უნდა ამ ხელისუფლებას, რომ რაღაცა დონეზე მაინც შეინარჩუნოს ან მოიმატოს მხარდამჭერების რიცხვი, მეორედ ასეთი ლაფსუსები არ უნდა დაუშვას, თორემ ეს ისევ თავის თავის საწინააღმდეგოდ შემოუბრუნდებათ. მე არა მგონია, რომ საკუთარი თავის მტრები იყვნენ. მაშინ მართლა უნდა თქვან, რომ არ გვაქვს უნარი და მორჩა.

საერთაშორისო

## აშშ-ის დახურული საელჩოები მუშაობას დღეიდან განაახლებენ

აშშ-ის განცხადებით, ტერორისტული აქტების საფრთხის გამო შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში დახურული 19 საელჩოდან და საკონსულოდან 18 მუშაობას დღეიდან განაახლებს. ამის შესახებ „ევრონიუსი“ იუწყება.




გამოცემის ინფორმაციით, მუშაობას არ განაახლებს მხოლოდ იემენში მოქმედი აშშ-ის საელჩო. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, იემენში კვლავ არსებობს ტერორისტული აფეთქებების საფრთხე.

საელჩოებისა და საკონსულოების დახურვა აშშ-მ გასულ კვირას მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა ხელთ იგდეს „ალ კაიდას“ ორი ლიდერის სატელეფონო საუბრები, სადაც ისინი შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში აშშ-ის დიპლომატიურ კორპუსებსა და მოქალაქეებზე თავდასხმის შესახებ საუბრობდნენ.

ქვეყნის ხელისუფლებამ ასევე მოუწოდა თავის მოქალაქეებს, თავი შეეკავებინათ ამ ორ რეგიონში მოგზაურობისგან.

ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის მკვლევარ გრემ ბანერმანს მიაჩნია, რომ საელჩოების უსაფრთხოება ისეთ არასტაბილურ რეგიონში, როგორიც ახლო აღმოსავლეთია, ძალიან სერიოზულად უნდა იყოს აღქმული.

„როგორც დიპლომატიური სამსახურის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა, საელჩო ასეთ დროს უნდა დახურო. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ასეთ დროს გარისკვა არ შეიძლება, შეიძლება, საშინელება დატრიალდეს“, — ამბობს მკვლევარი.

ანალიტიკოსები თვლიან, რომ შეერთებული შტატების მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომები ადეკვატურია. მათი აზრით, უხერხული შეცდომის დაშვება და ზედმეტი სიფრთხილე ჯობია ისეთი რისკის გაწევას, რომელსაც, შესაძლოა, ადამიანების სიცოცხლის დაკარგვა მოჰყვეს.

## „ფუკუსიმას“ ატომურ სადგურს დამცავი ბარიერი ვერ შველის

„ფუკუსიმას“ ატომური სადგურის დამცავი ბარიერი ვერ უმკლავდება რადიაციულ გაჟონვას. რადიაციით დაბინძურებული გრუნტის წყლები იმდენად ბევრია, რომ მათი დონე უკვე 60 სმ-ით აჭარბებს დამცავი ბარიერის სიმაღლეს.

მეცნიერების გათვლით, ყოველდღე „ფუკუსიმას“ ატომური ელექტროსადგურიდან 300 ტონა რადიოაქტიური წყალი გაედინება. ინჟინრები დამცავი ბარიერის გაუმჯობესებას გეგმავენ, რადგან თავად რეაქტორში კიდევ 20 000 ტონა წყალია რადიაციული.

შეგახსენებთ, რომ იაპონიის საპარლამენტო კომისიამ, რომელიც „ფუკუსიმას“ ტრაგედიის მიზეზებს იძიებდა, დასკვნის საბოლოო ვარიანტი დადო.

დასკვნის მიხედვით, ატომური სადგურის ტრაგედიის მიზეზი ადამიანური დაუდევრობა გახდა. კრიტიკა შეეხო იაპონიის მთავრობას, ზედამხედველობის კომისიასა და ოპერატორ კომპანია „ტეპკოს“. „ფუკუსიმას“ ტრაგედიის გამომწვევ მიზეზთა გამოძიების კომისიის დასკვნით, „მათ ყველამ ერთად იმოქმედეს უპასუხისმგებლოდ, რის შედეგადაც დაზარალდნენ ადამიანები და საზოგადოება. ისინი იღებდნენ იმ გადაწყვეტილებებს, რაც მათთვის იყო მისაღები, კატასტროფის ლიკვიდაციაში უხეშად ეროდა იაპონიის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ნაოტო კანი, ასევე ადმინისტრაცია ეროდა უხეშად სამაშველო სამსახურის მუშაობაში, რომელიც ბრძანებების ჯაჭვს არღვევდა და მუშაობაში არევ-დარევა შეჰქონდა. ხელისუფლებამ არ მოახდინა ატომური სადგურის ახლოს მცხოვრებთა კატასტროფის შესახებ დროული ინფორმაციის მიწოდება, რითაც ადამიანები დააზარალა“, — ნათქვამია დასკვნაში.

2011 წლის 11 მარტს იაპონიაში ძლიერი მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად აფეთქდა ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმას“ რამდენიმე ბლოკი, რომელმაც აურაცხელი ზიანი მიაყენა იაპონიასა და იაპონელ ხალხს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# გურამ ოდიშარია თიანეთობას დაესწრო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი თიანეთს სტუმრობდნენ. ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც თიანეთში არსებული ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურული პარკისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციას, ასევე ღია სცენის – საზაფხულო კინოთეატრის მოწყობას გულისხმობს.

თანამშრომლობის დოკუმენტს ხელი მოაწერეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ, თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ დავითაშვილმა და თიანეთის საკრებულოს თავმჯდომარემ გივი წიკლაურმა. ხელის მოწერის ცერემონია ღია ცის ქვეშ ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურულ პარკში შედგა.

– ეს ხელშეკრულება ეფუძნება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც სამინისტროსა და თიანეთის გამგეობას შორის 11 ივლისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტის „რეგიონებში კულტურული პარკებისა და სახლების ხელშეწყობის“ ფარგლებში გაფორმდა. აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს თიანეთში კულტურული კერების აღორძინების ხელშეწყობას, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

სამინისტროს დელეგაცია დაესწრო სახალხო დღესასწაულის „თიანეთობა 2013“-ის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებსაც – დაიგეგმა გამომცემლობა „საუნჯის“ მიერ გამოცემული წიგნების, ასევე ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა; გაიმართა მეზობელი მუნიციპალიტეტების შემოქმედებითი ანსამბლებისა და ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების საზეიმო კონცერტი. ჩატარდა სპორტული ღონისძიებებიც, მათ შორის მკლავჭიდი, ქართული საბრძოლო ხელოვნება „ხრიდოლი“, დოღი და ქართული ჭიდაობა, ასევე ქართული ესტრადის ვარსკვლავებისა და ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „ურსას“ კონცერტი. წარმოდგენილი იყო გასართობი პროგრამა ბავშვებისთვის, დამსწრე საზოგადოებას კი მთის ტრადიციული კერძებითაც უმასპინძლდებოდნენ.

კულტურის მინისტრმა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე მოადგილესთან ალექსანდრე მარგიშვილთან და მრჩეველთან გიორგი გეგეჭკორთან ერთად 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ გმირთა ხსოვნას პატივი მიაგო და მემორიალი ყვავილებით შეამკო. მინისტრმა პირადად მიუსამძიმრა დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჩენ ძიანფუ მიიღო. მინისტრმა მას მადლობა გადაუხადა ჩინეთში საქართველოს კულტურის დღეების ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის. საქართველოს კულტურის დღეები ჩინეთში გასულ კვირას გაიმართა. ჩინეთის ქალაქ პეკინში გამართულ ქართული კულტურის დღეებში მონაწილეობა მიიღეს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებმა „რუსთავი“ და „ბათუმი“. მათ ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზ „ძინთაის“ სცენაზე იცეკვეს. კონცერტს ესწრებოდნენ ჩინეთის სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და პეკინში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. საქართველოს კულტურის დღეების ფარგლებში, ასევე გაიმართა გიორგი პაჭკორიას მიერ დამზადებული ქართული კერამიკის, კერძოდ, ქართული ღვინის ჭურჭლის მინაბაძების გამოფენა.



თიანეთში ვიზიტის შემდეგ კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია მომდევნო კვირას შატილს სოფელ მუცოს ეწვევა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინსპექციის და ნებართვების და მიმდინარე სამუშაოების სამსახურის წარმომადგენლები მუცოს უნიკალური შუასაუკუნოვანი კომპლექსის მოსანახულებლად უკვე იმყოფებოდნენ, სადაც ადგილზე დეტალურად შეაფასეს ძეგლის მდგომარეობა. ამჯერად კომპლექსს ეწვევა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და ადგილზე გაეცნობა პრობლემებს. ციხე-სოფელი მუცო არის რთული კომპლექსური ძეგლი და საჭიროებს სპეციფიკურ მიდგომას, იმისათვის რომ სარეაბილიტაციო პროცესი განხორციელდეს თანმიმდევრულად. მომავალი წლიდან დაიწყება ამ უნიკალური ძეგლის რეაბილიტაციისთვის აუცილებელი ღონისძიებების თანმიმდევრული განხორციელება. ამჟამად მუცო უმძიმეს მდგომარეობაშია. ამ ციხის გადასარჩენად სოციალურ ქსელში რიგითმა მოქალაქეებმა ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყეს, თუმცა რეალურად სამუშაოები ამ დრომდე დაწყებული არ არის, რაც სპეციალისტების თქმით, მუცოს ძნელად მისადგომ ადგილზე მდებარეობაა.

არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხევსურეთში მდებარე მუცოს უძველესი ციხე-კოშკები ნადგურდება. ბოლო პერიოდში კიდევ ერთი საშუალო ზომის კოშკი ჩამოიშალა და ახალი ბზარები გაუჩნდა. ძეგლზე მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მის სანახავად ჩასულ ტურისტებს საგანგებოდ აფრთხილებენ კიდეც, თუმცა მიუხედავად აკრძალვისა, ადგილზე ყოველდღიურად 20-დან 30-მდე ვიზიტორი ჩადის.

ხევსურეთში მდებარე ძეგლი ზღვის დონიდან 1880 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ორიგინალური არქიტექტურა ტურისტებისთვის მიმზიდველი და პოპულარულია. მუცო უკვე 12 წელზე მეტია ინგრევა. პროცესი კი საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. არქიტექტორების თქმით, ყოველ ზამთარს, დიდთოვლობის შედეგად, ძეგლის მდგომარეობა უარესდება. კლდეზე შეფენილი ნაგებობა სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. პრობლემას ციხესიმაგრის მიუდგომლობაც ქმნის. ცნობილია, რომ სახელმწიფოს მუცოს ხეობა პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი.

ხევსურეთის ტერიტორიაზე, მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების– ციხე-კოშკების ნაშთების, ჯვარ-ხატებთან დაკავშირებული ნაგებობების, ხევსურული საცხოვრებელი სახლებისა და სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და შესწავლისათვის 2008 წელს ფართომასშტაბიანი სამუშაოები განხორციელდა. გამოვლინდა და აღინუსხა პირაქეთა ხევსურეთის ძნელად მისასვლელ მთის კალთებზე გაბნეული ისტორიულ-არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები, შესრულდა მათი ფოტოფიქსაცია, გამოიხაზა გეგმები, დაზუსტდა ძეგლების ადგილმდებარეობა, დაფიქსირდა ძეგლების კოორდინატები, განისაზღვრა არაერთი ძეგლის ფუნქცია. ინვენტარიზაციის შედეგად, დაფიქსირდა სხვადასხვა ხასიათის (საკულტო, თავდაცვითი და არქეოლოგიური) უკვე არსებული და ახლად გამოვლენილი 85 ობიექტი. მათ შორის კომპლექსები, რომლებიც რამდენიმე ნაგებობას მოიცავენ, ასევე მუცოს კომპლექსიც. მუცოს კომპლექსი კავკასიის მაღალ მთიან დასახლებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მიუვალი სიმაგრეა. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მუცო აკონტროლებდა კავკასიის ქვეყნების და მაკავშირებელ გზას და იცავდა საქართველოს საზღვარს. სიპი ქვის, მშრალი წყობით ნაგებ ტერასულად განვითარებულ განაშენიანებაში, ძლიერი ნგრევის მიუხედავად, ჯერ კიდევაა შემორჩენილი ურბანული, კონსტრუქციული და საფორტიფიკაციო ელემენტები: ვიწრო ქუჩა თაქსელი, მცირე მოედნები, სართულშუა გადახურვების და ბანების დონეები, ქვის კიბეები, სათავდაცვო დანიშნულების სხვადასხვა დეტალები, სალოდეები და სათოფურები. დღემდე მოღწეული ნაგებობები შესაძლებელია სავარაუდოდ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღდეს. მუცოს ციხე-სახლების, კოშკების და აკლდამა-სამაროვნების წინასწარი სარესტავრაციო გამოკვლევა პირველად 1989 წელს დაიწყო, მაგრამ არ დასრულებულა. 2004 წელს თიბისი ბანკმა და კომპანიამ „არსი“ პროექტის „ქართული სახლი“ ფარგლებში დაიწყეს მუცოს უნიკალური კომპლექსის რეაბილიტაცია. მოეწყო მუშა ექსპედიცია, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სხვადასხვა სახის კვლევითი სამუშაოები.

2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით მომზადდა მუცოს კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი. ექსპედიციის შედეგად, აიზომა ნაგებობები, გამოიხაზა გეგმები, შესრულდა სახელოვნებათმცოდნეო და ეკოლოგიური კვლევა, შეფასდა და აღიწერა ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობა, შესრულდა ტოპოგეგმა, შეივსო სააღრიცხვო ბარათები, გადაღებულ იქნა მაღალი რეზოლუციის მქონე ფოტოები. ზემოაღნიშნული სამუშაოების საფუძველზე მომავალში შესაძლებელი იქნება მუცოს კომპლექსის რეაბილიტაცია,“ – წერია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დოკუმენტში.

მუცოს ციხე-სიმაგრეების აღდგენას და გადარჩენას უკვე წლებია ითხოვს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი. მათ შორის, „გრინფისის“ მხარდამჭერთა ჯგუფიც.

„მუცოს ციხესიმაგრეები სავალალო მდგომარეობაშია და იქ ბოლო 9 წლის განმავლობაში არანაირი სარესტავრაციო სამუშაოები არ ჩატარებულა, რის გამოც ისტორიულ-არქიტექტურული მნიშვნელობის ნაგებობები ინგრევა. საქართველოს ხელისუფლება უამრავ ახალ შენობას აშენებს, თუმცა ყურადღების მიღმა რჩება ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობები. საქართველოს პრეზიდენტს თბილისში შუშის ხიდის მშენებლობა 40.000.000 ლარი დაუჯდა, ხოლო მუცოს ციხესიმაგრის აღდგენას მხოლოდ ერთი მილიონი სჭირდება“, – ჯერ კიდევ გასულ წელს აცხადებდა ლაშა ჩხარტიშვილი.

„უნიკალური ისტორიული ძეგლი და ამასთან, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ნიმუში – მუცო ინგრევა! ეს პროცესი უაღრესად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. სხვადასხვა ექსპერტული შეფასებებით, ძეგლის 60% თითქმის დანგრეულია. აუცილებელია სასწრაფოდ დაიწყოს ციხესოფელ მუცოს რეაბილიტაციის პროცესი და უპირველეს ყოვლისა განხორციელდეს მისი კონსერვაციის (გამაგრების) სამუშაოები.

ჩვენი მოთხოვნაა დაუყონებლივ (ერთი თვის ვადაში) გამოიძებნოს თანხები მუცოს გამაგრებითი სამუშაოების განსახორციელებლად და აღნიშნული უმნიშვნელოვანესი პროცესი დაიწყოს წელსვე და დასრულებულ იქნას შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში.

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, მოვითხოვთ, ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა, შეასრულოთ თქვენი კონსტიტუციური მოვალეობა და არ დაუშვათ კულტურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ნიმუშის, მუცოს განადგურება, რადგან ეს იქნება დანაშაული როგორ ჩვენი, ასევე სრულიად ცივილიზებული სამყაროს წინაშე“, – წერია საგანგებო წერილში, რომელსაც რიგითი მოქალაქეებიც აწერენ ხელს.

მუცო ციცაბო კლდეზეა ნაგები

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილის მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევი სახსრების ძალის მკვეთრები. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ასაკისგან დამოუკიდებლად!), შარდვის მოშლა-გაძნელების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკური) მკურნალობა უნიკალური მცენარეული მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემების მკურნალობა–ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ დასაქმების გარანტიით. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.


# თბილისში ეროტიკული ფილმის აფიშები გამოიფინება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს დედაქალაქში სულ მალე ეროტიკული ფილმის აფიშები გამოიფინება. პროექტი 20 აგვისტოდან აიღებს სტარტს. პროექტ „ვიტრინის“ ფორმატში თბილისში ახალი საგამოფენო გალერეა გაიხსნა. მისი მხარდამჭერი თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი და „სილქ როუდ ჯგუფი“ არიან.

– ეს არის თბილისში პირველად წარმოდგენილი ინოვაციური პროექტი „ვიტრინა“, რომლის ფორმატშიც საგამოფენო გალერეა გაიხსნა. პროექტის „პოპიაშვილი ღვაბერიძე ვინდოუ პროჯექტის“ ავტორები არიან ირინა პოპიაშვილი და თამარ ღვაბერიძე. საჯარო ხელოვნებისა და დიზაინის საგამოფენო სივრცე, თბილისის ე.წ. მელიკ კაზაროვის სახლში, რუსთაველის გამზირის №37-ში, ერთ-ერთ ვიტრინაში მდებარეობს. ეს სივრცე გათვალისწინებულია თბილისელებზე ან ტურისტზე, ფეხით მოსიარულეზე თუ ავტოტრანსპორტით მგზავრ ადამიანზე. მას ყველა დაინახავს, თუმცა აღქმის წერტილი განსხვავებული იქნება ყველასათვის. ვიტრინა-გალერეა ითავსებს საჯარო ხელოვნების წარმოდგენის ფუნქციას. ვიტრინა-გალერეის პროგრამა წარმოადგენს როგორც ახალგაზრდა ქართველ ხელოვანებს, რომელთა სახელები და ნამუშევრები უცნობია ფართო საზოგადოებისთვის, ასევე უცხოელ არტისტებს. ჩვენი მიზანია, რომ საზოგადოებას და ქალაქის სტუმრებს ახალი ვიზუალური მასალა შევთავაზოთ და დავაინტერესოთ თანამედროვე ხელოვნების ახალი ფორმებით და სახეებით. ამ მხრივ, ვიტრინა საგანმანათლებლო დატვირთვასაც იძენს, – აღნიშნულია თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის განცხადებაში.

აქვე ცნობილი ხდება, რომ საზაფხულო-საშემოდგომო პროგრამის თანადამფინანსებელი თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრია.

პროექტის ფარგლებში, 9-დან 16 აგვისტომდე წარმოდგენილი იქნება ანდრო ერაძის პროექტი „ბუკოვსკი“.

– თბილისში სეირნობისას ანდრო ერაძემ შეამჩნია, რომ ქალაქში არაფერი „მისი“ არ არის. მან გადაწყვიტა თავისი საყვარელი პოეტების ლექსებიდან ციტატები გაეზიარებინა ქუჩაში გამვლელთათვის. მისი აზრით, ამერიკელი მწერალი და პოეტი ჩარლზ ბუკოვსკი განსაკუთრებით უხდება ჩვენს ქალაქს, ის ცოტა ირონიულია, ცოტა სევდიანი, მაგრამ მაინც იმედიანი და პოზიტიური, – აცხადებენ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების წარმომადგენლები.

მორიგი პროექტი, რომელსაც პროექტ „ვიტრინის“ ფორმატში თბილისში ახალი საგამოფენო გალერეა წარმოადგენს 20-31 აგვისტოს განხორციელდება. გიორგი ხაინაშვილი საზოგადოებას „ვენერას ხის ქანდაკებას“ შესთავაზებს, ხოლო არსენ ბერიაშვილი 90-იანი წლების „ეროტიკული ფილმის“ აფიშებს გამოფენს.

– ყველა გამოფენას თან ახლავს მოკლე ტექსტი, რომელიც პროექტის მონაწილეებისა და ავტორების ინფორმაციის გარდა, ნამუშევრის აღწერას და პროექტის ისტორიას გადმოსცემს, – განმარტავენ პროექტის მხარდამჭერები.

„პოპიაშვილი ღვაბერიძე ვინდოუ პროჯექტი“ ირინა პოპიაშვილის და თამუნა ღვაბერიძის ერთობლივი პროექტია. ირინა პოპიაშვილი ნიუ იორკის ნიუმან-პოპიაშვილის გალერეის დამაარსებელი და დამოუკიდებელი კურატორია, ხოლო თამუნა ღვაბერიძე მარკეტინგის სპეციალისტი და ინტერიერის და პროდუქტის დიზაინის სტუდია თემსთან თანამშრომლობს.

მათი თქმით, ვიტრინა-გალერეა საჯარო ხელოვნების წარმოდგენის საშუალებას იძლევა და თანამედროვე ხელოვნების ახალ ფორმებს წარმოაჩენს.

# ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო

**ტორპედო – მეტალურგი 1:1**

**ქუთაისი. ცენტრალური**

1:0 კაპანაძე (4), 1:1 კირკიტაძე (46)

**ტორპედო:** ქვილითაია, მთივლიშვილი (მზევაშვილი 46), ზაზა ჭელიძე, სანდოხაძე, უბილავა, გიგაური, ტაბატაძე, კაპანაძე, გოროზია (ფანცულაია 64), საბანაძე (ახვლედიანი 77), კუხიანიძე

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, მახვილაძე, გავაშელიშვილი, ჯაფარიძე (სუხიაშვილი 18), გეწაძე, ორბელაძე, რაზმაძე (დობროვოლსკი 46), ბერიაშვილი, გურეშიძე, კორღალიძე (ფიფია 70), კირკიტაძე

25-ე ეროვნული ჩემპიონატი ქუთაისში არც გუნდისთვის და არც გულშემატკივრებისთვის, კარგად არ დაწყებულა. გუნდმა გამარჯვება ვერ მოიპოვა, ხოლო"ტორპედოს" ფან-კლუბს ხელმძღვანელობა სტადიონზე არ უშვებდა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ „ჯუნგლები" კლუბის ხელმძღვანელობის მუშაობით არიან უკმაყოფილო. თუმცა, „ჯუნგლებმა" თავისი გაიტანეს და სტადიონზე მაინც შევიდნენ.

მატჩამდე გაისმა საქართველოს ჰიმნი და წუთიერი დუმილი ხუთი წლის წინ რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირების პატივსაცემად.

რაც შეეხება თავად მატჩს: ორივე გუნდმა ერთნაირი სათამაშო სქემა ირჩია 4-4-2. ერთადერთი სიახლე ჟერარდ სარაგოსა მულეტმა ის შემოგვთავაზა, რომ განაპირა მცველი ვაჟა ტაბატაძე ნახევარდაცვაში აწია.

დასაწყისი და მთლიანად პირველი ტაიმი ქუთაისელების იყო. პირველივე წუთზე ბედიაშვილმა საბანაძის დარტყმული ბურთი მოიგერია, მაგრამ მე-4 წუთზე რუსთაველთა მეკარე უძლური იყო თავისიანები კაპანაძის თავურის შემდეგ გადაერჩინა. არადა, ტანმორჩილმა კაპანაძემ რუსთაველთა გაცილებით მაღალ მცველებს აჯობა.

სახიფათო მომენტი რუსთაველებმაც შექმნეს, მაგრამ გეწაძემ სუსტად დაარტყა. მასპინძლები კი სახიფათოდ ასრულებდნენ სტანდარტულ მდგომარეობებს, ამასთან ახალგაზრდა ტორპედოელები სისწრაფითაც ჯაბნიდნენ მეტოქეს. განსაკუთრებით ტაბატაძის წინააღმდეგ უჭირდათ სტუმრებს და მხოლოდ ჯარიმის ხარჯზე ახერხებდნენ მის შეჩერებას.

პირველ ტაიმში „ტორპედოს" დაცვა ორჯერ მაინც ჩავარდა. ჯერ გავაშელიშვილი დატოვეს უყურადღებოდ და რუსთაველი სიზუსტემ დააღალატა, ხოლო ბოლო წუთზე სანდოხაძე შეცდა და ბერიაშვილი თავის მეკარეს პირისპირ შეატოვა, რომელმაც ქვილითაია თითქოს მოატყუა კიდეც, მაგრამ მეკარემ სასწაულებრივად მოიხელთა ბურთი.



ამ მომენტებს შორის საბანაძეს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მისი ორი მცდელობა ამაო გამოდგა.

განსხვავებული სცენარით დაიწყო მეორე ტაიმი და მეტალურგთა პირველივე შეტევა გოლით დასრულდა. საჯარიმოში უყურადღებოდ გაისარჯნენ მასპინძელთა ცენტრალური მცველები, რითიც ისარგებლა კირკიტაძემ და ბერიაშვილის პასის შემდეგ ბურთს თავით მიუჩინა ადგილი მასპინძელთა კარში.

გაშვებულმა გოლმა მასპინძლები „აჭრა" და უფრო გამოცდილმა რუსთაველებმა მთლიანად იგდეს ხელთ სათამაშო უპირატესობა. სტუმართა ნახევარმცველები უკვე აშკარად ჯაბნიდნენ თავიანთ მეურვეებს. ერთია, რაიმე განსაკუთრებულის შექმნას ვერ ახერხებდნენ. სარაგოსამ სიტუაციის შეცვლა ფანცულაიას მოედანზე შეშვებით სცადა და გამოუვიდა კიდეც. მასპინძლებმა თანდათან დაალაგეს თამაში. მალე საბანაძემ და კირკიტაძემ სახიფათო დარტყმები გაცვალეს.

74-ე წუთზე კუხიანიძის შესრულებული საჯარიმო, ბედიაშვილმა გაჭირვებით მოიგერია. შემდეგი ფანცულაიას რეიდი და მცირედით აცილებული ბურთი იყო. გატანა გიგაურმა სცადა, მაგრამ მხოლოდ კუთხურს დასჯერდა. ყველაზე სახიფათო კაპანაძის თავური დარყმა იყო, რომელსაც ბედიაშვილი ეფექტურ ნახტომში დაეუფლა. საბოლოოდ ფრე და გუნდებმა პირველი ქულები მოიპოვეს.

**მატჩის შემდეგ**

**გელა სანაია, მეტალურგის მთავარი მწვრთნელი:**

– ყველას გილოცავთ ახალი ჩემპიონატის დაწყებას. ვფიქრობ, მაყურებელმა კარგი ფეხბურთი იხილა. ქუთაისელებმა პირველ ტაიმში გვაჯობეს, მეორე ტაიმი ჩვენ უკეთესად დავიწყეთ და გათანაბრებაც მოვახერხეთ. ბოლო 15 წუთი უპირატესობა ისევ მასპინძლების მხარეს გადავიდა. პირველი მატჩიდან გამომდინარე, ფეხბურთელებს მღელვარება ეტყობოდათ.

**ჟერარდ სარაგოსა, ტორპედოს მთავარი მწვრთნელი:**

– პირველი მატჩი ვითამაშეთ და ვფიქრობ, ფეხბურთელებს მეტი მოეთხოვებოდათ. პირველი ტაიმიდან გამომდინარე, უნდა მოგვეგო, მაგრამ ძალიან სუსტად ჩავატარეთ მეორე ნახევრის საწყისი 20 წუთი. მომავალ თამაშებში უფრო კარგად უნდა გამოვიდეთ, რათა ეს ფრე ხალხს დავავიწყოთ. რა თქმა უნდა, არის ხარვეზები, ახალგაზრდული გუნდია და მეტი შეთამაშებაა საჭირო, რასაც დრო სჭირდება. სერიოზულად ვემზადებით „ზესტაფონთან" მატჩისთვის. მესმის ამ პაექრობის მნიშვნელობა, თუმცა ერთიც უნდა ვთქვა, რომ მომავალ კვირაში, გუნდის წევრების უმეტესობა სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში არიან მიწვეულნი, რაც მომზადებისთვის მცირედით ხელს შეგვიშლის, მაგრამ გამარჯვება აუცილებლად უნდა მოვიპოვოთ.

**სხვა მატჩები ასე დასრულდა:**

**ვიტ ჯორჯია (თბილისი) – გურია (ლანჩხუთი) 3:0**

მცხეთა. მცხეთა პარკი

1:0 ლობჯანიძე (19), 2:0 ჯანელიძე (53პ), 3:0 ლობჯანიძე (70)

**მერანი (მარტვილი) – სპარტაკი (ცხინვალი) 2:1**

1:0 შულაია (46), 2:0 ფონიავა (53), 2:1 ფონიავა (63სკ)

# ეროვნულ ნაკრებში ცვლილებებია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, ცვლილებებია საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ყაზახეთში ეროვნული გუნდი 21 ფეხბურთელის შემადგენლობით გაემგზავრება. თემურ ქეცბაიას გუნდს ტრავმის გამო უჩა ლობჟანიძე გამოაკლდა, ხოლო სავიზო პრობლემების გამო გუნდს ასტანაში აკაკი ხუბუტია ვერ დაეხმარება. ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები ყაზახეთში კვირას საღამოს გაემგზავრებიან. გუნდი კი, სრული შემადგენლობით 12 აგვისტოს შეიკრიბება.

**ნაკრებში გამოძახებულთა სია სადღეისოდ ასეთია:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია (დინამო თბ), ნუკრი რევიშვილი (დილა), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);

**მცველები:** გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ალექსანდრე ამისულაშვილი, გია გრიგალავა (ორივე კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერი, თურქეთი), დავით კვირკველია (დინამო თბ), გულვერდ თომაშვილი (დილა);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა, ალექსანდრე კობახიძე (ორივე დნიპრო, უკრაინა), ლაშა გვალია (დილა), დავით თარგამაძე, თორნიკე ოქრიაშვილი (ორივე ილიჩევეცი, უკრაინა), ელგუჯა გრიგალაშვილი (დინამო თბ), შოთა გრიგალაშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ჯანო ანანიძე (როსტოვი, რუსეთი);

**თავდამსხმელები:** ვლადიმერ დვალიშვილი (ლეგია, პოლონეთი), ნიკოლოზ გელაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ირაკლი სირბილაძე (ინტერი, ფინეთი).

ყაზახეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრა 14 აგვისტოს, 18.00 საათზე (თბილისის დროით), „ასტანა არენაზე" გაიმართება. მატჩის რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგთავაზებთ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბლექბერნი-ნოტინგემი | 0:1 |
| ბლექპული-ბარნსლი | 1:0 |
| ბოლტონი-რედინგი | 1:1 |
| ბრაიტონი-დერბი | 1:2 |
| იფსვიჩი-მილუოლი | 3:0 |
| იოვილი-ბირმინგემი | 0:1 |
| უოტფოტდი-ბორნმუთი | 6:1 |
| ჰადერსფილდი-ქპრ | 1:1 |
| ჩარლტონი-მიდლსბრო | 0:1 |
| უენსდი-ბარნლი | 1:2 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 3:1 |
| ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2:0 |
| ჰერტა-აინტრახტი | 6:1 |
| ჰოფენჰაიმი-ნიურნბერგი | 2:2 |
| ბრაუნშვაიგი-ვერდერი | 0:1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ინგოლშტადი-კრლსრუე | 0:2 |
| პადერბორნი-კიოლნი | 1:1 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ბორდო-მონაკო | 0:2 |
| ვალანსიენი-ტულუზა | 3:0 |
| ლილი-ლორიანი | 1:0 |
| ლიონი-ნიცა | 4:0 |
| ნანტი-ბასტია | 2:0 |
| რენი-რეიმსი | 2:1 |
| ევიანი-სოშო | 1:1 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

| | |
|---|---|
| ანჟე-შატორუ | 1:0 |
| დიჟონი-ლანსი | 1:1 |
| კა ბასტია-ნანსი | 1:2 |
| ტრუა-არლე | 1:0 |

**ჰოლანდია. ეპედივიზიონი**

| | |
|---|---|
| ერაკლესი-ზვოლე | 1:3 |
| იგლზი-დენ ჰააგი | 2:1 |
| ბრედა-ჰერენვენი | 0:2 |
| პსვ-ნაიმეგენი | 5:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 2 | 2 | 0 | 0 | 8-2 | 6 |
| 2.ჰერენვენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 3.ზვოლე | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 4.იგლზი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5.გრონინგენი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| 6.აიაქსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 7.ვიტესი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 8.უტრეხტი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 9.ტვენტე | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 10.ვალვაიკი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 11.კამბური | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 12.დენ ჰააგი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 13.ბრედა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 14.ფეიენოორდი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 15.ალკმაარი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-4 | 0 |
| 16.როდა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 17.ერაკლესი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 18.ნაიმეგენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| პორტუ-გიმარაეში | 3:0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| დ.იუნაიტედი-ინვერნესი | 0:1 |
| როსი-პატრიკი | 1:4 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| არაუ-იანგ ბოიზი | 0:4 |
| გრასჰოპერსი-სიონი | 0:0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ვოლფსბერგერი-ინსბრუკი | 1:1 |
| ადმირა-შტურმი | 1:1 |
| ზალცბურგი-გროდიგი | 4:1 |
| რიდი-ნოიშტადი | 1:1 |

**ბელგია. პროლიგა**

| | |
|---|---|
| ბევერენი-მეხელენი | 0:0 |
| ლიერსი-სერკლი | 1:1 |
| მონსი-შარლერუა | 1:2 |
| ოსტენდე-ლეუვენი | 1:1 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| სლოვაცკო-ბოლესლავი | 0:2 |
| პრჟიბრჟამი-ბრნო | 2:1 |
| სიგმა-ტეპლიცე | 2:2 |
| სპარტა-ბოჰემიანსი 1905 | 2:1 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| ვიძევი-გურნიკი | 0:3 |
| ლეჩნა-კრაკოვია | 3:1 |
| რუხი-ლეგია | 2:1 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ვორსკლა-ილიჩევეცი | 1:0 |
| კარპატი-ზორია | 0:0 |
| ტავრია-შახტარი | 0:4 |
| მეტალისტი-ვოლინი | 4:0 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ესბიერგი-ორხუსი | 5:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-ჰალმშტადი | 0:1 |
| ელფსბორგი-კალმარი | 1:0 |
| ბრომაპოიკარნა-დიურგარდენი | 3:0 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| სონგდალი-მიოლდე | 1:2 |
| ოდ გრელანდი-ვიკინგი | 1:1 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ჯჯკ-იარო | 0:0 |

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სლიგო-ბრეი | 2:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ტორონტო-სიეტლი | 1:2 |
| ვანკუვერი-სან ხოსე | 2:0 |
| კოლამბუსი-ნიუ იორკი | 2:0 |
| ფილადელფია-დ.ს.იუნაიტედი | 2:0 |
| ჩიკაგო-მონრეალი | 2:1 |
| კანზასი-ნიუ ინგლენდი | 3:0 |
| სოლტ ლეიკი-ჰიუსტონი | 1:0 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-გოიასი | 1:1 |
| ნაუტიკუ-ატლეტიკო(მ) | 0:0 |

# ქართველმა კალათბურთელებმა იტალია მოგებით დაასრულეს

**საქართველო – ისრაელი 79:77**

**(24:12, 17:25, 18:23, 20:17)**

**საქართველო:** ცინცაძე (11ქ), შერმადინი (18ქ,15მ), მარკოიშვილი (20ქ), ფაცაცია (6ქ), სანიკიძე (20ქ,9მ); მეტრეველი, სანაძე (2ქ), ცქიტიშვილი, ბურჯანაძე, ლეჟავა (2ქ), ფხაკაძე

**ისრაელი:** ლიმონადი, ოჰაიონი (13ქ), კასპი (20ქ,8მ), ელიაჰუ (10ქ,9მ); ნისიმი (7ქ), ნაიმი, პნინი (15ქ), კოზიკარო (2ქ), ელიშაი (8ქ), ჰანოჩი (2ქ)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა იტალიაში მიმდინარე ტრენტოს საერთაშორისო ტურნირი ლამაზი გამარჯვებით დაასრულა. იტალიასთან და პოლონეთთან დამარცხების შემდეგ იგორ კოკოშკოვის გუნდი დასკვნით მატჩში ისრაელს შეხვდა და დრამატულ ფინალში – 79:77 მოუგო. ქართველების გამარჯვება განსაკუთრებით შთამბეჭდავი იმითაა, რომ კოკოშკოვის გუნდი ბოლო წუთზე 5 ქულით აგებდა და უკანასკნელ წამებზე გამოჩენილი ბრძოლისა და სიზუსტის ხარჯზე მოახერხა საკმაოდ ძლიერი მეტოქის დამარცხება.

ტრენტოში ებრაელებმა ჯერ პოლონეთი 81:65 დაამარცხეს, ხოლო შემდეგ, იტალიასთან მხოლოდ 3 ქულა დათმეს. ისრაელის ნაკრები საქართველოსთან მატჩში უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ქართველების მწვრთნელს უწინდელზე მეტი პრაგმატიზმი დასჭირდა საიმისოდ, რომ გამარჯვება მოეპოვებინა. როგორც მატჩის შემდეგ განაცხადა კოკოშკოვის ასისტენტმა კოტე ტუღუშმა, წინა შეხვედრებისგან განსხვავებით ამჯერად მოგებაზეც ვფიქრობდით და გუნდის ლიდერებს მეტი სათამაშო დრო მივეცითო.

ლიდერებმაც გაამართლეს – სასტარტო ხუთეულის ყველა წევრმა შესანიშნავად ითამაშა. გიორგი შერმადინი ფარქვეშ ბატონობდა, მანუჩარ მარკოიშვილი პერიმეტრზე, ვიქტორ სანიკიძე უნივერსალიზმით გამოირჩეოდა და ფარქვეშ თამაშს შორ სროლებსაც შედეგიანად უთავსებდა. ქართველებმა მძლავრად დაიწყეს შეხვედრა და 24:9 დაწინაურდნენ. მეოთხედი 24:12 დასრულდა, რის შემდეგაც ებრაელებმა სათადარიგოთა ხარჯზე თამაში გამოასწორეს და ანგარიშის გაბათილებას შეუდგნენ.

საქართველოს ნაკრებს სარეზერვო მოთამაშეებმა ვერ გაუმართლეს. შეცვლაზე შემოსულმა კალათბურთელებმა მთლიანობაში 4 ქულა (სანაძე 2, ლეჟავა 2) ჩააგდეს, როცა ებრაელთა მარქაფების ანგარიშზე 34 ქულა დაგროვდა. პირველი ტაიმის დასასრულისთვის ქართველების ლიდერობა 4 ქულამდე შემცირდა.

დიდი შესვენების შემდეგ ებრაელებმა შედეგიანი თამაში განაგრძეს და ლიდერობაც მალე მოიპოვეს, თუმცა ანგარიშში ჩამორჩენას ქართველებზე ფსიქოლოგიურად არ უმოქმედია. ლიდერი ხშირად იცვლებოდა, მესამე მეოთხედის ბოლოს კი ისრაელი მინიმალური სხვაობით – 60:59 იგებდა. გადამწყვეტი მეოთხედიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა ებრაელებმა, როგორც თავში ვახსენეთ, ბოლო წუთზე 5-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და გამარჯვებაც თითქოს გაინაღდეს – 77:72 დასრულებამდე 59 წამით ადრე.

დარჩენილ დროში მოხდა ის, რაც ქართველების მაღალ კლასსა და დიდ ბრძოლისუნარიანობაზე მიუთითებს. მანუჩარ მარკოიშვილის მოხდენილად ჩატენილ ბურთს ვიქტორ სანიკიძემ ზუსტი სამქულიანი და საფინალო სირენამდე წამით ადრე შესრულებული გამარჯვების ორქულიანი მოაყოლა და საქართველომ ისრაელი 79:77 დაამარცხა!

მეორე მატჩში იტალიამ პოლონეთი 76:65 დაამარცხა და ტურნირის გამარჯვებული შეიქნა, დანარჩენმა გუნდებმა თანაბარი ქულები კი დააგროვეს, მაგრამ ჩვენებს ბურთების უარესი შეფარდების გამო ბოლო ადგილი ერგოთ.

**კოტე ტუღუში, მთავარი მწვრთნელის ასისტენტი:**

– რიკი ჰიკმანი არც ამჯერად ვათამაშეთ. სამწვრთნელო შტაბის სურვილია, ამერიკელი ლეგიონერი ბოლომდე შეერწყას გუნდს, ყველა კომბინაცია კარგად გაითავისოს, მატჩების ყურებით თავისი როლი ზუსტად დაინახოს ჩვენს ნაკრებში და შემდეგ გავიდეს მოედანზე. რაც შეეხება ლიუკ ზელერის არყოფნას, ეს მხოლოდ და მხოლოდ როტაციიდან გამომდინარეა. ყველა მატჩში შემადგენლობა იცვლება. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა მოთამაშეს მიეცეს თავის გამოჩენის საშუალება და შემადგენლობაც გამუდმებით იცვლება. ამჯერად სასტარტო ხუთეულში ლევან ფაცაცია იყო, თუმცა ეს არაფერს არ ნიშნავს. მიმდინარეობს მოთამაშეებზე დაკვირვების პროცესი და მწვრთნელებს უკვე საკმაოდ რეალური სურათი აქვთ თითოეული კალათბურთელის შესაძლებლობის შესახებ. განსხვავებით წინა მატჩებიდან, ამჯერად შედეგზეც ვიზრუნეთ, რამაც ჩვენი წამყვანი მოთამაშეების მოედანზე ხანგრძლივად დარჩენა განაპირობა. შევამჩნევდით, რომ საკმაოდ ბევრი ითამაშეს მანუჩარ მარკოიშვილმა, გიორგი შერმადინმა, გიორგი ცინცაძემ, ვიქტორ სანიკიძემ. ამან შედეგი გამოიღო და საკმაოდ ძლიერ მეტოქეს მოვუგეთ ისრაელის სახით. მოგება დაცვითი თამაშის დამსახურებაა. ასევე მნიშვნელოვანი უპირატესობა გვქონდა ფარქვეშ, სამწამიან ზონაში, სადაც გიორგი შერმადინმა ისრაელის ნაკრები, რომ იტყვიან, დაჩაგრა. ებრაელებს გამოკვეთილი ცენტრი არ ჰყავთ და გიორგის გამჩერებელი მათ ვერ მონახეს. ამას ისიც დაერთო, რომ ჩვენმა ბიჭებმა შესანიშნავად ისროლეს პერიმეტრიდან, ყველა სამქულიანი უმნიშვნელოვანესი იყო. ამას ისიც დაუმატეთ, რომ საქართველოს ნაკრებმა წინა შეხვედრებთან შედარებით დაცვაში კარგად ითამაშა და ნათელი გახდება, თუ რატომ გავიმარჯვეთ. ბოლო წუთი საკმაოდ დრამატული გამოდგა და ძალიან გაგვეხარდა, რომ კარგად ჩატარებული მატჩი ლამაზი გამარჯვებით დავაგვირგვინეთ. უმეტესად ჩვენ ვიგებდით, თუმცა ისრაელი ხანდახან მცირედით გაგვასწრებდა ხოლმე. ყველაზე დიდი სხვაობით ებრაელები ბოლო წუთზე დაწინაურდნენ, როცა ლიორ ელიაჰუმ 77:72 დააფიქსირა. პრესინგისთვის არ მიგვიმართავს. მარკოიშვილმა სწრაფი ორქულიანი ჩააგდო, უფრო სწორად, ჩატენა, შემდეგ დაცვაში ბურთი ავიღეთ და კომბინაციით ვიქტორ სანიკიძე დავტოვეთ სამქულიანის სასროლად, რომელმაც საფინალო სირენამდე 27 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრა. მეტოქემ თითქმის ბოლომდე გაიყვანა შეტევისთვის განკუთვნილი დრო, მაგრამ დაცვაში ისევ იყოჩაღეს ბიჭებმა და ბურთი მოვიპოვეთ. შეტევისთვის 5 წამი გვქონდა. ებრაელებმა აქცენტი მარკოიშვილის აყვანაზე გადაიტანეს, ჩვენ კი ისევ სანიკიძეს ვენდეთ, რომელმაც ბურთი მიიღო და შედეგიანი გარღვევით, მატჩის დასრულებამდე 1 წამით ადრე, გამარჯვების ბურთი ჩააგდო. რიკი ჰიკმანი მომდევნო მატჩში, ბოსნიასთან ითამაშებს. სლოვენიაში იმ 15 კალათბურთელით მივდივართ, რომლებიც იტალიაში იყვნენ. თბილისში ჩამოსვლამდე ამ შემადგენლობით ვიქნებით შეკრებაზე. საბოლოო შემადგენლობა კი საფრანგეთის ტურნირის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებისას გამოცხადდება.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.იტალია | 3 | 0 | 0 | 6 |
| 2.ისრაელი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 3.პოლონეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4.საქართველო | 3 | 1 | 2 | 4 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# რას ითხოვს ამერიკის კინოაკადემია ეროვნული კინოცენტრისგან?

ეკა ირემაშვილი

ამერიკის კინოაკადემიამ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს თხოვნით მიმართა 2013 წლის კანდიდატი ფილმის შესარჩევად. ამ თემასთან დაკავშირებით, ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ჯანელიძემ კინოცენტრში ჟურნალისტები მიიწვია და მათ ეს განცხადება პირადად გააცნო:

– კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კანდიდატი ფილმის ასარჩევად განაცხადების მიღებას. განიხილება ფილმები, რომლებიც შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 30 სექტემბრამდე 7 დღის ვადაში უწყვეტად გადიოდა და გავა კინოთეატრებში, აღნიშნულ ფილმს გააჩნდა ინდუსტრიაში მიღებული ფორმის რეკლამა, პრემიერამდე მისი ჩვენება არ განხორციელდა ტელევიზიით ან ინტერნეტით და, რაც მთავარია, შემოქმედებით ჯგუფს უმეტესად საქართველოს მოქალაქეები უნდა შეადგენდნენ, – ამბობს ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი.

მისივე თქმით, ოსკარის ნომინანტ ქართულ ფილმს 17-კაციანი კომპეტენტური ჟიური შეარჩევს, კინოსურათი კი ამერიკაში 2013 წლის პირველ ოქტომბრამდე უნდა გაიგზავნოს. როგორც კინოცენტრში განმარტავენ, რამდენიმე ქართულ ფილმს წარმატების მიღწევის რეალური შანსი აქვს.

– განაცხადში ფილმის მწარმოებელმა უნდა დაადასტუროს, რომ ფილმი აკმაყოფილებს ან დააკმაყოფილებს შემოაღნიშნულ მოთხოვნებს და მას აქვს უფლება და სურვილი წარმოადგინოს ფილმი განსახილველად. განაცხადს მწარმოებელმა უნდა დაურთოს ფილმის ასლი დივიდი/ბლურეი ან დისიპიზე, ინგლისურენოვანი სუბტიტრების თანხლებით. ბლურეი/დისიპი განმცხადებელს დაუბრუნდება ფილმების განხილვის შემდეგ. დივიდი ვერსია კი დარჩება კინოცენტრის არქივში. წარმოდგენილი ფილმის ვარიანტი უნდა შეესაბამებოდეს ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კინოთეატრში კომერციულად ნაჩვენებ ვარიანტს. განაცხადს უნდა ერთვოდეს ფილმზე მომუშავე პირების სია ინგლისურ ენაზე, კინოცენტრის/კინოაკადემიის შემოთავაზებულ ფორმატში. განაცხადის მიღების



ბოლო ვადაა 20 აგვისტო. რაც შეეხება სხვა პირობებს, იმ შემთხვევაში თუ პროექტი ჯერ არ აკმაყოფილებს კომერციულ კინოთეატრში 7 დღიანი უწყვეტი კომერციული ჩვენების მოთხოვნას, აუცილებელია განმცხადებელმა დაადასტუროს, რომ 30 სექტემბრამდე ფილმი 7 დღის განმავლობაში უწყვეტად იქნება ნაჩვენები კომერციულ ეკრანზე და დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. კვალიფიციური ფილმების ჩვენება კომისიის წევრებისათვის გაიმართება სექტემბერში. კომისიის წევრების მიერ ერთი წარსადგენი ფილმი განხილვისა და კენჭისყრის შედეგად ამოირჩევა, – განმარტა ნანა ჯანელიძემ.

ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა ისიც გაამხილა, რომ 2013 წელს ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელიც 9-13 აგვისტოს ჩატარდება, საქართველო საკმაოდ მასშტაბურად იქნება წარმოდგენილი.

ფესტივალის სექცია ოფენ დოორს არაერთ ქართველ მონაწილეს უმასპინძლებს. სექცია ფოკუსს ამჯერად კავკასიის რეგიონზე აკეთებს. ფესტივალს დაესწრებიან ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე და საქართველოს წარმომადგენელი ევრიმაჟში თამარ ტატიშვილი. ეროვნული კინოცენტრი ლოკარნოს კინოფესტივალთან უკვე 2 წელია თანამშრომლობს და ღრმა საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს. ფესტივალის შვეიცარიელი წარმომადგენლები 2012 წელს თბილისში სამუშაო ვიზიტითაც იმყოფებოდნენ.

ლოკარნოს ფესტივალზე მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ქართველი კინემატოგრაფისტები პროექტებით: „სხვისი სახლი“ – რუსუდან გლურჯიძე, „ხიბულა“ – გიორგი ოვაშვილი, „მადონა“ – ნინო გოგუა, „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ – ალექსანდრე კვატაშიძე, „ძილის გაკვეთილები“ – რუსუდან პირველი.

– წელს ლოკარნოს ფესტივალი პატივს მიაგებს ქართველ რეჟისორს ოთარ იოსელიანს რომელსაც გადაეცემა სპეციალური პრიზი, კინემატოგრაფიის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის, – ამბობს ნანა ჯანელიძე.

როგორც ლოკარნოს ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი კარლო კატრიანი აღნიშნავს:

– ოთარ იოსელიანის ფილმები ქმნის ოდას თავისუფლებისადმი. გამოხატვის თავისუფლება გადმოცემული კინოს ენით, რომელიც მოკლებულია ყოველგვარი რიტორიკისა და ნარატიულობას და რომელიც უპირატესობას ანიჭებს თავისი გმირების მერყევი შინაგანი მდგომარეობის გადმოცემას და არა მოქმედებასა და სიუჟეტური ხაზის განვითარებას.

ქართველთა რამდენიმე თაობა წარმოადგენს თავიანთ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი, რეჟისორი ნანა ჯანელიძე, რომლის დოკუმენტური ფილმი „ნეტავ იქ თეატრი არის?!“ იყო ნაჩვენები 2012 წლის მონრეალის, მუმბაის, ჰონგ-კონგის, პეტერბურგის ფესტივალებზე და არის ნიკას მფლობელი. ის ახლახანს დაინიშნა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორად, ზაზა რუსაძე, რომელიც არის დიტო ცინცაძის ფილმის „კაცი საელჩოდან“ თანაავტორი, ეს ფილმი 2006 წელს იყო ნაჩვენები ლოკარნოს კონკურსზე, და რომლის პირველმა მხატვრულმა ფილმმა გახსნა წელს ბერლინის პანორამა და რუსუდან ჭყონია, რომლის ფილმის „გაილიმეთ“ სცენარი განვითარდა ავანტი ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში, რომელსაც მხარს უჭერს დიდისი. ამ ფილმის მსოფლიო პრემიერა ჩატარდა 2012 წელს ვენეციის დღეების ფესტივალზე. ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე ნაჩვენები იქნება ლევან ზაქარეიშვილის „თბილისი-თბილისი“, ნანა ჯორჯაძის „27 კოცნა“ და გელა ბაბლუანის „ცამეტი“.

– ლოკარნოს კინოფესტივალის ინდუსტრიული ნაწილი ოფენ დოორს ხელს უწყობს კინოინდუსტრიაში მყოფი პროფესიონალების დაახლოებას. წარმოდგენილი იქნება ინდუსტრიული კინოჩვენებების დახვეწილი პროგრამა, კინოფორუმი და მრგვალი მაგიდის შეხვედრები კინოწარმოებისა და დისტრიბუციის საკითხებზე, – მიაჩნია ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელს.

მისი განმარტებით, ლოკარნოს კინოფესტივალის არსებობის 64 წლის მანძილზე, ფესტივალს უჭირავს განსაკუთრებული ადგილი მსოფლიოს წამყვან ფესტივალებს შორის. ყოველი წლის აგვისტოში 11 დღის მანძილზე შვეიცარიულ-იტალიური ქალაქი ლოკარნო, რომელიც ევროპის შუაგულში მდებარეობს, იქცევა მსოფლიოს საავტორო კინოს დედაქალაქად.

# ბრატისლავაში საქართველოს ფოტოგამოფენა მიუძღვნეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სლოვაკეთის ქალაქ ბრატისლავაში, საქართველოსადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა გაიხსნა. ღონისძიება სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და ბრატისლავას ძველი ქალაქის მუნიციპალიტეტის დახმარებით გაიმართა.

ქართველ ფოტოხელოვანთა 30-მდე ნამუშევარი ძველ ქალაქში მდებარე სიჩის სასახლეში გამოიფენა. ფოტოგამოფენის გახსნის ცერემონიაზე ღონისძიების მონაწილეებს სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩმა ალექსანდრე ნალბანდოვმა და ქალაქ ბრატისლავას ძველი ქალაქის ვიცე-მერმა პეტერ ოსუსკიმ სიტყვით მიმართეს.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ სლოვაკეთის რესპუბლიკაში აკრედიტირებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და მედიის წარმომადგენლები. ფოტოგამოფენის სტუმრებს ანსამბლ „ერისიონის“ კონცერტის ვიდეო-ჩანაწერი უჩვენეს.

სლოვაკეთის დედაქალაქში საქართველოსადმი მიძღვნილი ფოტო-გამოფენა 24 აგვისტომდე დარჩება.

# ლიზა ბაგრატიონი უკრაინაში იმღერებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტი სევასტოპოლის ლუნაჩარსკის სახელობის აკადემიურ თეატრში ჩატარდება, 16 აგვისტოს ქართველები იალტის ჩეხოვის სახელობის აკადემიურ თეატრში გადაინაცვლებენ, 17 აგვისტოს კი ქართველ შემსრულებლებს ალუშტაში პორტო დიმარეს საკონცერტო არენაზე ელოდებიან.

ლიზა ბაგრატიონი ბოლო წლებში ჩრდილში იდგა და ეშმომქედებითად არ აქტიურობდა. ცნობილია, რომ ის იმ ხელოვანთა ჩამონათვალში აღმოჩნდა, რომლებსაც წინა ხელისუფლება ყურადღებით არ ანებივრებდა, სწორედ ამიტომ ლიზა ბაგრატიონი თავის მეგობრებთან ერთად ქვეყანაში სიტუაციის შეცვლას ელოდებოდა. საქართველოს ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, მომღერალი კვლავ გააქტიურდა. ამჯერად ლიზა ბაგრატიონი მეგობრებთან ერთად უკრაინაში გეგმავს ჩასვლას. როდის გამართავს კონცერტს მომღერალი საქართველოში, ჯერჯერობით უცნობია.

# გურამ ოდიშარია თიანეთობას დაესწრო

დასაწყისი მე-8 გვერდზე

და სამი მხრიდან მიუვალია. თითქმის დანგრეული ძეგლიდან აღდგენა-რესტავრაციას დაახლოებით 40% ექვემდებარება. რამდენიმე კოშკი სასწრაფოდ საჭიროებს შველას და გამაგრებას. შეთეკაურთა კოშკი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია. გასულ წელს, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა პროექტის „ღია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივას“ ფარგლებში, მუცოს რეაბილიტაციაზე მომუშავე ჯგუფების კოორდინაცია მოახერხა და რამდენიმე სამუშაო შეხვედრაც ჩაატარა, თუმცა რეაბილიტაციის დაწყება ვერ მოხერხდა.

მუცო დუშეთის მუნიციპალიტეტში, პირიქითა ხევსურეთში, მდინარე არდოტის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ შატილიდან 12 კილომეტრში მდებარეობს. ციხე-ქალაქი, რომელიც გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება, პირიქითა ხევსურეთის შემორჩენილი ნასახლარებიდან უძველესია. მუცო ჯერ გადაუწვავთ და ნანგრევებად უქცევიათ, ხოლო შამილის მოლაშქრეებს აუოხრებით. ისტორიული წყაროების მიხედვით, ციხე-ქალაქი უკანასკნელმა მოსახლემ 1918 წელს დატოვა. ციხე-ქალაქი მუცო რთული რელიეფის სამ ტერასაზეა განლაგებული. ნაგებობები ფიქლისაა, წყობა – მშრალი. თერმოიზოლაციის მიზნით ფიქლებს შორის სიცარიელე დუღაბითაა ამოვსებული. ზემოთ პირველი, ოვალური ფართობის ტერასაა. ის ყველაზე ადრინდელია. ციხე-ქალაქი ჩრდილოეთიდან დაცულია თორღვაის კოშკით, სამხრეთიდან ციხე-სახლებით, ხოლო აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან – ციცაბო კლდის ქარაფებით. ტერასის შუა ნაწილში წმინდა გიორგის ხატი და მაღალი სათვალთვალო კოშკია. ხატის ახლოს, სამხრეთით, იყო ყორით შემოფარგლული ეზო, ე.წ. „ბროლის კალო“ ციხე-სოფლის ერთადერთი საჯინიბო. მეორე, შუა ტერასა, მთლიანად საცხოვრებელი ნაგებობებით იყო განაშენიანებული. შენობები ერთმანეთის მიჯრით დგას, მათი გარეთა კედლები საბრძოლო ზღუდეს ქმნის. ნაგებობები ძირითადად ოთხსართულიანია. ციხე-სახლებში პირველ სართულზე უმეტესად ბოსელია მოწყობილი, მეორე სართულზე საცხვარე (იშვიათად პირიქით). მე-3 და მე-4 სართულები, რომელთა ფართობი 40, 60 ან 70 კვ. მეტრია, საცხოვრებელია. მე-5 სართულს იყენებდნენ სურსათის მარაგის, სამუშაო და საბრძოლო იარაღის შესანახად. ზაფხულობით კი იქ ბავშვები აჰყავდათ. სათავსებს შენიღბული სარკმლები აქვს. სართულებს შორის კავშირი ხორციელდებოდა ჭერში დატანებული ხვრელობებით და მისადგმელი ხის კიბით. გვხვდება ხის მორზე ამოკვეთილი საფეხურებიანი კიბეებიც. მესამე სართულზე, ტრადიციულად, მოწყობილია კერა, რომელსაც აქვს სახანძრო იზოლაცია. საკვამლე ღიობი (საკვამი) ყველა ღიობზე მაღლა იყო. სარკმლები სათოფურების როლსაც ასრულებდა. ამიტომ მათი განლაგება და პროპორციები თავდაცვითი თვალსაზრისით განისაზღვრებოდა. ციხე-სახლები გადახურულია დახრილი ცალფერდა სახურავებით – სიპებით ან ბანით – ჭურხოთი, რომლის მცირე ნაწილი, ქვემოდან ამოსასვლელის ადგილი, ფიქლითაა გადახურული. ციხე-ქალაქის ყველა ქუჩას, ჩიხს, შესახვევს ან კიდეებს თავდაცვითი, საფორტიფიკაციო დანიშნულებითაც აშენებდნენ. ციხე-ქალაქის მესამე, ქვედა ტერასაზე, დაბლა, სოფლის სასაფლაოა. სადაც, განლაგებულია სამლოცველოები, მათ ადგილებს მოსახლეობა აკლდამებადაც იყენებდა.

მუცოზე უამრავი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი მუცოს საიდუმლო განძზე მოგვითხრობს. გადმოცემის თანახმად სოფლის მკვიდრნი მთავარანგელოზის ბროლისკალოს ხატზე ლოცულობდნენ. ისინი განთქმული მეომრები და მონადირეები ყოფილან და თავს წმინდა დროშათა არმიის მუდმივ წევრებად თვლიდნენ. რადგან იცავდნენ საუკუნეების განმავლობაში ხატისთვის მოძღვნილ საგანძურს. საიდუმლო საგანძურის ადგილსამყოფელი მხოლოდ ორმა კაცმა იცოდა. საგანძურიც და დროშაც მხოლოდ ხევსურთა უდიდეს დღესასწაულზე „ათენგენობაზე“ გამოჰქონდათ. ჩამოატარებდნენ მედროშენი ზანზალაკებიან დროშას, მუხლს მოიყრიდნენ მის წინაშე ხატის ყმები, გამორჩეულ საკარგმოს ლუდით სავსე „ხატის თასებს“ ჩამოურიგებდნენ და იმათ მოსაგონარს სვამდნენ, ვინც სამშობლოსათვის დასდო თავი. მერე დაწყებულა ჟამიანობა, რომლის დროსაც საგანძურისა და დროშის სამალავების მცოდნეები დაიღუპნენ და საიდუმლო საფლავში თან წაიღეს. თუმცა დარჩა ლეგენდა, მუცოს მიუვალ კლდეებში დამალულ განძსა და დროშაზე. მუცოელებს სჯერათ, რომ განძს ვერავინ იპოვის, ვიდრე მუცოს მფარველი ხატი თავად არ ამოარჩევს ღირსეულს და ძილში არ უჩვენებს მის ადგილსამყოფელს. როგორც კულტურის უწყებაში განმარტავენ, სარეაბილიტაციო პროექტი მზადაა, თუმცა პრობლემა კომპლექსურია და წელს მისი რეაბილიტაციის დაწყებაც ვერ მოხერხდება.

მომდევნო კვირაში აპირებს ასვლას გურამ ოდიშარია ფშავში, სადაც მონინახულებს ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმს, შეხვდება ადგილობრივ მოსახლეობას და მათ პრობლემებს ადგილზე გაეცნობა.

# სკანვორდი



1. მსხვილი მახრჩობელა გველი; 2. კინოოპერატორი ... ახვლედიანი; 3. ნოტი; 4. უწვერულვაშო მამაკაცი; 5. ჩეხი მწერალი (1851-1930); 6. საფუტკრე; 7. დელიბის ოპერა; 8. ინგლისური ავტომარკა; 9. ინდოელი ქალის კაბა; 10. ენაჩლუნგი; 11. ხორციანი კორკოტი; 12. მაჰმადიანთა სასულიერო სასწავლებელი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 14. შტატი აშშ-ში; 15. ბუნებრივი საღებავი; 16. ქალაქი საუდის არაბეთში; 17. ... თამაშობანი; 18. ატმოსფერული მოვლენა; 19. ა.ხაჩატურიანის ბალეტი; 20. ჩამონათვალი; 21. რუმინეთის ფულის ერთეული; 22. ჭიდაობის სახეობა; 23. ვულკანური წარმოშობის ქანი; 24. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 25. ლექსის სტრიქონი; 26. საარჩევნო ყუთი; 27. მუსლიმანური ქვეყნების მგოსანი-მომღერალი; 28. ყურძნის ჯიში; 29. დიდი, გამობერილი მუცელი; 30. პოეტი ... ნარიმანიძე; 31. ნოტი; 32. ქალაქი ესპანეთში; 33. ფანდი, ხრიკი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დიხაშხო; 2. წნორი; 3. სკანსენი; 4. ბურნაკუ; 5. გოლზუორთი; 9. გრიზლი; 12. თარხანი; 14. ლენონი; 15. ზაქი; 17. ტატრა; 18. აკრი.

**თარაზულად:** 6. ხიხანი; 7. აკაპულკო; 8. ტაბორი; 10. ნანდუ; 11. როსტომიანი; 13. კლაუზულა; 16. ღალატი; 19. კალაჰარი; 20. ნიველირი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ორაკული; 3. აპატრიდი; 4. ობივატელი; 5. ლანჩი; 6. ერზაცი; 8. ბრინზა; 11. გუდრუნი; 14. ონომასტიკა; 15. ბირთვისი; 16. ალტერაცია; 17. ფაგოტი; 19. ოსტერია; 21. ხიხვი; 22. იმედი.

**თარაზულად:** 1. ბოტაფოგი; 2. ლილე; 7. ტაბულა; 9. მაჭავარიანი; 10. ზუგდიდი; 12. აციდოზი; 13. გრეგორი; 16. ამნერისი; 17. ფიჯი; 18. ბონზა; 20. სკალპელი; 22. იბიცა; 23. რეესტრი; 24. ცაგერი; 25. ვისკი.

## ვენესუელის პრეზიდენტს უგო ჩავესის საფლავის გვერდით სძინავს

ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ განაცხადა, რომ ხშირად სძინავს შენობაში, სადაც დაკრძალულია მისი წინამორბედი უგო ჩავესი.

„ხშირად მივდივარ იქ, საკმაოდ ხშირად ვრჩები დასაძინებლად. თქვენ ამას ვერც წარმოიდგენთ. ჩვენ იქ ერთად ვფიქრობთ“, – განაცხადა მადურომ ჩავესის მავზოლეუმში ღამის ხშირ ვიზიტებთან დაკავშირებით.



ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც მადურო ხაზს უსვამს გარდაცვლილ კომენდანტესთან კავშირს. მანამდე მან განაცხადა, რომ ჩავესი მას პატარა ჩიტის სახით ევლინება და კურთხევას აძლევს.

უგო ჩავესი გარდაიცვალა მარტის დასაწყისში მრავალწლიანი ონკოლოგიური დაავადების შედეგად. მისი ცხედარი დაკრძალულია რევოლუციის მუზეუმში, მარმარილოს სარკოფაგში.

2013 წლის 14 აპრილს ვენესუელის საპრეზიდენტო არჩევნებში ნიკოლას მადურომ ოპოზიციის კანდიდატი ენრიკე კაპრილეს რადონსკი 1.5%-იანი უპირატესობით დაამარცხა. კაპრილესმა არ ცნო არჩევნების შედეგი და ხმათა დაუყონებლივ გადათვლა მოითხოვა. საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო შედეგები სრული შემოწმების შემდეგ, 19 აპრილს, მადურომ ინაუგურაციაზე საპრეზიდენტო ფიცი დადო.

## „აშშ-მ უნდა გააცნობიეროს, რომ რუსეთი ამერიკის „პოლიტიკური კოლონია“ არ არის“

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელ ალექსეი პუშკოვის განცხადებით, „აშშ-მ უნდა გააცნობიეროს, რომ რუსეთი „პოლიტიკური კოლონია“ აღარ არის“.

პუშკოვის განცხადებით, „რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობებში „პაუზის“ დროს ვაშინგტონმა უნდა გააცნობიეროს, რომ რუსეთი ამერიკის „პოლიტიკური კოლონია“ უკვე აღარ არის“.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ მოსკოვში ანტიამერიკული რიტორიკის ზრდის ფონზე, ამერიკამ შესვენება უნდა აიღოს და რუსეთთან ურთიერთობები უნდა გადააფასოს.

მისივე თქმით, ადრე მოსკოვმა და ვაშინგტონმა სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს, მათ შორის ავღანეთის სიტუაციისა და რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, იგი რუს კოლეგა ვლადიმერ პუტინთან ნორმალურ ურთიერთობას ინარჩუნებს და ისინი საკითხებს პირდაპირ და კონსტრუქციულად განიხილავენ. აშშ-სა და რუსეთს შორის არ არის „ცივი ომი“, არ არსებობს არანაირი საფუძველი სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადების თაობაზე.

„სამიტში მონაწილეობაში უარის თქმის გადაწყვეტილება დაკავშირებული არ არის მხოლოდ სნოუდენთან. ჩვენ რიგ საკითხებში საკმარისი პროგრესი არ გვქონდა. ბოლო თვეებში გაჩნდა უთანხმოება სირიის, ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებით. ალბათ, ჩვენთვის შესაფერისი იქნებოდა, ავიღოთ შესვენება, გადავაფასოთ, სად მიდის რუსეთის, როგორია ჩვენი საკვანძო ინტერესები და მოვაწყოთ ურთიერთობები ისე, რათა კარგი გავაკეთოთ აშშ-სთვის და ვიმედოვნებ, ასევე რუსეთისთვის“, – განაცხადა ობამამ.



აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სექტემბერში მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაზე უარი ოფიციალურად განაცხადა. აშშ-ის თეთრი სახლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი დაკავშირებულია ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის, შეიარაღებაზე კონტროლის, ასევე გლობალური უსაფრთხოების, ადამიანისა და სამოქალაქო საზოგადოების უფლებების საკითხებში დიალოგში პროგრესის არარსებობასთან. ამასთან, რუსეთთან თანამშრომლობა აშშ-სთვის პრიორიტეტად რჩება.

ამერიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მედვედევის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთთან ურთიერთობები მნიშვნელოვნად დათბა და რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმებაც შედგა, თუმცა, მას შემდეგ, რაც კრემლში პუტინი დაბრუნდა, რუსეთი კვლავ საბჭოური ანტიამერიკული რიტორიკით ალაპარაკდა.

ამავე დროს, ობამამ მიუღებლად მიიჩნია რუსეთში მიღებული ჰომოფობიური კანონების გამო სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირება. მას ასევე მიზანშეუწონლად მიაჩნია უარის თქმა დიდი ოცეულის სამიტში მონაწილეობაზე, რომელიც სექტემბერში სანქტ-პეტერბურგში გაიმართება. მან აღნიშნა, რომ პეტერბურგში მაინც ჩადის არა რუსეთთან ურთიერთობების გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს სამიტი მნიშვნელოვანია ამერიკის ეკონომიკისა და სამუშაო ადგილებისათვის.

პაუზა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობების გადასაფასებლად პრეზიდენტმა ობამამ გამოაცხადა, საფრთხეს უქმნის, სულ მცირე, 5 შეთანხმების გაფორმებას, რომლებიც ვაჭრობას, ინვესტიციებს, ბირთვულ უსაფრთხოებასა და ნარკოტრაფიკთან ბრძოლას მოიცავს. რუსული გამოცემა „კომერსანტის“ ინფორმაციით, ზოგიერთი შეთანხმება, შესაძლოა, პრეზიდენტების გარეშე, მხოლოდ მინისტრების დონეზე გაფორმდეს.

„საქართველოს ნატოში გაწევრიანება, მაგნიტსკის სიის გაზრდა და ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგება“ – ეს ის საკითხებია, რომლებიც სენატორებმა ჯონ მაკკეინმა და ლინდსი გრემმა ედუარდ სნოუდენის სკანდალის საპასუხოდ შესთავაზეს აშშ-ის ხელისუფლებას. „აშშ-ის ხელისუფლებამ სიმბოლური ჟესტებიდან უნდა გადაუხვიოს და მიიღოს ზომები, რომლებიც აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობაში უფრო რეალისტური მიდგომის შესამუშავებლად“, – ნათქვამია მაკკეინის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ ტექსტში.

სენატორებმა რუსეთის პოლიტიკა კიდევ ერთხელ გააკრიტიკეს და მხარი დაუჭირეს აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას გადაწყვეტილებას პუტინთან შეხვედრის გაუქმების თაობაზე.

სპეცსამსახურების თანამშრომელ ედვარდ სნოუდენის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მას შემდეგ აღიძრა, რაც მან ამერიკულ პრესას სოციალურ ქსელებში სპეცსამსახურების თანამშრომელთა მიერ სხვა ქვეყნების მოქალაქეთა მასობრივი თვალთვალის შესახებ მასალები მიაწოდა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ზაირა რთველიაშვილი, შვილები ნინო, თათა გოგავები, სიძე ზურაბ გუდავაძე, შვილიშვილი გიორგი გუდავაძე, და მარინა გოგავა, რძალი ნუნუ ნიბლაძე, სიძე რამაზ მაყაშვილი, ძმისშვილები გია, იკა გოგავები, რძლები ნინო ლომაია და ნინო საბაშვილი, დისშვილები ეკა მაყაშვილი, იკა მაყაშვილი, სიძე ნიკო ნებიერიძე, მარინა რთველიაშვილი, თინა არაბიძე, ანა დონაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამაზ გოგავა**

პანაშვიდები: 11 და 12 აგვისტოს;
გამოსვენება: 13 აგვისტოს, 15 საათზე;
მისამართი: ირაკლი აბაშიძის №10, |1-ლი სადარბაზო, მე-5 სართული.

## გარდაიცვალა გრიგოლ (თამაზ გოგავა)



გრიგოლ გოგავა დაიბადა ცნობილი მშენებლის გრიგოლ გოგავას ოჯახში 1937 წლის 4 დეკემბერს. 1956 წელს დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც 1961 წელს დაამთავრა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით.

იმავე წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

1968 წელს ინიშნება „საქმთავარენერგოს“ სპეციალიზირებულ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსად, შემდეგ 17 წლის მანძილზე მუშაობდა ამ ტრესტის მმართველად. 1988 წლიდან იყო „საქენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილე. 1967-88 წლებში არჩეული იყო თბილისის მშრომელთა დეპუტატების ოქტომბრისა და კიროვის რაიონების სხვადასხვა მოწვევის საბჭოების დეპუტატად, საქალაქო საბჭოს დეპუტატად, საქ. კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომის წევრად.

ამ პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ქალაქში მიმდინარე არაენერგეტიკული უწყების საცხოვრებელი სახლებისა და კულტურული ძეგლების მშენებლობაში. სახელდობრ, ხელმძღვანელობდა დედა ენის, პეტრე ბაგრატიონისა და გიორგი სააკაძის ძეგლების მშენებლობას.

1991 წელს დაინიშნა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მინისტრად, 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრის პირველ მოადგილედ, 1993 წელს საქ.მინისტრთა საბჭოს სათბობ-ენერგეტიკის განყოფილების უფროსად, 1995 წელს სათბობ-ენერგეტიკის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტად, დეპარტამენტის უფროსად.

1996 წელს იყო სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს პერსპექტიული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი.

იყო საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, დაჯილდოებული იყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლითა და 1985 წლის „საუკეთესო მშენებლის“ საკავშირო კონკურსის ოქროს მედლით, მედლებით „შრომის ვეტერანი“ და „სანიმუშო შრომისათვის“, საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენებით.

თბილისს კიდევ ერთი კოლორიტი, ბუმბერაზი, საამაყო პიროვნება დააკლდა, მის მეგობრებს კი მისი – თამაზ გოგავას – უანგარო დახმარება, კეთილი ღიმილი და წრფელი გული.

*მეგობრები*

დავით გურგენიძე, მამუკა კობახიძე, ნიკო ნებიერიძე, მერაბ ბალათურია, კახა გიორგაძე, ზაზა მაზმიშვილი, გიგა მაზმიშვილი, მამუკა ონეზაშვილი, პაატა გოგეშვილი, გიორგი ასათიანი, ვაჟა ტაბატაძე, ზაზა ბუაჩიძე, გუჯა წაქაძე, გია ბიჭიაშვილი, გია გვეტაძე, თამაზ ჯამაგიძე, ზაალ ცინაძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ნინო და თათა გოგავებს, ზურაბ გუდავაძეს მამის

**თამაზ გოგავას**

გარდაცვალების გამო.

ალთუნი ბახტაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ზაირა რთველიაშვილს, მარინა, ნინო, თათა გოგავებს, ზურაბ გუდავაძეს

**თამაზ გოგავას**

გარდაცვალების გამო და უერთდება მათ მწუხარებას.

სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 30 წლის ასაკში გარდაიცვალა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პოლიტიკური მდივანი **გელა ბანძელაძე**.

თავისი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გელა ბანძელაძე, იმ გამონაკლისთაგანი იყო, რომლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივიზმი არასდროს ჯდებოდა პოლიტიკისადმი გავრცელებული სტერეოტიპული შეხედულების ფარგლებში. ვინც მას იცნობდა, შეუძლებელია, ეჭვი შეჰპარვოდა მის გულწრფელობაში, მიზანდასახულობაში, მისი გრძნობების და საქმის სიწრფელეში. პარტიისადმი განსაკუთრებით ახალგაზრდობის სწრაფვას მნიშვნელოვანწილად მისი ავტორიტეტი და პიროვნული თვისებები განაპირობებდა. გარდა პოლიტიკური აქტივიზმისა, გელა ბანძელაძე სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა, პოლიტიკური მეცნიერების ლექციებს კითხულობდა რამდენიმე უნივერსიტეტში.

გელა ბანძელაძე დააკლდა არა მხოლოდ ოჯახს და სამეგობროს, არამედ მთელ პოლიტიკურ სპექტრს, ქართველ საზოგადოებას.

გელა ბანძელაძის პანაშვიდი გაიმართება 12 აგვისტოს, 18:00 საათზე.

მისამართი: გურამიშვილის 30, I კორპუსი, I სადარბაზო, მე-5 სართული, ბინა № 24.

დაკრძალვა: სამშაბათს, 13 აგვისტოს, მუხათგვერდის სასაფლაოზე.

## წმინდად შევინახავთ მის ხსოვნას



წელიწადი იშვიათად გაივლის, თავზარდამცემი, გულისმომკვლელი ამბავი რომ არ შევიტყოთ. მეტისმეტად შემცირდა, დაცოტავდა ჩვენი საძმო, ზედიზედ ვკარგავთ თანამშრომლებს, სიყრმის მეგობრებს, ამირან ებრალიძეს, ზურიკო გუგუშვილს, ჟორა ფირცხალაიშვილს, გურამ ჩახვაშვილს, ზალიკო წილოსანს, რობერტ ცინცაძესა და სხვებს ახლა ჩვენი უძვირფასესი კოტე ურუშაძეც მიჰყვა – ჩვენს ხშირ შეკრებათა უცვლელი თამადა, გასაოცრად ენამჭევრი, ლამაზი გარეგნობისა და არტისტული ბუნების პიროვნება, სამშობლოს ბედ-იღბალზე შეწუხებული ამაგდარი ვაჟკაცი. ძნელია მის სამუდამოდ დადუმებასთან, არყოფნასთან შეგუება. თვალებში სხვანაირი ცეცხლი ენთო, ხმაში ფოლადი რეკავდა, ყველა ჩვენგანს მხარში გვედგა, გვამხნევებდა. ტრადიციული სერობის, ერთმანეთის მოსიყვარულების შემდეგ თავის მანქანაში ჩაგვსხამდა ხოლმე და სახლებში დაგვარიგებდა. ქართული პოეზიის თაყვანისმცემელმა, ზეპირად იცოდა მრავალი შედევრი და შესაშური ოსტატობით წარმოთქვამდა.

კოტე ურუშაძე პროფესიით ჰიდრომშენებელი იყო, განათლებული, საუკეთესო ინჟინერი. წლების მანძილზე აფრიკის სხვადასხვა ქვეყანაში საკმაოდ დაძაბული მუშაობდა და ჯანმრთელობაც მაშინ დაიზიანა, მაგრამ ჩვეული სიხალისე, სიცოცხლის დაუცხრომელი სიყვარული არასოდეს განელებია.

თანატოლები ვიყავით და ბავშვობის წლები ერთად გავატარეთ გურიაში, ლანჩხუთში. მკვირცხლი, დაუდეგარი ბიჭი იყო – სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამორჩეული, წარმატებული წევრი, საუცხოოდ, მოხდენილად ცეკვავდა. ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლა იქაურმა თეატრალურმა მოღვაწემ, ნიჭიერმა მსახიობმა ვალოდია წულაძემ და ამით კიდევაც ამაყობდა. მუდამ სითბოთი იხსენებდა იმ დროს. პედაგოგის ოჯახში აღზრდილ კოტეს უსაზღვროდ უყვარდა ლანჩხუთი, ხშირად ჩადიოდა თავისიანებთან და დიდად წუხდა, რომ ჩვენს მშობლიურ კუთხეში კულტურული ცხოვრება თითქმის მთლიანად ჩაკვდა. მუდამ გვეუბნებოდა – ყველანაირად ვეცადოთ, იქაურობა აღორძინდეს, ხალხმა შვება, უკეთესობა იგრძნოსო. დასანანია, რომ ამ ღირსეული მამულიშვილის არაერთი სურვილი და ოცნება განუხორციელებელი დარჩა. ჩვენ კი, უზომოდ გულდაწყვეტილებს, დამწუხრებულებს, ისღა დაგვრჩენია, პატივით გავაცილოთ უკანასკნელ გზაზე და წმინდად შევინახოთ დავიწყებისათვის დასანანი მისი ნამდვილი ხსოვნა.

*უახლოესი მეგობრების სახელით, ემზარ კვიტაიშვილი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ოიშაბათი 12 აგვისტო**

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "რობინ ორლენი: იოჰანესბურგიდან გარნიეს სასახლემდე" **09.30** საბ. ანიმც/ფ "პატარა პოლარული დათვი" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**სუპერმენი**" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "ნიკიტა" **18.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **22.00** მხ/ფ "**ლამაზი ანტონიო**"

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ქაირო" **09.00** მხ/ფ "**და ყველაფერი განათდა**" **10.55** მხ/ფ "**ვინეტუ – I**" **12.50** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "გერმანია" **13.15** მხ/ფ "**ქალღების სიყვარული სავალდებულოა**" **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 1 ნაწ. **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" 8 სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**". **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" 7 სერ. **00.15** მხ/ფ. "**აუზი**" (ა.დელონი)

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "ARTHUR ET LES MINMOYS" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** შერეკილები. **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** მხ/ფ "**ლესი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55** ისტორიის დღიური **10.15** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** დოკ/ფ "კოდორის გმირები" **13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** გუთნისდედა **15.30** სპექტაკლი - "**ბამბაზიის სამოთხე**" **17.30** კვირიაკეს სიუჟეტი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.15** დოკ/ფ "ლოცვები სამშობლოსათვის" **19.35** მხ/ფ "**გაზაფხული გადის**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სადვთისმეტყველო საუბრები - გიორგი გვასალია -შესაქმე **22.25** "ჩვენი ფონდი" თამაზ ჯოლოგუა - დიმიტრი ყიფიანი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ახალმოწამე" **00.30** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **02.00** ირაო

**მაესტრო** **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.40** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **14.40, 22.20, 4.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **16.00** **სერიალი** "**შტორმი**" **19.00** **სერიალი** "**1001 ღამე**" **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

**tv 9** **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05** ახალი დილა **10.05** BBC სერიალი - "ჯეკილი" გამ **11.05, 7.00** დოკ/ფ **12.30** **სერიალი** "**როგორ შევხვდი დედაშენს**" გამ **13.10, 5.00** ცხელი შუადღე **14.10, 20.00** **სერიალი** - "**ტკბილი შხამი**" **15.30** სტერეოტიპი გამ **16.10** მატრიცა გამ **17.10** დოკ/ფ "არქიტექტურა" **17.30** როგორ - "შევხვდი დედაშენს" **18.00, 1.50** ღია თამაში **23.00, 0.20** მხ/ფ მთავარი კითხვა.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6600 | ევრო — 2,2201 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5775 | 100 რუსული რუბლი — 5,0516 |

## ამინდის პროგნოზი 12 აგვისტოსთვის




# არეულობა კალათბურთის ფედერაციაშიც დაიწყო

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყრილობა ჩაიშალა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ქართული კალათბურთის მმართველი ორგანოს ხელმძღვანელებმა ყრილობის ჩაშლის მიზეზად ყრილობის წევრებზე ზეწოლა დაასახელეს.

ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა ორგანიზაცია კალათბურთელთა



კავშირის დამფუძნებლები ზეწოლაში ღიად დაადანაშაულა.

ფედერაციის პრეზიდენტმა, ბესიკ ლიპარტელიანმა და ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა დარბაზი რამდენიმე დელეგატთან ერთად დატოვეს. დარბაზში 17 დელეგატი დარჩა, რომლებმაც სხდომის თავმჯდომარე და მდივანი აირჩიეს და მუშაობა განაგრძეს.

ყრილობის პარალელურად, განცხადება გააკეთა როგორც ორგანიზაცია „კალათბურთელთა კავშირის" დამფუძნებელმა მიშა ახვლედიანმა, რომლის თქმით, შესატანია ცვლილებები კალათბურთის წესდებაში, რადგან იგი არ მოდის შესაბამისობაში როგორც ქართული და ისე ფიბა-ს კანონმდებლობასთან.

— საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის წინა დღეებში განხორციელდა გაუგონარი ზეწოლა ყრილობის დელეგატებზე სხვადასხვა თანამდებობის პირთა და ორგანიზაცია „კალათბურთელთა კავშირის" მხრიდან. დელეგატებს სხვადასხვა ფორმით აიძულებდნენ და აშანტაჟებდნენ, რათა ზოგი მათგანი საერთოდ არ მისულიყო ყრილობაზე, ხოლო ნაწილს მხარი არ დაეჭირა ფედერაციის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცებისთვის. ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით გამგეობაში შემოვიდა წერილობითი და ზეპირი ფორმის მოთხოვნები, რომ აღნიშნული ზეწოლის ფაქტების გამო გადადებულ იქნას რიგგარეშე ყრილობა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხებსა და ვითარებაზე და მიიღო გადაწყვეტილება: ყრილობისთვის მიუღებელი და აუტანელი გარემოს შექმნის გამო საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გადაიდოს, — ეს კი კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე წერია.

როგორც იურისტმა, გიორგი ანთაძემ განაცხადა, ყრილობას დელეგატების უმრავლესობა ესწრებოდა და იგი სრულიად ლეგიტიმური იყო.

ფედერაციის პრეზიდენტი დელეგატებზე ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით, ორშაბათს შესაბამის ორგანოებს მიმართავს.

მ. ქ.

# თამარ გვერდწითელმა ფესტივალი დააარსა

*ეკა ირემაშვილი*

მომღერალმა თამარ გვერდწითელმა საქართველოში ფესტივალი დააარსა. როგორც მისი წარმომადგენელი საქართველოში დავით ოქიტაშვილი აცხადებს, ეს არის რიგით პირველი ფესტივალი, ამიტომ ის შედარებით მოკრძალებულია და მხოლოდ რამდენიმე ღონისძიებით შემოიფარგლება. შემდგომ წლებში კი თამარ გვერდწითელი ფესტივალის მასშტაბების გაზრდას აპირებს და ბათუმში შეკრებილ საზოგადოებას მრავალფეროვან საფესტივალო პროგრამას წარუდგენს.

როგორც „ახალი თაობისთვის" გახდა ცნობილი, თამარ გვერდწითელის მიერ დაფუძნებულ ფესტივალში ჩაერთვებიან „სუხიშვილებიც", რომლებიც მომღერლის მიერ შესრულებულ მუსიკალურ კომპოზიციებზე იცეკვებენ.

ფესტივალის დასკვნით გალაკონცერტზე კი მომღერალთან ერთად სცენაზე იდგებიან ნანი ბრეგვაძე, ბაიარ შაჰინი, ალექსანდრე შაფინოვი და რუსული ესტრადის სხვა ცნობილი წარმომადგენლები.

თამარ გვერდწითელი უკვე წლებია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს, საესტრადო ჟანრის გარდა, მან საკუთარი შესაძლებლობები ოპერაშიც სცადა. იგი ცნობილი ბავშვთა ანსამბლ „მზიურიდან" გახდა, სადაც მასთან ერთად არაერთი ცნობილი მომღერალი ეზიარა მუსიკალურ ხელოვნებას. თამარ გვერდწითელი საქართველოს ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად სტუმრობს. იგი თბილისში იმყოფებოდა ანსამბლ „მზიურის" ვარსკვლავის გახსნაზე. ქართველი საზოგადოების გადაწყვეტილებით კი თამარ გვერდწითელს ვარსკვლავი პერსონალურადაც გაუხსნეს, რადგან დათო ოქიტაშვილის თქმით, თამარ გვერდწითელი ის მომღერალია, რომელიც ამას ნამდვილად იმსახურებს.

მომღერალი ხშირად მღერის ქველმოქმედებისთვის. მის მიერ თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული სოლოკონცერტიდან შემოსული თანხა გადაეცათ იმ ოჯახებს, რომლებსაც საზოგადოების თანადგომა განსაკუთრებით სჭირდებათ. ცნობილია, რომ იგი რამდენიმე ენაზე მღერის, მათ შორის ქართულად, რუსულად, ფრანგულად, ინგლისურად, ებრაულად, სულ 15 ენაზე. გასულ წელს კი თამარ გვერდწითელი ბათუმში ცნობილ კომპოზიტორ მიშელ ლეგრანთან ერთად ჩავიდა და ყველა ცნობილი სიმღერა შეასრულა. სწორედ მიშელ ლეგრანმა გაუკვალა გზა ქართველ მომღერალს ევროპაში და პარიზში ჩასული თამარ გვერდწითელი ფრანგულ საზოგადოებას ასე წარუდგინა: პარიზო, დაიმახსოვრე ეს სახელი და გვარი — თამარ გვერდწითელი!

ამჯერად ქართველი მომღერალი ბათუმშია და ყველა იმ უახლოეს მეგობარს ელის, ვინც წლების განმავლობაში მასთან თანამშრომლობდა.

**დავით ოქიტაშვილი:**

— თამარ გვერდწითელმა დააფუძნა ფესტივალი, რომელიც 12 აგვისტოდან იწყება და 15-ში მთავრდება ბათუმში. იმხელა საპასუხისმგებლო ღონისძიებებია, მათ სერიოზული ორგანიზება სჭირდებათ. მსოფლიოს 18 ქვეყნიდან ჩამოდიან ძალიან საპატიო და სერიოზული სტუმრები, ამიტომ მე და თამარი უკვე კარგა ხანია ვართ ბათუმში და ვემზადებით ამ ფესტივალისთვის.

***— ვინ ჩამოვა ბათუმში?***

— ყველა ის ახლობელი ადამიანი, ვისაც ურთიერთობა ჰქონია ამ წლების განმავლობაში ქალბატონ თამართან.

***— ეს საესტრადო ფესტივალია?***

— დიახ, ეს იქნება ფესტივალის სახელწოდებით „თამარ გვერდწითელი და მისი მეგობრები". 12 აგვისტოს იქნება ფესტივალის საზეიმო გახსნა და თამრიკოსთვის დიდი პატივია, რომ მას მიანდეს ბათუმის საზაფხულო თეატრი, რომელიც 30 წელი არ ფუნქციონირებდა. იქ ჩატარდება მისი კონცერტი.

***— კიდევ რა ღონისძიებებია დაგეგმილი ფესტივალზე?***

— 13 აგვისტოს იქნება სრულიად უნიკალური კონცერტი. თამარ გვერდწითელისა და სუხიშვილების მონაწილეობით. თამარ გვერდწითელი იმღერებს სხვადასხვა მუსიკალურ კომპოზიციებს და სუხიშვილები იცეკვებენ. ეს ძალიან საინტერესო გადაწყვეტილებაა და მაყურებელს დიდი სიურპრიზი ელოდება. ფესტივალი 15 აგვისტოს



დაიხურება. ფესტივალის ბოლო ღონისძიებაზე ჩამოდის ძალიან ბევრი ცნობილი მსოფლიო ვარსკვლავი, ყველა ის ადამიანი, ვისაც შეხება ჰქონია ქალბატონ თამართან.

***— ფესტივალი ტრადიციული იქნება?***

— რა თქმა უნდა, ეს ფესტივალი აუცილებლად იქნება ყოველწლიური. წელს, პირველ საფესტივალო ღონისძიებებში მოკლე ფორმატით შემოვიფარგლეთ, მომავალ წლებში კი ამ ფესტივალში მონაწილეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

***— ის მხოლოდ ბათუმში ჩატარდება?***

— ალბათ, ყოველთვის ბათუმში, რადგან ზაფხულის ამ პერიოდში, ზაფხულში ტურისტების უმრავლესობა სწორედ ბათუმშია. თამარ გვერდწითელს ჰქონდა კონცერტები რეგიონებშიც, ის ჩასული იყო ქუთაისში თბილისის ბიგ ბენდთან ერთად. სხვა რეგიონებს არ ეწყინოთ, მაგრამ ზაფხულში უმეტესად ტურისტები ჩამოდიან სწორედ ზღვაზე — ბათუმში. ზაფხულში ბევრი ტურისტი აწყდება საქართველოს და ისინი ძირითადად აჭარაში ჩადიან. სტუმრებს უნდა ვანახოთ, რომ ამ ლამაზ ბათუმში მათ შეგვიძლია ასეთი ლამაზი კულტურული ღონისძიებები ვაჩუქოთ.

# ლიზა ბაგრატიონი უკრაინაში იმღერებს

*ეკა ირემაშვილი*

ქართველი მომღერალი ლიზა ბაგრატიონი უკრაინაში იმღერებს. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ლიზა ბაგრატიონი უკრაინაში ჩავა და წარადგენს პროექტს „სიყვარულით საქართველოდან". საგასტროლო ტურნე უკვე გაწერილია და მასთან ერთად მეზობელ ქვეყანაში დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი, მომღერალი ნატო მეტონიძე, ანსამბლი „შვიდკაცა", მესაყვირე დავით შამანაური და ლევან დეისაძე მიემგზავრებიან.

პირველი კონცერტი 14 აგვისტოს არის დაგეგმილი. მანამდე შემოქმედებითი ჯგუფი უწყვეტ რეპეტიციებს გადის და უკრაინელ მსმენელთან შესახვედრად ემზადება. ლიზა ბაგრატიონი უკრაინაში ტალინში წარმატებული კონცერტის შემდეგ მიიწვიეს. საზაფხულო ტურნეს ქართველი ხელოვანები უკრაი-



ნის პრესტიჟულ დარბაზებში ჩაატარებენ.

ლიზა ბაგრატიონის კონცერტები სევასტოპოლში, იალტასა და ალუშტას ცნობილ დარბაზებში ჩატარდება. საკონცერტო პროგრამაშია ქართველი კომპოზიტორების რევაზ ლაღიძის, ბიძინა კვერნაძის, გია ყანჩელის, გიორგი ცაბაძისა და ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები. ყველა ნაწარმოები ყირიმის აკადემიური სიმფონიური ორკესტრის თანხლებით აჟღერდება, ორკესტრს ნიკოლოზ რაჭველი უდირიჟორებს. ქართული სიმღერების გარდა, კონცერტებზე შესრულდება უკრაინული სიმღერები, ასევე რუსული რომანსები და ლიზა ბაგრატიონისთვის საგანგებოდ შექმნილი რამდენიმე ბრიტანული ბალადა. პროექტის მხარდამჭერი კომპანია „ბადაგონია".

— პირველად გამოვდივარ უკრაინაში. ყოველთვის სიამოვნებით ვასრულებ უკრაინულ სიმღერებს. ისინი საოცრად ემოციური და მელოდიურია. ეს არ იქნება უბრალოდ კონცერტი, შევეცდები მივიტანო თითოეულ მსმენელამდე ქართული სულის მარცვალი, — განუცხადა ერთ-ერთ უცხოურ გამოცემას ლიზა ბაგრატიონმა.

მათივე ინფორმაციით, ლიზა ბაგრატიონის ოჯახი სამეფო გვარის წარმომადგენელია. მისი ოჯახი შთამომავლობით არის მუსიკალური, მათ ოჯახში პირველი მომღერალი ლიზას დიდი ბებიაა, მისი ხმა XX საუკუნის დასაწყისში ჩაიწერა. ლიზას ბაბუა ჯანო ბაგრატიონი საქართველოში ცნობილი მომღერალი, ქორეოგრაფი და მოცეკვავეა. მისი ბიძა საოპერო მომღერალია. ლიზა ბაგრატიონმა სასცენო ოსტატობა ნიუ იორკში შეისწავლა და ახლა ცნობილი მომღერალია, რომლის რეპერტუარშიც გაერთიანებულია რომანსები, ჯაზი და მუსიკალური ნაწარმოებები სიმფონიური ორკესტრის თანხლებით.

საგასტროლო ტურნეს ფარგლებში პირველი კონცერ-


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

## ასტროპროგნოზი 12 აგვისტოსთვის

**ვერძი** — იყავით თვითკრიტიკული, წარმატებას ასე უფრო მიაღწევთ. **კურო** — ფული გაქვთ, მეტს იშოვით. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ბევრს ფიქრობთ და ცოტას აქტიურობთ. **ლომი** — დიდი ტვირთი მოგეხსნებათ, თავს მშვიდად იგრძნობთ. **ქალწული** — ჩამოდით მიწაზე, ამდენი ფრენა არ არის საჭირო. **სასწორი** — ყურადღების ცენტრში ხართ და გსიამოვნებთ. **ღრიანკალი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — ახალ ცხოვრებას იწყებთ, გახარებული ხართ. **თხის რქა** — ფული გაქვთ, პრობლემას გადაჭრით. **მერწყული** — თავის ქება არ არის კარგი, ეცადეთ, თქვენი შეცდომა გამოასწოროთ. **თევზები** — ცხოვრება მშვენიერია, თქვენ ეს უკვე იცით!

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ინგლისელი პოეტი; 3. მოსკოვის მთავარი შენობა; 8. უეცარი შიში, თავზარი; 9. სარტყმელი საკრავი; 14. კახი კავსაძის კინოროლი; 15. დახურული, ოთხთვალა ეტლი; 17. დამხმარე თეორემა; 20. თავის კანი თმებიანად (ველურთა ნადავლი); 22. სპორტის სახეობა; 23. იგივეა, რაც კატარღა; 25. ნიავი; 26. ინტუიცია; 27. ტროპიკული ხილი; 28. ზემოდან მართული თაეტრალური თოჯინა; 29. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 30. სუსტი არაყი; 31. ცალკე ადამიანი, პიროვნება.

**შვეულად:** 1. თევზსაჭერი მოწყობილობა; 2. სოფელი რაჭაში; 3. ვენესუელის დედაქალაქი; 4. მეექვსე ნოტი; 5. შაქრის ლერწმის მჭრელი მუშა კუბაზე; 6. შუშა; 7. დიდი მაიმუნი წაგრძელებული დრუნჩით; 10. ძვირფასი ქვა; 11. მედიცინის დარგი; 12. ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 13. კურკოვანი ხილი; 16. დავა, პაექრობა; 18. მოთავისე, თავკერძა ადამიანი; 19. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერა; 21. აპოლონის სადიდებელი ჰიმნი ძველბერძნულ პოეზიაში; 24. სცენის გასანათებელი მოწყობილობა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



# ზურაბ წერეთელმა მაცხოვრის გიგანტური ქანდაკება ჩამოასხა

რუსეთში მოღვაწე ქართველმა მოქანდაკე ზურაბ წერეთელმა მაცხოვრის გიგანტური ქანდაკება ჩამოასხა. 33-მეტრიანი ძეგლი, რომლის სიმაღლეც ქრისტეს მიწაზე ცხოვრების წლების სიმბოლოა, 47-მეტრიან კვარცხლბეკზე აღიმართება. აღსანიშნავია, რომ მოსკოვში აღმართული პეტრე პირველის ძეგლი, რომლის ავტორი ასევე ზურაბ წერეთელია, უფრო მაღალია — მისი საერთო სიმაღლე 98 მეტრია.

„მაცხოვრის ხელისგულები ხალხისკენ არის მიპყრობილი. ეს რელიგიის მასწავლებელი ქრისტეა", — ასე ხსნის საკუთარ ჩანაფიქრს ოსტატი.

მონუმენტის შიგნით ტიტანის მტკიცე კარკასია დამონტაჟებული.

ჯერჯერობით უცნობია, სად აღიმართება მონუმენტი, — წერეთელი ფიქრობს, რომ ის სოჭში უნდა განთავსდეს და მზადაა, ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქს საკუთარი ნამუშევარი უსასყიდლოდ გადასცეს. ქალაქის ხელისუფლება ამის შესახებ ჯერჯერობით ინფორმირებული არ არის.

ზურაბ წერეთელი რუსეთის ხელოვნებათა აკადემიის პრეზიდენტია. მისი ნამუშევრები ხშირად საზოგადოების მწვავე კრიტიკას იმსახურებს პომპეზურობისა და გარემოსთან არაპროპორციულობის გამო.

გ. მ.

